მიხეილ ლანიშაშვილი

ბედისწერის ქიმზე

(ლექსები, პოემები)

გამომცემლობა "ამახანტები"
თბილისი
1999

ı -5
531-1
3

ვუძღვნი დედას -

ანა ივანიც ანგელ წინწყოროვაშს

ვწერ ყოველთვის იმის შესახებ, რაც მტკივა, რაც მაღელვებს, რაზეც ვფიქრობ და ვოცნებობ...

ჩემი ტკივილი, ჩემი ფიქრი და ოცნება — ჩემი სამშობლო, საქართველოა, თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით...

ვწერ სიყვარულსა და მშვენიერებაზე, სიკეთესა და სათნოებაზე, პოეტსა და პოეზიაზე, ვწერ ადამიანზე მთელი თავისი გარემომცველი სამყაროთი და პრობლემებით... ერთი სიტყვით, ვწერ ყოველივე იმაზე, რაც იყო, არის და კვლავაც იქნება ჭეშმარიტი ხელოვნების საგანი...

ვწერ ძალიან უბრალოდ, მარტივად, ძალდაუტანებლად, ყოველ-გვარი იაფფასიანი მოდური გატაცებების, ზედმეტი ზიზილ-პიპილოებისა და ლიტერატურული ჟონგლიორობის გარეშე, ანუ ტრადიციულად, კლასიკური ფორმით, რადგან მიმაჩნია, რომ პოეზიისათვის უმთავრესი სიმართლე და გულწრფელობაა...

გულწრფელი და სიყვარულის გრძნობით გამთბარია, ძვირფასო მკითხველო, ეს სტრიქონებიც...

მადლობა უფალს, რომ კიდევ ერთხელ მეძლევა შენთან შეხვედრის შესაძლებლობა... ვინძლო გაგვემართლებინოს ერთმანეთის იმედები...

ავტორი

რედაქტორი

ტრისტან მახაური

მხატვარი

ბაურ დეისაძე

[illegible]

[illegible] ვარდ [illegible],
[illegible] [illegible],
[illegible]... [illegible]... — [illegible]
[illegible] [illegible]!..

[illegible] [illegible] [illegible],
[illegible] [illegible] [illegible],
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]!..

[illegible], [illegible], [illegible],
[illegible] [illegible] [illegible],
[illegible] [illegible] [illegible],
[illegible]!..

[illegible], [illegible], [illegible],
[illegible] [illegible] [illegible],
[illegible] [illegible],
[illegible] [illegible]!..

[illegible]

ლ ე ქ ს ე ბ ი

აი, რად მჯერა შენი

გაკვირვებული ვრჩები, გაოცებული გიმზერ,
როგორ ახერხებ დგომას ბედისწერათა ქიმზე.
ბედისწერათა ქიმზე, სადაც ამდენი არის,
დაუნდობელი ბრძოლა, აბობოქრება ქარის.
აბობოქრება ქარის, რომლის სასტიკი ფრთებით
ილეწებიან ცანი, უფსკრულს ცვივიან მთები.
აი, რად გსახავ პირმშოდ ულვთაებრივეს ძალთა,
წმინდა ასულის აი, რატომ ვიწამე კალთა.
აი, რად მჯერა შენი გადარჩენის და ხვალის,
აი, რა მაძლევს რწმენის ძალას, უნარს და ხალისს.
თორემ ამ მცირე გოჯზე მიმობნეულო ბროლო,
ეს საუკუნე შენთვის ხომ იქნებოდა ბოლო.
ხომ ერთ ლუკმადაც ალბათ არ ეყოფოდი დუშმანს,
ხომ დაფარავდა ბნელი მყინვარწვერსა და უშბას.
ხომ დაგფარავდა შენაც დავიწყებათა მტვერი,
როგორც დაფარეს წლებმა უკვე რამდენი ერი.
მაგრამ ვითარცა უთქვამთ: ხესა ხმელს ნედლად შეიქმს,
შენი სიწმინდე, დედავ, შენი სიმართლე, ფენიქს.
გამობრწყინება გელის და კვლავ აღდგომა გელის,
შუბის შემართვა ზეცად და დამარცხება გველის.
მზეს შეუხსნიან კარებს შენი ძლიერი ფრთები
ამგვარ იმედით ვცოცხლობ, ამგვარ შეგნებით ვკვდები.

შორიდან

წუთისოფლის შარაზე მივაჭენებ იაბოს,
მივატოვე ჭართალა, საქართველოს კორდები,
შენი საქმე, სამშობლოვ, ვინძლო მთვარემ მიამბოს,
დალოცვილო მიწაო, ჰოი, როგორ გშორდები!
აქ ღიმილი არ მელის, არც მსურს ნაძალადევი,
ჰოი, სატრფოს თვალებო, როგორ კრძალვით მაცილებთ,
ემანდ, ილტოს პირაზე ბამბის ქულა დავდევი,
გვერდით, ანგელოზებო, გზას ნუ ჩამომაცილებთ!
სიყვარულმა გაშალა ფრთები, როგორც ზაფხული,
სევდის მორევს მეთრევა შენეული კალამი,
ვარ ფშავლების ძვლებიდან მიწა გამონაფხვრული,
საქართველოვ, დედაო, ჩემი შორი სალამი...

საქართველოს მთებს

ბალახს ეკვრის ნამი,
როგორც მატყლზე თებო,
თქვენთან მინდა ისევ,
საქართველოს მთებო.
ვენაცვალე მე თქვენს
ფერდებსა და კალთებს,
თქვენს დაგრეხილ ზურგებს
და მუხების ბალთებს.
ჩანჩქერები ჩქერად
ცივ ხევებში დიან,
სადღაც შველი გარბის,
სადღაც მგლები გდიან.
სხვა სუნი გაქვთ, ფერი,
მწვანე ხალათებო,
მომენატრეთ ძლიერ,
საქართველოს მთებო.

საქართველოს ცაო,
მიწავ მიწიანო,
მე რაც მინდა, შენმა
მთებმა იციანო!...
მიმიკარეთ გულთან
აღმართ-დაღმართებო,
გენაცვალეთ, ჩემო
საქართველოს მთებო...

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ნოტიო ჰაერი გერმანულ დილათა
ცვარს ჰკიდებს ჩემს თვალზე ცრემლიან საყურედ...
მადლობა, როგორღაც ფრანკფურტშიც ინათა,
ვდგავარ და ოდერის ნაპირებს გავყურებ...

დაფრენენ ყორნები შავ სარაფანებით
და თუმცა მზის სხივი ბუდიდან ამოხტა,
მზის ზეიმს აქ მაინც ვერ ვეთაყვანები,
რადგან სულს აწვალებს გრიგალი ამბოხთა...

ვიჩოქებ დღეს ფრთალაღ ოცნების წინაშე
რუხ ალტენგრაბოვის გარნიზონს ვშორდები...
ვბრუნდები, მამულო, ისევ შენს წიაღში,
ნაგვემი სიშორის სუსხიან შოლტებით...

მეყო, რაც დარდით და წუხილით ვიარე,
სალამი მშობლიურ მიწის და ცის ველებს,
მე მხოლოდ შენი ხმა მომიბანს იარებს,
შემიშრობს თვალებზე წამწამთა სისველეს...

ძილის დრო

ცრემლებად იცლება საქართველო,
სისხლად იცლებოდნენ ძველები,
ცუდი დრო დამდგარა, ქართველებო,
უნდა გავანძრიოთ ხელები!..

განა რაც ვიომეთ საკმარია?
წყრებიან ვაჟა და ილია,
დრო-ჟამი თუ გვალვამ არია,
რა დროის წოლა და ძილია!

ჩვენს ენას, ჩვენს ქართულს დიდებულს
დაცვა და დამცველი ჭირდება,
დაჰკარით, ვინც მოვა კერაზე,
დაჰკარით, ვინც აგიხირდებათ!..

აბა, რა გაახარებს რუსთაველს,
როგორ არ დაანაღვლებს იაკობს,
როდესაც მწუხარება ქართველთა
ლაჟვარდში სივრცეებს მიაპობს...

დიდგორთან დადგება დავითი
და მწარედ გადმომზერს იბერიას,
იკითხავს გაკვირვებით: „საქართველოს
რა იქნა იმხელა იმპერია?!..“

და როცა პასუხებს მიიღებს,
თვალთაგან ცრემლები აწვიმდება
და კავკასიონზე ამირანი
მამალი არწივივით აწივლდება.

დაიწვის კოცონი ყოველი
და ირგვლივ გამეფდება წყვდიადი,
რა მცირე სათამაშოდ მოქცეულა
დავითის სამშობლო დიადი!..

ჩინგიზხანი

ტრამალ-ტრამალ მონღოლური ნალი კვესდა,
განთიადი ცისკარს ველარ შეესირმა,
ცრემლიანი ქართველის დედა დაიკვნესდა:
მკალი ულვთო ჩემს პირმშოსაც შეესია.

აეზიდა მრისხანებით მთვარეს წარბი,
მყინვარს შუბლი შავი ნისლით შეეხვია,
ქართლს დაადგა უწიგნურმა თვალი ხარბი,
ელამ მზერას ივერია შეეხია.

შეილეწა ციხის კარი შერაზული,
ხევში სისხლი აღრიალდა მიმჩქეფარე,
ტაძრის შიგნით ლოცულობდა წმინდა სული:
ღმერთო, ღმერთო, დაგვიცავი, დაგვიფარე!..

მაგრამ ვაი... ვის ტკიოდა ვისი დვრიტა,
ვინ ისმენდა ხორციელი ჩივილს ხარის...
საქართველოს მოოხრება გარდეწყვიტა
წარღვნადქცეულ ცივ გონებას ჩინგიხსანის...

* * *

ქვეყანას სალათას ეძინა ძილით,
მდუმარედ გამოსცდა ილია თერგს!
მეორედ ნათლობა არ სურდა პოეტს და:
„თერგდალეულიაო“, მაინცა თქვეს!...

ბრძოლა კოჯორთან

ეჰ, კოჯრის ველებო, გიახლებთ ჭრილობას
და ახლა იმ ამბის მოყოლას ვაპირებ,
ხუთასი იუნკრის ურყევი პირობა
ბურჯად რომ დაუდგა თქვენს დიად ნაპირებს.

გახსენებთ იმ მძიმე დღეების ყადაღას
სამუმად, კვამლად და ფინდიხად რომ ენთეთ,
როს სუსხმა თებერვლის გულ-მკერდი დადაღა
ამირანს კლდეებზე მიჯაჭვულ პრომეთეს.

დაფრენდნენ ჭურვები ფრთოსანი რაშებით
და თხრიდნენ ქუხილით სერებს და მაღლობებს,
არ შედრკნენ წუთითაც რჩეული ვაჟები
და ცეცხლის ხაზები მკერდებით გაღობეს.

აღენთნენ ძლევის და ტევების ალითა,
აღუდგნენ მომხდურთა ურდოებს მეხურად,
გადიგდეს მხრებიდან სილაღის შალითა,
მხოლოდღა სიშმაგის ნაბდები ეხურათ.

და იდგნენ საყვარელ გენერლის ბრძანებით
სანგრებში უშიშრად, მარჯვედ და გათვლილად
ბიჭები, ვით ბასრი და ცხელი დანები,
ამიერ-იმერით, სრულიად ქართლიდან.

სხვა ძალა აწრთობდათ მგლებს კვინიტაძისას,
სხვა ცეცხლი ცვიოდათ ფოლადის ფრთებიდან,
ამიტომ იბრძოდნენ თბილისის დაცვისას
ისინი სრულიად სხვა შემართებითა.

სრულიად სხვა იყო მათი მზნე-მნათობი,
თვალებზეც სრულიად სხვა შუქი უვლიდათ
შორს გადაედინა წლებს თვითმყოფადობის
მონობის უღელი იმათი გულიდან...

ესმოდათ, პირისპირ მდგომარეთ დრო-ჟამთან,
ებრძოდნენ ვისაც და რისთვისაც კვდებოდნენ,
ვახტანგის, დავითის, თამარის დრო'მასთან
ღირსებით, ფასით და პატივით ეგოდენ.

ამაოდ ცდილობდნენ რუსთ მეზარბაზნენი,
ებრუნათ ზურგები ივერთა არწივებს,
ამაოდ გახარჯეს ცეცხლი და ვაზნები,
ტყვიების ფანტელიც ამაოდ აწვიმეს.

კვლავ სივრცეს კვეთავდნენ დროშები სამფერი,
თუმც სისხლი სდიოდათ გაყინულ ფარაჯებს,
კვლავ იდგა თბილისი - გორგასლის ნაფრენი
და წყლულებს უხვევდა თბილისის დარაჯებს.

კვლავ იდგნენ გმირებიც, მაგრამ ლა სადამდე,
გახელდა ბრძოლა და იქუხეს ზალპებმა,
შეცურდნენ მკერდებში ხიშტები ვადამდე,
აღმართეს გვამები სისხლიან ალპებად.

მომრავლდნენ ბრბოები წითელი ურჩხულის,
მომრავლდნენ და ზეგნებს მკალივით მოედვნენ,
უხმობდა დაჭრილთა კვნესა და ჩურჩული
თბილისის სევდიან ქუჩებს და მოედნებს...

გაჰკვეთა მომხდურთა ყიჟინამ ფრონტები
და დაცვის ხაზები და ჯალალედინის
თესლის და ჯილაგის შტონი და ტოტები
გარდეევლნენ სარანგებს მონღოლურ მერდინით!

დაეცა კოჯორი... მინდორზე გვამები
ეფინა რაინდთა მათ მსხვერპლთა, ტარიგთა,
საკუთარ სურვილით სიკვდილს ვინც შეებნენ,
ვისთ ხვედრიც ზეცაში წინდაწინ გარიგდა...

დაეცა კოჯორი... და ცრემლთა მანდილი
მწუხარე გენერალს ღვართქაფად დასდინდა
და თითოეული იუნკრის აჩრდილი
მის თვალში მკვეთრად და ერთბაშად გადიდდა.

დაეცა კოჯორი... და ამ სამამულო
ომის ქარ-ცეცხლიან დღეთა ფანტელებით
სრულად დაითოვა მწუხრით საქართველო,
სრულად დაითოვლნენ მწუხრით ქართველები.

ათოვდა გარჩენილთ მდუმარე ცხედრებად
და საუკუნოსა გზასა მას შინათა,
მისდევდა დედათა გლოვა და ვედრება,
ვით ჩუმი გალობა და ლოცვა წმინდანთა...

თბილისური ვერსინაქი

იდგა თბილისი ჟამად დაშლილი,
ქარები ქროდნენ ფიფქთა ბანტებით,
სარდაფში ლექსებს სამადაშვილი
ჭედდა ჭლექიან ბრილიანტებით.

ვერ ჩერდებოდა მხატვარის ფუნჯში
ავლაბრელ მარგოს მსუქანი თეძო,
გრანელს დაღლილი ძვლებისთვის ლურჯი
ტყავი საკუთარ ხელით გაეძრო.

ნატოტარს ვეფხვის ქიმერით მძიმით
გლოვობდა ბასილ მელიქიშვილი...
სუსხავდნენ საწყალს ცრემლების მძივნი
და მოძახილი: „მე ვერ გიშველი!“

თებერვლის თოვლი და ყრუ ამინდი
არ პირდებოდა არავის შველას,

მათ კი რატომღაც გულით უნდოდათ
ევლოთ ქუჩებში სულ ფეხშიშველათ...

დაშლოდათ ძვლები, ნერვი და ფორი,
ესროლა ვინმეს ტყვია მალულად,
რომ გაყოლოდა ზიზღის ამბორი
გულიდან ნანთხევ სისხლის მარულას.

სამრეკლოებზე ზარების ენებს
კორტნიდნენ ყვავი ჯიუტი რიხით,
მოაჭენებდნენ კოჯრიდან ცხენებს
ყინვის მარხილნი სავსეს ფინდიხით.

ვაებდა ქუჩა, ეზო და სახლი,
პარავდნენ წუხილს თვალები ნუკრებს,
აჩრდილებს ჰგავდა ტაძართან ხალხი,
ჩუმად მარხავდნენ ერთგულ იუნკრებს...

ბაგინეთი

რუხი კედლები ბაგინეთის ხრიოკ ზეგანის
აპრილის სიოს გაფატრავენ ბასრი ეხებით,
სხეულში ურჟოლა გაიღვიძებს დაუდეგარი,
ხავსიან ლოდებს სუსტ ხელებით რომ შეეხები...

გაიღვიძებენ აჩრდილები მძლე წინაპრების
და რომ დავსხდებით მდუმარენი ბაგეთა აღხმად,
უძველეს ქართლის გაიხსნება მძიმე კარები
და მეც ვიგლოვებ გარდასულთა დღეთა თანახმად...

და წმინდა ნინო - ეკლესიის სულმნათი მტრედი, —
როს საკუთარ თმით გადახვეულ ჯვარს დამაღირებს,
შევთხოვ: უშველე საქართველოს, ლამაზო დედი,
და ცრემლთა მერნებს მიეუფონებ ვერცხლის აღვირებს...

ხადა

ფუძეს დაგიკოცნი,
დაგიდვები ყმადა,
მითხარ, ხევო ხადის,
რაზე ფიქრობს ხადა?
სიმღერა და ლექსი
ზეცას დიან ხმადა,
მითხარ, წყალო ვეძის,
რას ოცნებობს ხადა?
ციხეები ლაჟვარდს
გაბჯენიან ფხადა,
მე სამოცი კოშკით
მეხსომება ხადა.
აჭენებენ რაშებს,
თუ ხმას ცემენ ხვადურს,
ხადის მთებზე ბოლი
ასდით ნისლებს ხადურს.
როგორ მეამაყა,
როგორ გამეხარდა,
რომ ველირსე ერთხელ
მეც მეხილა ხადა.

ჭართალას

ჩავლილან წლები სამოცეული,
შორს დარჩენილან ილტოს ჭალები...
და ვით საკუთარ თავს გაქცეული
ქალაქში სინდისს ვერ ვემალები!

აელვარდება დედის ღიმილი
ცა ჟიჟრიბანდზე ცისკრით ნათელი...
და მოგონების მწარე ტკივილი
გულს გადასერავს ვით კამათელი...

კვეტერა

ცას გაჰყურებს უჩვეულოდ ნარინდები,
წუხილისგან სული ურჩად ეეკლება,
ისტორიას გაყოლიან რაინდები,
ჟამი მასაც საფლავისკენ ერეკება.

მაგრამ არა, რა გატეხავს გაუტეხელს,
მერე რა, რომ წლებმა ძვლები ჩაუნგრია,
ვაჟკაცურად უფრთხილდება გმირის სახელს,
ჯერაც ისევ ისეთივე ჩაუქია!

რა ვუყოთ, თუ სევდამ მზერა დაუბინდოს,
თუ მრავალმა დაივიწყა, როგორც ღმერთი!
კვლავ ამაყად გადასძახებს ბებერ ილტოს:
- ძველ დროების ჩვენ ვართ მოწმე ერთადერთი...

- ჩვენლა დავრჩით ამ ხეობას მოხუცები,
ჩვენლა გვახსოვს მამულისთვის ხმალთა ქება...
მერე ცრემლებს შეიწმენდავს, გეფიცები,
და მის შუბლზე დიდი დარდი იკითხება...

ХЕАРІ

სად მიდიან ეგ ლოდები,
სადამდისლა მიიწევენ,
თუ დაგჭირდეს, ჩემო მიწავ,
ჩემი სისხლიც მიიწებე.
რა ლამაზი თაღებია,
რა მკერდსავსე ლოდებია,
ჯვარს ვეძებდი, ის კი თურმე
აი, სადა მლოდებია!
ეხ, ტაძარო, გულთდამბზარო,

რა ფიქრები გროვდებიან,
როგორ მომეღრუბლებიან,
როგორ მომთაგორდებიან...
ვით მოურჩი მტერთა რისხვას,
თავი როგორ დააღწიე,
მოვედ, გნახე და დარდების
ზღვაზე მძიმედ დამარწიე.

მშობლიურ გზებზე

მშობლიურ ეზო-კარს ისევაც ვეწვიე,
წააგავს ნაომარს ჭალები ჭართალის,
სევდები უმკობდნენ სალამურს მზეწვიებს,
თვალს მოხვდა სირუხე ზეციურ ფართალის.

ილტოს ლურჯ სამოსელს აბა ვინ გახდიდა,
და ვაი, ვიხილე წელამდე შიშველი,
ჭირისუფალივით გამოვედ სახლიდან,
სადღაა მთათა ხმა, ფარი და შიმშერი!

უკვალოდ გამქრალან ლამაზ დღეთ წყებანი,
წინაპართ ნაკვალევს თვალები დათხარეს,
გამქრალა მურყნების მწვანე ხეივანი
და მკვდარი სიცოცხლე უმწეოდ ფართხალებს.

სამშობლო

ჩემს პატარა გიორგის

მთელი ეს ამერ-იმერი
მიწით, ცით, ზღვით და ჰაერით,

სიმღერით მრავალხმიანით,
ფერებით ნაირნაირით.

ყოველი კუთხე-კუნჭულით,
ბარით, მთით, სოფლით, ქალაქით,
თვით ღვთისმშობელის საკადრი
და წილხვედომილი ალაგით,

დღეის დღით, შორი წარსულით
და მომავალით აშკარით,
თვითმყოფადობით, რომელსაც
იცავდა ქართველთ ლაშქარი.

სად გორგასალმა, დავითმა,
თამარმა ჩადგეს სამანი,
სადაც ყოველი მტკაველი
სუნთქვაა გმირთა სამარის.

მიცვნია დედა-სამშობლოდ,
უზენაესად, განგებად,
ღმერთად და ხატად, რომელთან
ღვაწლი არ დაგეკარგება.

მომიტანია სიცოცხლე,
მამულო, შენთვის ზვარაკად,
სხვას არას ვნატრობ, სანამ ვარ,
ქართულად მალაპარაკა.

ხოლო როდესაც საწუთრო
მეც მომიხურავს კარებებს,
ქართველად მომკლა, მიწასაც
ქართულსამც მიმაბარებდნენ.

დიდგორის ბმირებს

ჰყო საქართველო
შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე,
შეჰკრა ქვეყანა
ბრძენმან ხმლით და მარჯვენით მტკიცედ,
დიდება თქვენდა,
კურთხეულნო მიწიდან ცამდე,
თქვენ, ვინც
დიდგორთან ერთგულება მამულს შეჰფიცეთ!

„ჰე, მეომარნო
ქრისტესანო, - ბრძანა მეფემან,
თავად სატანაც
ვერ შეგვმუსრავს, თუ ღმერთს ვენდობით“...
ელავენ ხმლები,
სიკვდილის ხმით ჰორონი ყეფენ,
მუზარადებმა
ჩააბნელეს ვრცელი ფერდობი...

ბანაკად ფხიზლად
და საომრად იდგნენ სელჯუკნი,
მიგრამ რაინდთა
ტევებანი ისე ქარობდნენ,
იმგვარ სიმარდით
ჩაუქობდნენ ივერთ ჩაუქნი,
იმგვარ სიმკვირცხლით
მი-მორბოდნენ, მკლავ-მუხლჩქარობდნენ...

ვერღა ძალ-ედვა
გამკლავება დუშმანს რიცხვულევს,
იოტნეს
ცოცხლადდარჩენილნი აღმოსავლეთით.
დიდგორის ველი
ცრემლს აწვიმდა ზეცად რიცხულებს,

სულ სხვა სიცხადით
გაისმოდა კითხვა ჰამლეტის!..

ჰოი, დევ-გმირნო,
მორჩილებით მიწას ვეხლები,
ეს თქვენ რომ არა,
მეფეთ-მეფე დავით რომ არა,
თქვენ, სპარაზენნი
და სარანგნი სიკვდილს შემხები,
იგი, ჰუნესა
შემართებით ზედა მჯდომარე...

მტერმორეული
საქართველო ჰგიებდაღა-გა,
მოვაღწევდითღა
განა დღემდე, სპანო დიადნო!?
შორმა წარსულმა
ეს თქვენი ხმით შემოგვღაღადა,
რომ მომავალი
ჩვენი მხოლოდ ჩვენს თავს მივანდოთ!

რამდენთა წელთა
მარაოსებრ გადიშრიალეს,
თქვენ კი კვლავ დგახართ
თავდადების უკვდავ ნიშნებად,
შემოგაღამდათ
ბრძოლის ველზე ხმალგიშრიანებს,
ძლევაი ეგე
საკვირველად წიგნად იშლება...

საიდუმლო ბარათი

იქ, სადაც ადრე ვწერდი სასიყვარულო ფრაზას,
სად ვუმღეროდი ლელას, ლალის, ლეილას, აზას,

დღეს უბოროტეს დღეთა ძახილის ნიშნით, ტირით
ჩემი მამულის შაებნელ და მკვდარ აწმყოზე ვტირი!..
აღარც ხალისი ძველი, აღარც სილაღე ფრთათა,
ვუმზერ განდგომილთ განზე მეგობართა და ძმათა!
ჩაღამებულა სულში, უფრო კი იმას ვნაღვლობ,
არ მივაკითხო სადმე სახრჩობელათა მაღლობს
და ანგელოზთა მიერ ნასათუთევი სული
არ მივაბარო ეშმაკს, რადგან ღამეა სრული!..
რადგან სიცოცხლის ხალისს დღითი-დღე ისე ვკარგავ,
როგორც შენ გკარგავს ხალხი, პატიოსნების ქარგავ!
რადგან მომავლის დიდის ანარეკლები შორი,
ისე მოჩანან, როგორც მოძველებული ჭორი...
რადგან თავდახსნის გზას და იმედს ველარა ვხედავ,
როგორც ვერ გხედავ ახლა, შენ მაცხოვარის დედავ!
რადგან შემოვრჩი ობლად და ვიარები მარტო,
სადაც სიძულვილს, მტრობას ვერვინ უსაზღვრავს ფართობს.
რადგან არ ვიცი როდის, რისთვის, რატომ ან რაზე,
მეც ჩამწიხლავენ, როგორც ჯავრი იყარეს სხვაზე!
და ნაყალბევი ნიშნით გამასამართლონ იქნებ:
რომ გვირაბებს ვთხრი მთებში და ყაჩაღ-თულებს ვიკრებ!
ნუ გაიკვირვებ, ჩემო ბოლო შვებავ და ფიქრო,
არა, არ ცდება, არა, ჩემი სამყარო მიკრო!
აქ, ამ სისხლიან ტბაში, შავთა ურჩხულთა ხროვა
მალე გამიწვევს ხმალში, ჩემს წასაყვანად მოვა!
არ მეშინია, როდი მაღრჩობს სიკვდილის განცდა,
მხოლოდ მაწუხებს ბედი პატიოსანთა კაცთა!
გზანი სიმართლის ტკბილის მწარი ყოფილა, მწარი,
ნებისყოფასაც ლამის უკვე გაუჩნდეს ბზარი!
ერთს ვერ ვიგუებ კიდევ, სანანებლად მრჩება,
ვერ იხეირა სხვათა გულში, ტრფიალმა ჩემმა,
ვერ მივაგენი, ვისაც სრულად ვანდობდი ყოველს,
რა უცნაურად მივალ, რა უცნაურად მოველ!...
და თუ ანდერძი ესე, გინა წერილი, რა ვთქვა...
გარდაცვალების კართან საიდუმლოთა განთქმა...
შენთან მომაქვს და ვტოვებ, ეს იმ ოცნების გამო,

რომ შენ გაიგებ ტკივილს ჩემსას, იმედო ჩემო!..
აჰა, დავხურე წიგნი, დავდე კალამი ჩქარა:
- სიკვდილისაკენ?
- დიახ!
  სიცოცხლისაკენ?
- არა!
გადავიხადე უკვე პანაშვიდები თავის,
გლოვა არ გმართებთ აღარ უკვე არასდროს არვის.
მარადისობა, როგორც მტვრის უმნიშვნელო ნაწილს,
მეც შემიერთებს, ალბათ, ამის შემდეგ და აწი!...

ტყობაიერდი

ლურჯია ზეცა - იესოს კვართი,
მოესდევ მხარგრძელის მტკიცე ნაკვალევს,
დგანან კოშკები, როგორც წარმართნი
და ნისლში ხვევენ მღვრიე აკვარელს.

დაუდგამთ ჯიღა ქედნისფერ კლდეებს
(ამ კლდეს მიაყრდნო თამარმა გვერდი!)
და მარცვლავს უკვე გადათვლილთ დღეებს
სახტად დამრჩალი ტყობაიერდი...

წაიღებს ასა მკვდარ ფოთლებს მცვივანს,
დაბადებს ფიქრი კვლავ დარდებს პირქუშს,
შევყურებ ტაძარს, რომელსაც სცივა,
ულოცავს ადრე რომელიც ინგუშს...

და ვეუბნები თვალებს საკუთარს,
თვალებს, ცასავით ცისფერს და ფართოს:
ნუ მიაფარებ ხსოვნაზე სუდარს,
ნუ, ნუ გასწირავ ამ ლოცვას მარტოს...

სონეტი შამილს

მე მესმის, გმირო, მთების მხრიდან შენი ძახილი,
ექოდ დაჰყვება ეგ ხმაური კავკასის ქედებს,
ლეკურებივით წამოკრეფავ ხალხის იმედებს
და აიწვდები ავარიის ბასრი მახვილი!...

ვფიცავ ჩემს ქრისტეს, რაც თვალები მეც ავახილე,
რაც ვიყმაწვილე, რაც ვჭაბუკობ, რაცა ვბერდები,
თუმცა მკვდარი ხარ, ღუნიბივით მეიმედები
და არაერთხელ მეც უცნაურ აზრს ამახირებ!...

ვიტყვი: განგებავ, თუ სიკვდილის ცელს დამაღირებ,
ვიცი, შენ ჩემი პოვნა სულ არ გაგიძნელდება,
რადგან შამილის ცრემლით ჩემი მზერაც სველდება,

გამიშვი, კლდეებს მეც ამოვდებ რკინის აღვირებს,
მერე თუნდ მომკალ, შავი მიწის დამხურე კალთა,
ოღონდ არ ჩამყვეს სამარეში ჯავრი მოსკალთა!..

ელეგია

ნიარევი მკერდიდან
სისხლი გადმოგდის ისევე,
კვლავ მიჯაჭვულხარ, ამირან,
ყვავსა და ყორანს გისევენ!..
აღარ მაქვს გული, დამკორტნეს
მეც შენებრ, გმირო, ლაჩართა,
აღარც ცრემლი მდის, დამიშრა,
შავი დღეები დაჯარდა!..
გზას ველარ ვხედავ, არა ჩანს,
ირგვლივ ბინდია მარტოდენ,
შური, გესლი და ღალატი
რაც ასე გაგვიბატონდნენ...

ფშავის გზებზე

ჰოი, ფშავის ბილიკებო,
გადაღლილი დავდევ,
თქვენს გზაწვრილებს, საოცნებოთ,
აწვდილთ მაღლა, ცამდე.

ახლა აღარც ვაჟა არის,
აღარც ხელაშვილი,
მამის გმირულ შემართებას
ველარ ხედავს შვილი.

ახლა ცრემლი მოზღვაულა,
ახლა სისხლი წვეთავს,
გული სტკივა საქართველოს:
თბილისს, ზუგდიდს, მცხეთას.

მაგრამ როცა ცას შევყურებ,
ამ ცას უსამანოს,
მინდა ფრაზა უანკარეს
ცის ნამს დაემგვანოს.

და ვუმღერო, ვით უმღერდა,
ო, ჯერ კიდევ მაშინ,
ამირანის გამარჯვებას,
ლუკა - ბრძენი ბავშვი.

თემურ მიქაუტიძეს

ბატონო თემურ, მე მგონი დროა,
ცხოვრება ჩვენი წამხდარი როა,
მივაპყროთ წარსულს მახვილი მზერის
და გავიხსენოთ ქალაქი ტროა!..

ბერძნებმა ბრძნულად გვასწავლეს ტროით,
რომ უნდა მოსპო მონობა დროით,
თორემ სულს ისე დაამახინჯებს,
რომ ველარ იხსნი ველარაროით...

უნდა ყმაწვილნი ამ აზრით ვწვართოთ,
რომ რაც არ უნდა ვგიებდეთ მარტოდ,
ცხოვრების ლაღის ჰორიზონტებზე
ჩვენც გაგვეხსნება ბილიკი ფართო...

ᲙᲐᲔᲨᲐᲜᲘ

დღე დღესინდელი როს მომბეზრდება,
იმ შორ წარსულში გადავბარგდები,
სადაც თამარის დიად ეპოქის
ბრწყინავს თილისმა და სმარაგდები.

შემოვეწყობი შამქორს, ბასიანს,
მხარგრძელის დროშით სივრცეებს ვაპობ,
ვჩეხავ და ვკაფავ მტერს, მოძალადეს
ულვთოს, ბოროტს და უმამაპაპოს.

ხანაც დავითის ვარ სპარაზენი,
ელვარებს ხმალი ქართა მკვეთელი
და დარუბანდთან მიჭირავს ხელში
დარიალანის კარსაკეტელი...

ზოგჯერ უკანაც დავიხევ უფრო,
გორგასლის სარანგს გული მაქვს სალის,
ხმლით ვაკონტროლებ ამერ-იმიერს
და ერთგულებას მონა-ვასალის...

დავეხეტები ლაბირინთებში
წარსულის, სადაც გულს არ ეხლება
უსასოობა, უიმედობა
და მწუხარება ათასფეხება.

ფორტ-პოლკური ზმანებანი

როს ატლანტიკას გადასერავს ფრთები ბოინგის
და სხვა სიმებად ათრთოლდება გული ქართული,
ლუიზიანას ცას შევხედავ წელგამართული
და იმედებით ილესება ოცნების ლინგი!

ვიტყვი: ამ სივრცეს, ამ ცხელ მიწას თავის დროზედა
თავს აფარებდა არაერთი მამულიშვილი,
ვით სან-ფრანცისკოს ალექსანდრე სულხანიშვილი,
ვინც სამშობლოდან წუხილები უხვად მოზიდა.

დღეს კი ჩვენ ვდგავართ კარიბჭესთან ახალი სივრცის,
ფართოდ, გულღიად გადახსნილან ბჭენი მძიმენი,
ვით მარსის ველზე ქანდაკება სხივთა მიმფენი,
ეფინებიან ხმანიც ჩვენნი დღეს აქ და ვიცი...

სულ სხვა იქნება მომავალი მამულის ჩვენის
ხვალე თუ არა, ზეგ თუ არა, იმის ზეგ - სწორად...
ჩამოინგრევა ბოროტების წყეული გორა
და საქართველო გაიხარებს მზის აღმომჩენი!..

ვინ გაპატიებს

რომ მთაწმინდაზე ახვიდე რიდით,
თუნდაც ცოტათი შენამთვრალები,
დაჯდე, იფიქრო... ცოდვაა დიდი
და იმსახურებ დათხრას თვალების!...

რომ კარს მომდგარნი მეგობრად თვალო,
რომ ლხინში უცებ დარდი გეწვიოს,
რომ ყალბ ცხოვრებას არ ენაცვალო
და მოლოდინით ჭვრეტდე ზეციონს...

ვინ გაპატიებს, გაფიცებ ძმობას,
შე საცოდავო, ცამდეც მართალო,
პოეტი რომ ხარ, ისიც გეყოფა,
სიცოცხლე ტანჯვით უნდა ატარო...

ვინ გაპატიებს, გიყვარდეს ისე,
არ ჰყვარებია როგორც არავის,
თუ დაიბადე პოეტის ჯიშზე,
შენთვის საშველი ქვეყნად არ არის...

მხატვარი

მინაწერი ანატოლ ფრანსის
რომანზე „ღმერთებს სწყურიათ“

ზიზღი და ფურთხი ევარისტ გამლენს,
მთელ მის ცხოვრებას ვგმობ ყეფით, შმაგად,
განგება ყველას ბოლომდე გვავლენს
ვნახავ, რა დახლი დაუჯდეთ მაგათ!...

რა უნდა ნაფიც მსაჯულთა ხროში
ხელოვანს წმინდას, მართალს და ნამდვილს,
გილიოტინის უმკაცრეს ხოშით
სადაც სიცოცხლის მცირდება ადლი!..

მხატვარო, ნაცვლად ტერორის ფუნჯის,
რად არ თრთი ფერთა ნაზ მინანქრებით,
ასე ხომ შენივ ნაბიჯით ფუჭით
რობესპიერთან ერთად ჩაქრები!..

არიდე, ღმერთო, მსაჯულის ღვედი
ხელოვანს ნათელ აზრთა იმედებს,
მიეც მათხოვრის იღბალი, ოღონდ,
ჯალათობისთვის ნუ გაიმეტებ...

პოეტი

როგორც ფოთლები ზამთრისპირული,
კანტი-კუნტი და ალაგ-ალაგი,
ისე ცვივიან ჩემი ფიქრები
ამ სიცივეში დედაქალაქის...

უკეთ: ფიქრებიც არ ეთქმის ალბათ,
გაღატაკებულ ოცნების ქურას,
ამაოებამ რომლის კარებიც
ასე ნათლად და ცხადად დახურა!

მკვდარია სული, ის აღარც არის,
კარგა ხანია, რაც ხორცი სულმა
ისე დატოვა, ისე გაწირა,
ვით ჩემი ხსოვნა შენმა წარსულმა!..

და ვიარები ასე გაძრცვილად,
პრიმიტიულად, სალთად, მარტივად,
რადგანაც ლექსით და პოეზიით
ცხოვრება არვინ არ მაპატია!

არ მაპატია ალბათ უფალმაც,
რადგანაც მხოლოდ მისი განგებით
ხდება ამ ქვეყნად თითქმის ყოველი
და არც მზერიდან არ ვეკარგებით!

ჰოდა, არ უნდა, ძმაო, ეს ჩემი
სტრიქონის სუსტი ნაწიბურები,
ვისაც კი ვიცნობ, ანდა ვინც მიცნობს,
თითქმის არავის, ქვეყნად სრულებით!..

ყველა მოითხოვს რაღაც აბსტრაქტულს
და ქიმერიულს, ჩემი გაგებით,
ზოგი საყურეს და სამაჯურებს
და გულსაბნევებს ოქროს ლაქებით.

ზოგი ბილეთებს თეატრისათვის
ანდა კინოსთვის, სულაც უბრალოდ,
ზოგს ქურქი უნდა ძვირფას საჩუქრად,
ან ბეწვეულის ლამაზი ჯვალო...

ზოგიც (ცხოვრების და ცოლის ენით),
მოითხოვს, თუმცა სულაც არ მიკვირს,
ფულს, შეშას, მარილს, წყალსა და სოდას,
სკივრს და სავარძელს, ან ფუთას თიკვის...

მოკლედ, ყველაფერს ითხოვენ ჩემგან,
ყველაფერს, რაც კი არ გამაჩნია,
და ეს სიცოცხლე მკაცრი, მურდალი,
ვით თეთრ ყვავს ძვალი — ყელში გამჩრია!

ყველაფრისათვის მეტყვიან ქებას,
ხოტბას, დიდებას და სამადლობელს,
ოღონდაც იმას ნუ შევეხები,
უუწმინდესს და უუმნათობლესს.

ოღონდაც სტრიქონს ნუ მივაჩეჩებ,
ნუ წავუკითხავ ლექსს აღტაცებით,
ნუ შევაჩერებ პოეზიისთვის
მარულას მათი დიდი განცდების!

უცნაურია დრო-ჟამი სულ მთლად,
ან მე ვერ ვხვდები, ირგვლივ რა ხდება,
რა აქვთ საწუხარ-სადარდებელი,
ანდა ეს ხალხი რითი ლაღდება.

ბოლოს და ბოლოს რაა მიზანი
მათი ან ჩემი, ანდა ვთქვათ ასე,
რისთვის მოსულა ადამიანი
აქ, ამ დალოცვილ დედამიწაზე!...

არა, ვერასდროს გავიგებ ალბათ,
როგორც ისინი, ჩემს მთრთოლავ სტრიქონს,
იქნებ სჯობს, მორჩეს ეს ყველაფერი
და მზერაც ჩემი ბნელმა დადრიკოს...

შლეგი ღამე

დაღლილმა სულმა მოისურვა განმარტოება,
ვენდე ბოჰემას, ნირვანაა გრძელი და სრული,
ისევ დავდივარ სიყვარულის მზით დაისრული,
შემფუთეს ისევ სიშლეგეთა ჩემთა რტოებმა.

ღამის სიცივე და ყინვები ეს დეკემბრული
ვერ ზაფრავს ბახუსს ღვინისაგან პირგავეშებულს,
და ქაოსებში ძველ სიშმაგით როცა ვეშვები,
ასე მგონია, თითქოს ვპოვე სათი და ბროლი.

აი, ასეა: გუშინდელი ღამეც ხეტიალს,
თრობას და ლექსით მივანდე შფოთვას,
სახლში კი ჩემი სათნო ცოლი ღელავს და მოთქვამს,
მრისხავს: „საწყალი რატომ ჭერქვეშ არ დაეტია?!“

მე კი თან დამდევს სტრიქონების ცხელი არული,
ვბორგავ და მგოსნის სისხლიანი კვალი დამყვება,
რადგან გამომყვა პოეზია სულის საკვებად
და ხიფათების მორჩილება ნიავქარული.

მძულხარ, სიმშვიდევ და ჩარჩოში მჯდარო ცხოვრებავ,
შენც, სიცოცხლეო, ხმაჩუმო და იდილიურო,
სულ გაქანებით მსურს შეივსოს ჩემი დღიური,
გამოირიცხოს ნეტარება და ნაყროვნება!

არა, არ მინდა რომ მოგენდო, წესო და ხაზო,
გემონოთ, ქცევის განსაზღვრულო ერთხელ რკალებო,
რაა ცხოვრება, თუ დაღობე შენი გარემო,
არა სიცოცხლეს სულ დათმენილს, სათუთს და აზიზს!

თუ პოეტი ხარ, თუ ნამდვილად მუზებს მსახურებ,
მიეცი თავი არტახების მსხვრევის სტიქიას,
გაბედე, სანამ გადარევის დრო და რიგია,
მოგლიჯე ზეცას მთვარე მისი ოქროს საყურე.

დაე, ილაყბოს ბრბოის ცივმა, ფლიდმა გონებამ,
გქირდოს, გაძაგოს, შეგარცხვინოს და შეგაჩვენოს,
ყველა მათგანი მიუჯდება ხვალე შენს ჩეროს,
შენს სიდიადეს დაებმის და დაემონება!...

სტუდენტური მისტერიები

მეგობრებს: თეიმურაზ ფირცხალაიშვილს, ტრისტან მახაურს, ზურაბ ჯაფარიძეს, ელგუჯა მარღიას, პაულე ასპანიძეს, სევარიონ ნადირაძეს, მურღვა არდოტელს და სხვებს...

გაჰკვეთავს ღამის ბნელს მთვარე პოეტური,
სიმღერა, ლექსი და არღანის ხმა ხშირი,
სუფრას შემორჩება ორიოდ ფიტული:
ს. ნადირაძე და მ. ღანიშაშვილი.

აშლიან მძინარეთ: ფირცხალას, მახაურს,
პავლიკას, ჯაფარას, მარღიას, დარს წმინდას,
ფეხქვეშ გაიგებენ თენების ახალუხს,
კალთას შეახევენ გარინდულ მთაწმინდას.

და ვით სადღეგრძელოს ცისფერი ყანწების,
იტყვიან ბოდლერის ეკლიან სტრიქონებს,
გოგიას არ მოსწონს ფრანსუას ნაწერი
და სიმონ ჩიქოვანს მეასედ იგონებს.

ვერ ფარავს თემურა გურულის კაპრიზებს:
მოვედ, გალაკტიონ! შესძახებს ცას მზირალს,
პავლეც პოეტობას რაკიღა აპირებს,
მაშ ნულარ დავძრახავთ ამ კეთილ ყაზილარს.

ტრისტანი ვაჟას ლოდს, როგორც კერპს, უჩოქებს
და ლექსის ნიაღვრის ქუხილი ეშვება
მამადავითიდან ბესიკის ქუჩისკენ
არწივის ფრთებად და ალესილ ეშვებად.

დავითის რაინდის კოსტავას საფლავი
ჯერ ისევ თბილია, არ გაციებული,
ბობოქრობს ჯაფარიძე: ჩვენს მტერს სალაფავი,
ასე რომ მოგვიკლეს ეს კაცი ვნებული!

საცაა ინათებს... მთავრდება ორგია...
და როგორც მერცხალი საკუთარ ბახალებს,
სიმშვიდით ვიაროთ, გვარიგებს გოგია,
რომ არ შევეჩეხოთ გზად ვინმე ახვარებს.

მშვიდობით, სიმთვრალევ, შეგასწრებთ ძილებში,
რომ დავიფართოვოთ თვალთა ქუთუთონი...
მზეს ღამის ნაფლეთი გასჩრია კბილებში,
წყდება მისტერია... ვაჰ დრონი, ვაჰ დრონი...

სტუმრად გალაკტიონთან

მეგობრებს, პოეზიის ორდენ „მარადმბალი ეწარის“ წევრებს

გაამერნებენ ჟინს პოეტურს ბახუსის ფრთანი,
მთაწმინდისაკენ! ვუხმობთ ერთურთს იერიქონით!
გზას გაგვინათებს მთვარის შუქი, ჩვენსავით მთვრალი,
შეერკინება ღამის ქალაქს ბასრი სტრიქონი.

მამადავითზე სიმყუდროვის ვახრჩობთ სარანგთა,
ლექსის სატევრით ამოვულებთ მკერდიდან ჯიგარს
და როგორც სათქმელს სადღეგრძელოს სადმე არაგვთან,
ერთად მივაწვდით გალაკტიონს ღვინიან ჭიქას.

არის პურობა და ნადიმი ძველქართველური,
ვუკითხავთ მგოსანს და ვაწონებთ ჩვენ ჩვენს შაირებს,
ლაგამს ხრავს სიტყვა, ვით ულაყი ურჩი, ველური
და დინჯ საუფლოს აღვიძებს და ასხვანაირებს.

წადით, ძამიკო, გვიანია, სახლებში წყნარად!...
გამოსცრის ბოლოს მგოსანთ მეფე გრანიტის ბაგით
და ვუბრუნდებით მიტოვებულ ბინებს იმგვარად,
როგორც ბოკვრები მომდინარნი ლომის ბუნაგით!..

მათხოვრები

გიცნობთ: ყოველდღე მოწყალე მზერით
მხვდებით და მერე უსმოდ მაცილებთ,
ნაბიჯთა სიჩქარ-სიდინჯეს ზვერავთ
და პირჯვრის წერით თავს იყმაწვილებთ!

ჩასცქერით გროშებს - ულუფას ხრიოკს
და გამღვალ სხეულს იოკებთ თმენით,
მისდევთ ცხოვრებას, ვით საიქიოს
და ისიც ცოცხლობს ქუჩით და თქვენით.

ეჰ! ამ ბოლო დროს ეგ ღრმა ქუდები
ისე გახშირდა, იმდენნი გახდით,
მაშინებს ჩემი გზები და ბედი
მაშინებს ჩემი პოეტის ტახტი!..

რადგან არც ისე შორი არ არის
მგონი, იმ დღეთა ათინათები,
თქვენსავით მორცხვად როს სამათხოვროდ
გაიწვდებიან ჩემი თითებიც...

ხაოიანი ქუდი

გატარებ იმიტომ, რომ გული საკვსეა
ქართული ღირსებით, შნოთი და ლაზათით,
მე მოვედ მუზების ნაჩუქარ თასით და
მსწრაფლ გამოვაცხადე ლექსის ჰაზავათი.

ჯერ არცერთ პოეტის თავს არ ამშვენებდი
ასეთი სიმარჯვით, რიხით და შეხდომით,
აბა, მე უშენოდ ან რას ვიმღერებდი,
იცოცხლე, წუხილსაც კვლავ მრავალს შევხვდებით!

მაგრამ, ო, რადგანაც მაქვს შენი იმედი,
იცოდე შენს სახელს თუკი ვუღალატო,
ჩამიქრეს სიცოცხლის ფერმკრთალი აბედი,
დავრჩე უხამურად, შიშვლად, უხალათოდ.

ჯერ ასე ძლიერად თავი არ მიგრძვნია,
დავკოცნი შენს უხეშ, აჩეჩილ ხაოებს,
და დღეებს, იმ დღეებს, ასე რომ მებრძვიან,
გადავყრი, როგორც ფუჭ სამასხარაოებს.

ახლა ვერც სიკვდილი მე ველარ მომღუნავს,
ვერც სატრფოს, ორგულის სხვის ხელში ხარხარი,
მე ხაოიანი დღეს ქუდი მახურავს
და უკვე იწყება ცხოვრება ახალი.

ᲒᲣᲠᲐᲑ ᲧᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

„მარადახალი ქნარის“
შვიდი სიმიდან ერთის
ნაზი მინორი უკვე
მარადისობას ერთვის...

ღრმათა უფსკრულთა პირად,
სიმაღლეებში მთების,
სად მწვერვალებზე ფიფქებს
დაუკეციათ ფრთები...

სად არწივთა და ჯიხვთა
არის საუფლო ცივი,
სადაც მძვინვარებს მიწყივ
შლეგი ზვავების მძივი...

იქ, იმ ბურუსში თოვლის,
ხიფათისაგან ფლიდის,

გაუჩინარდა ზურაბ
ჯაფარიძე და მიდის...

საით, პოეტო, საით,
საით, კაცო და ძმაო,
ქართულ სიტყვის და ლექსის
დაუშრეტელო ზღვაო.

გიხმობთ, ამაოდ გიხმობთ,
გეძებთ, ამაოდ გეძებთ,
რატომღა გვტოვებ, თუკი
ერთხელ გვითხარ და გვეძმე.

ვინ მიგიტყუებს ეგზომ
ცერი ბილიკით, მალით,
ვინ მიგიძღვება, ბიჭო,
ოჩოპინტრე თუ დალი.

რა ბედისწერა გმართავს,
რა განგებაა, გვამცნე,
რა ბედაურზე შეგსვეს,
რა შესამოსელს გაცმენ.

რომ ამნაირად უცებ,
მოულოდნელად, ზარით,
ცრემლი გვაპკურე ყველას
და მიიხურე კარი...

სულის ქრონოლოგია

ბატონ გუგუშვილის ხსოვნას

მე ხომ მინახავს, მინახავს და
ალბათ თქვენც ხშირად

გინახავთ ბადრი გუგუშვილი,
იმისი ლირა.

პოეტი იყო ის ხმაბოხი,
ის ბუმბერაზი
და კაცს გოლიათს გული ჰქონდა
სულ პეპელასი.

წერდა, ხატავდა, კითხულობდა
ლექსებს ნაღვლიანს
და როცა თურმე სული ისე
ძლიერ დაღლია

უიმედობით, უსასობით
ღალატით, შურით,
როცა თურმე და არც ჰქონია
არსობის პური.

ვერ გაუძლია უილაჯოს
მეტისთვის როცა,
დაუკიდია თოკი ძელზე
და ბოლოს ლოცვა

ყულფიდან უთქვამს, როგორც
როზგი ცხოვრებისათვის:
რატომ სოფელო, მაინც რატომ,
მაინც რისათვის?!.

და თუმცა სულ არ მაცხოვარის
ჩვენის იგავით,
იმადვე ქმნილა თავის დროზე
რანიც ვიყავით...

აგერ რამდენი იმის შემდეგ
გასულა წელი

მზად არის ახლაც იგივ თოკი,
იგივე ძელი...

და როს ამ კაცის, ამ პოეტის
ვიხსენებ ნაბიჯს
და როს მეც ვუმზერ ამ ცხოვრებას,
ამ ბოროტ ძმაბიჭს,

ლამის მეც ავდგე და იმავე
წმინდა მცხეთიდან
გავყვე ბილიკებს არყოფნაში
ჯოჯოხეთიდან.

შატილობა

გოდერძი ჩოხელს

ცაზე სინაზე გაწვა ბალღური,
არსად ღრუბლების შავი მანდილი,
სევდიან ლექსებს მღერის არღუნი,
ცრემლიან თვალებს იწმენდს შატილი...

ამოდის მთვარე ვარსკვლავთ წაწალი,
ჩამოურიგებს მთებს ვერცხლის ჩოხებს,
ჩვენთან მოიყვანს ძმობის ბაწარი
მგლებში ჩავარდნილ გოდერძი ჩოხელს...

და დამთავრდება იქ შატილობა,
სად დაიწყება ბილწთა დღეობა,
რომ არ გამრთელდეს ისევ ჭრილობა
და კვლავ არ იგრძნობს გულმა ტყვეობა!

საიუბილეო ლექსი აკაკი წერეთელს

ვერ მომიყრია შენს საფლავთან მუხლი, მგოსანო,
შაირთა შენთა რადგან კარგად მახსოვს არაკი!..
ღღევანდელობა გუშინდელზე უარესია,
არა ჩანს საქმე, ისმის მხოლოდ ცრუ ლაპარაკი...

რა ჩამოგძახო, ნატვრა შენი კვლავ რჩება ნატვრად,
ცა-ფირუზ-ხმელეთს დაფენია ნისლები თალხი...
გადაქცეულა საქართველო ბრძოლის თეატრად,
სტრიქონის ნაცვლად ტყვიას უშენს ერთმანეთს ხალხი...

დიდება შენს ჩანგს, უანგაროდ მამულის მსახურს,
დღესაც ხომ შენივ ლექსით ვლესავთ ლინგებს იმედთა,
ღვთივეჭაღაროსანს მდაბლად გიხრით თავს ცადდანახულს
და გვჯერა, ივერთ დახსნას ითხოვ ყოველდღე ღმერთთან!...

ოხ, სულო ჩემო

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნას

მურუთი. განჯა, მალარია. მზე გადასული...
სევდა. ნალველი. „ვიწრო ქვეყნის“ შავი კედლები...
დადის პოეტი განწირული, ბედდათარსული,
ბედო უბედოვ, რატომ კარგით არ შეეცვლები?..

სხეულს აწუხებს სულის სევდა დაუთმენარი
და ციებიანს აგონდება „ტფილისის ვარდი...“
ცისაფერს ბნელი დაეხვევა, როგორც მკბენარი:
„ოხ, სულო ჩემო, რა საშინელ ტანჯვას შთავარდი!...“

ბრმა შემოდგომა. სექტემბერი. გზა სარალარი.
ხურვება. ბოდვა... უცხო ცის ქვეშ დაბინდვა თვალის...
განჯიდან ზეცას აებმება ღვთიური ლარი -
ეკატერინა... ვით სიმბოლო საყვარელ ქალის...

სონეტი ფშაველ პოეტს

ფირუზ მაჩურიშვილის ხსოვნას

იქნებ, რა ვიცი, მეც წყალს მივცე ცოდვილი სული,
იქნებ, რა ვიცი, რა გაიგოს კაცმა ხვალისა,
თუ ასე დავრჩი მოწყენილი და დათარსული,
აქ ყოფნის, აბა ვინღა მომცემს, მითხარ ხალისსა?

ფშაური სისხლი კვლავაც გაზრდის კლდეთა არწივებს,
რა ვუყოთ, თუკი ჩვენი ბედი ასე ყოფილა,
არაგვს და ილტოს ეგრე ვერვინ წამოაწივლებს,
ერთხელ მოკვდება ყველა, ვინც კი ერთხელ შობილა!

შენ ჩაგითრიეს ზღვის ტალღებმა როგორც თოლია,
როგორც თოლიას, ისე გწადდა ფრენა უგანო...
შენ მოკვდი, მაგრამ მაგ სიკვდილით ყოფნას უგალობ...

შენ დამფარველად ღვთისმშობელი არა გყოლია!..
კრთიან დღეები, მიდის ხანი, მიდის ცხოვრება,
შენი სიკვდილი მე სიცოცხლედ მემახსოვრება!...

განდგომა

გაბრიელ ჯაბუშანურის ხსოვნას

გაბრიელ ჯაბუშანურის მომწონს ლექსები ფხიანი,
მისი მარადი ნაღველი გულს მეც წუხილით მისერავს,
მოკრეფაც ვერ გავუბედე, არაგვზე დამრჩნენ იანი,
არაგვი ისევ არაგვობს, მაგრამ მე კი ვარ, - ისე, რა!

მთებზე შავ ღრუბლის ფარტენებს გულდაგულ აწყობს განგება,
იწვიმებს, შავი ღრუბლები იმგვარად აჰყვნენ ივლიანს,
ვწუხდები, ჩემი ნავალი უკვალოდ რომ იკარგება,
ჩემი მწუხარე ლექსები ზეცისკენ რომ ვერ ივლიან!

რას ვაქნევ ასეთ სიცოცხლეს, რა ჭირად მინდა, წავიდეს,
მეც ვწყევლი, როგორც ჩემამდე ბევრმა დაწყევლა ცხოვრება,
მარტია უკვე, ცოტასაც კიდევ მოვუცდი ამინდებს,
გაიდარებს და ღილღოსკენ ჩემი გზაც გაითხორება...

დავესახლები მეც სადმე ასას ხეობის ნაპირას,
ვიქნები თავისუფალი, დილით შევხედავ აულებს,
ფერდაზე ნაბადს გავიფენ, ცეცხლს წავუკიდებ პაპიროსს,
გველი მომიბანს ჭრილობებს, არწივი დამიხმაურებს...

ვიცხოვრებ ბრძენი ზეკაცის ცხოვრების წესით და რიგით,
ცის ახლოს ზარატუსტრასთან თამამად წავისაუბრებ,
თქვენ აქ იყავით, ერთურთში სასმელ-საჭმელი არიგეთ,
მეზობლის დიაცებივით მწარე ენები აუბნეთ...

სახსოვრად ძმადნაფიცს

მურლვა არდოტელს

არდოტის ლაღო არწივო,
მურლვავ, ერთს გეტყვის ღანიშა:
ურიგო როდი იქნება
ამა სიბრძნისა ჩანიშვნა:
არ მიატოვო სოფელის
საზღვარ-სამანი და მიჯნა,
ქალაქში მგლებთან ალერსი
ძალიან ძვირი დამიჯდა!
აწონ-დაწონა ჭირდება
გადასადგმელთა ნაბიჯთა!

ია ქადაგიძეს

გელანდებიან ავგუსტუსი, ნაპოლეონი,
შავი იფრითი, სანთლისფერი ქიტონის ხალი,
მგლისფერი ეჭვი გერვალება, როგორც ნეონი,
ესპანურ ქოშთა ვერცხლისფერი გართობს მისხალი.

შორიდან უხმობ უიალდის უბედურ პრინცებს,
ოცნების თქეშით თუ აცოცხლებ რემბრანდტს, იანუსს,
ეთაყვანები ბეთჰოვენის ბგერის სიმტკიცეს,
რომელმაც უნდა აღსასრული დააგვიანოს.

ცხოვრობ კუნძულზე სიმარტოვის წყეულ ალფასთან,
სად არის მაინც ის ზღაპრული ოქროს მხედარი?
ჯეინ ეარი შენს დუმილში ისე დაფასდა,
რომ სერ როჩესტერ შენი ხათრით ახლაც მხნედ არის!

სფინქსის მზერასთან მარდად იჭერ ქურუმის აჩრდილს,
თეთრი კლავიში შავ როიალს უდაბნოდ ხაზავს,
გსურს ცხრა აპრილი დიდგორული ბრწყინვით გამოჩნდეს,
მიერეკები მამულიდან მონღოლს და ხაზარს.

მოლოდინები გიკრეფავენ ყვითელ მიმოზებს
(საოცარია, თუ არ გიყვარს, აბა ვის ელი?),
ხანაც მზერაში იასამნებს შემოიმოსებ,
როგორც სინაზეს მონა ლიზას სწორი კისერი.

ესაუბრები ფიროსმანს და მიქელანჯელოს,
გიკვირს: საიდან, ო, ამდენად სასტიკი ერა?
ბახის ორღანი არ მოითხოვს მწირ გასამრჯელოს,
გწამდეს, ინფანტა, შენი სულაც არავის სჯერა!

უსასრულობას ედევნები მკრთალი ფრეგატით,
კეთროვანთ კუნძულს თუ იხილავ ოდესმე ალბათ,
ქვის კაბრიოლეტს რად იტაცებს ფიქრი ტაატით,
სისხლის ტორშერებს რად ახსენებ შინაურ ამბად?

აჰყვება ნერვი მიხანკაკლულ მედიჩის ბაღებს,
სამადაშვილის ლურჯ ხატებას აგრავიურებ,
გულის თეატრში ოდეს სარკმელს არ გამოაღებ,
გობელენს კიდევ ერთ რუხ ფენილს დიახ მიურევ.

თავად მიიღოს მკვდარმა ფორმამ ვან გოგის ხურდა
მოგავს ვერლიბრი სეზანს, არა, ეშაფოტს ბედის,
გრანელს ლექსებში ჩაესახლა სიკვდილი — სურდა,
მიტომ იმღერა სევდიანი სიმღერა გედის.

ყველაზე მეტად სარწმუნოა ვიგვამი თიხის,
სავანაროლა, გახსენება შემოდგომების,
არა, არ კვდება პოეზიის ჟინი და რიხი,
თუნდაც უმკაცრეს ეპოქებში ბედკრულ ომების.

შენი სახელი ვით გამორჩა ნეტავ ბროკჰაუზს!
ვინძლო მომავალს დაეწერო დიდ ასოებით!
თუ გადაურჩი შენ სამშობლოს სისხლიან აუზს,
დაგდაფნავს წლები სიყვარულით და სასოებით.

ანდერძი

ეს ერთადერთი შვებაღა
შემომრჩენია იმედად,
საცაა მოვა სიკვდილი,
წამიყვანს თავის გზა-შარით,
ბიჭებო, წესზე ქართველთა,
ანუ უძველეს იბერთა,
ჩემს სახსენებლად პატარა
სუფრა მინდორში გაშალეთ.

ცვრიანი მწვადი, შოთები
და ღვინო მოიმარაგეთ,

დალიეთ შესანდობარი,
თქვით: „ხსოვნა იყოს, ამინ“ და...
ლაღი სიმღერის სადავე
მიუშვით, როგორც არაგვი,
მდუმარება და წუხილი
არ გამაგონოთ, არ მინდა.

არა, წავალ ისევ

რა იციან ამათ, ჩემს ირგვლივ რომ ჰგიან,
ჩინ-მედლებით სავსეს რომ ზიდავენ ამ მხრებს,
რომ მე მგოსანი ვარ, რომ პოეტი მქვია
და ვერ შევეჩვევი მორჩილების სახრეს.

რა ვუყოთ, თუ დღეს მეც ამ მუნდირით დავალ
და ვასრულებ უხმოდ მეც ბრძანებებს მათებრ,
სულ არ ნიშნავს ეს, რომ ჩემი სულის წამალს
ვპოულობ და ჩემს ფიქრს ლაღ ოცნებებს ვმატებ.

აღარ მომწონს თქვენი ის ზღაპრული რიგი,
პოეტებო, ადრე ვინც მხედრებად ვლიდით,
როგორ აიტანეთ ეს სამყარო თიკვის,
ეს უსაგნო სივრცე, ეს ეთერი ფლიდი.

არა, წავალ ისევ იმ ძნელსა და ძველ გზის
ეკლიანი, ბნელი, რთული ლაბირინთით,
რომ არ დამახინჯდეს ჩემი სულის ძეგლი
არმიული ჭუჭყით და სიმშრალით ფინთით.

ვერ მოვითმენ დიდხანს ორად გავიხლიჩო:
ცალკე ვიყო მე და ცალკე — სული ჩემი...
ის ცხოვრება მიჯობს: მწირი, უხალიჩო,
დამითმია თქვენთვის თქვენი ხალიჩები...

მორიგე

დედაქალაქის ხმაურიანი ქუჩის
და ღამეული მიუსაფრობის ცივის
ზანტად მეხება ათრთოლებული ტუჩი
და მარტოობა ყურთასმენაში წივის...

რა უმკაცრესი წამები დადგა, ღმერთო,
როგორ აღარ მწამს დღის ხვალინდელის, არა,
ო, როგორ ვჩქარობ, ცაო, შენს წიაღს შემრთო,
მიწიერება დღითიდღე როგორ მზარავს...

სასაცილოა ჩემი ცხოვრება სრულად,
გამათხოვრებულს ვინღა მირწმუნებს მე, რომ
პოეტი ვიყავ და საიდუმლო რჯულად
მქონდა ლექსი და ლერწმის უბრალო ღერო...

აი, ეს პროზა, სულს ასე რომ მხდის ფაქიზს
(სამხედრო ფორმით სადღაც მორიგედ ვზივარ!),
გააგებინებ, ეჰ, თუ ღმერთი გწამს, აქ ვის
მგოსნის უცნაურ და ფერადოვან სიზმარს...

მე მიკვირს შენი

მე მიკვირს შენი, უზომოდ მიკვირს,
თუ მოგაქვს თავი პოეტად დიდად,
აქ, ამ წყვდიადში და სიბნელეში
რისთვის მოხვედი, რა გსურს, რა გინდა?!

სხვა იყო მაშინ, ოცნების მონავ,
რატომ იხსენებ ბაირონს, პეტეფს...
ნუთუ ეგ შენი ბრმა ქიმერები
ფუჭმა დღეებმა ჯერ ვერ წახვეტეს?...

შეცვლილა ახლა ჟამთა დინება,
ისე დაგტოვებს იგი უსახოდ,
რომ შენი გვამი, - თავადვე იტყვი,
დროზე საფლავში გადაუძახონ!...

ჩახედე მაინც სარკეში შენს თავს,
უკვე ბერდები, ისე დაგფიტა
შემოსვლამ შენთვის უცხო მხარეში,
მოწყვეტამ მგოსნის ლურჯი დაფიდან...

ელოდო უნდა უარესს მხოლოდ,
გაჩუქებული ქვეყნის მსახურო,
და ნაზ ოცნებებს ყოველდღიური
ერთფეროვნების კალთა დახურო...

შემორჩება

დასალუქდნენ თუმცა წლები,
და მინისლავს ვერცხლი თმა-წვერს,
თუმცა დაწვეს საქართველო
და მეც იმ ხანძარში დამწვეს.

თუმც ცხოვრებამ - ამ სატანამ,
რაც მომთხოვა, თითქოს დავყევ,
ვერ გელევით მაინც, ჩემო
ხალისო და სიამაყევ!..

თუმც იცვალნენ დრონი ავად,
თუმც მომრავლდნენ იარები,
თუმც დამწიეს მიწისაკენ
და მეც მასზე ვიარები!..

გული მაინც არა ტყდება,
სული მაინც ელტვის ზეცას,

ზეცას, სადაც შთაგონებას
ფრთები ჯერ არ დაუკეცავს...

და ამიტომ, შემორჩება
სალამური, ძმებო, მე მწამს,
ჭართალაში ილტოს პირას
რომ ავაჭერ ბალღმა ლერწამს.

ფოთოლი

ვაკვირდები შემოდგომის ხეებს,
ჭადრებს მხრები დაუშვიათ ნაზად,
განა დიდხანს შერჩებიან კიდევ
ეს ფოთლები მიწას ფიანდაზად?

მაგონდება საკუთარი ბედი
და წუხილი უფრო მოიმატებს,
აგერ, კიდევ მოფარფატებს ერთი,
მეც ცხოვრება ასე მაფარფატებს...

მეც ასევე უნუგეშოდ ვცოცხლობ
ამ მიწაზე თქვენგან განურჩევი!
და ფოთლების არსებობა ქვეყნად
მე მგონია არსებობა ჩემი...

რაღა დაბრჩა

მწუხარებამ დაგინისლა სახე,
თვალებს სევდის ეხურება ფარდა,
რაღა გიკვირს, კიდევ რა ვერ ნახე,
რაღა დაგრჩა ცივ სამარის გარდა?

იარები ნელი ნაბიჯებით,
შენ სხეული უკვე გამოფიტე,
საკუთარი ლექსი დაგაქვს ჯიბით,
კვლავ უამრავ მწუხარებას იტევ...

აღარ ელი სიცოცხლეში შვებას
და საწოლში, ვით კუბოში წვები,
მალე ველარ დაესწრები შობას,
რადგან უკვე მიილიე წლები...

ტრაგიკული სპექტაკლი

დღითი-დღე მტანჯავს მომავლის განცდა,
მიდგანან თვალწინ დარდები მთებად,
ხალისი, როგორც იმედი, გაცვდა,
გაცივდა გულიც და ველარ თბება.

წუხილი ვერცხლად მეღვრება თმაში,
ნაცნობნიც ძველნი ძნელადღა მცნობენ,
მოჟონავს სევდა-ნაღველი ხმაში,
და მღობავს სასოწარკვეთის ღობე.

ვფიქრობღა მხოლოდ სიკვდილზე, რადგან
აღსასრულს, როგორც თავდახსნას, ველი,
ცხოვრება ჩვენი დადგმაა, დადგმა
და, ფიქრით ჩემით, უაზროდ ვრცელი...

სიმარტოვეში

ისევ უაზროდ გავყურებ შორეთს,
გამოფიტულა სხეული ფიჭი.

სულ გაუშიშვლდათ გულ-მკერდი წნორებს,
ნელ-ნელა ხმება ნაცნობი ფიჭვიც.

საიდუმლოსაც გაანდობ ვერვის,
ხალხი იმდენად გახდა უხეში,
ეჰ, ვინღა უცდის უკეთეს მერმისს,
ყველასგან ზიზღი თუ მრჩება ხელში.

მხოლოდ სიბნელე თუ მეტყვის რამეს,
ჩემსავით ჩუმი, ნელი და ღუში,
ვმასპინძლობ კარში შემოსულ ღამეს
და შენზე ფიქრი იღვიძებს გულში...

შემოდგომა

ამაო არის ლექსების წერაც!
ფოთლებს აგროვებს ოქტომბრის ქარი...
მას შენი თითქმის სულ აღარ სჯერა,
ნულარ ესწრაფვი, ნულარ იჩქარი...

გეყო, რაც დღემდე ოცნება კვებე,
რაც გააცოცხლე ლექსი ბწკარებად,
დგას შემოდგომა ფიქრების მეფედ
და იმედების გარდაცვალებად...

ეწამე? კმარა. რაც იყო, იყო,
დახურულია ცხრავე ცის კარი,
რა დროს ლექსია, შე მართლა ბრიყვო,
ფოთლებს აგროვებს ოქტომბრის ქარი...

დასკვნა
(იუმორესკა)

მე ჩემს ფიქრსა და ოცნებას
რუსთველის ფიქრებს ვადრიდი,
ჭართალა მცხეთა მეგონა,
ახმეტა კიდევ მადრიდი!
რა მცირე სიჭკვიანეა,
სისულელეა რა დიდი!...

გაქცევა

მზემ აანთო როგორც იქნა ცანი,
გაზაფხულის დღეებია თბილი,
მსურს, ქუჩების ხმაურს გავეცალო,
გავერიდო და გავექცე თბილისს.

სადმე მოლზე ვეამბორო ბალახს,
ისევ ვიგრძნო სურნელება მიწის,
ველარ ვიტან, ველარ ვიტან ქალაქს,
სულს მიშანთავს და ჯიუტად მიწვიმს.

ცეცხლს დავანთებ მდინარისპირ შეშით
მწვადს ავასხამ და ნაკვერცხლის ალთან,
ჩემი ღრმა და უტყუარი გეშით
ვისაუბრებ, ვით საყვარელ ქალთან.

ჩამოვასხამ ციბაანურ ღვინოს,
წასულების შესანდობარს დავლევ,
უნდა დავთვრე და მეც დავადგინო,
დედამიწა რომ ტრიალებს, პავლე.

თვითმკვლელობის ზღვართან

ღიმილის უნარი დამიკარგავს,
ვინც მიცნობთ, მიხვდებით დანახვისას,
ცხოვრება ცხოვრებას აღარა ჰგავს,
სულ სურებს მაგონებს ალაჰისას!

იმდენი წვალება გავიარე,
ო, ლამის სულზედაც ახლობელო,
იფიქრებ, ამ ყმაწვილს მგლოვიარეს,
კოცონის ენებზე ახმობენო!

მაგრამ ეჰ, ფუჭია ეს იმედიც
ვიცი, რომ ჩემზე ფიქრს არ აპირებ...
უფალო, მითხარი ლექსის ბედის
კაცს ამდენ ჯავრს რატომ მაყლაპინებ?!.

ნუ მტანჯავ მე გვედრი, დამაშორე
ამ სცენებს, ნიღბებს და ატრაქციონს,
აქ მხოლოდ ეშმაკნი თამაშობენ,
უნდათ, რომ ანგელოზი მტვრად მაქციონ!..

პილატე

დაასამარებს გულს ეს ლოდინი,
უდროოდ თმებში თეთრი შემოვა,
ცას გაფენია შავი მერდინი,
ვით გარდაცვლილთა სულების გლოვა.

ხეს აცახცახებს თებერვლის ქარი,
სულს ძველებური წუხილი იარს,
მოუგზავნია სიკვდილს მაყარი,
ვტოვებ სამყაროს ჩემზე მგლოვიარს!

ნუგეში თითქმის ვერსად ვერ ვპოვე,
შენც დაიბანე მშვიდად ხელები...
მივალ იქ, სადაც დგას სიმყუდროვე
და შეუცნობი საკვირველება...

დაკვირვება

როგორც ნიავი ათამაშებს
ქუჩაში ქაღალდს,
ისე მექცევა წუთისოფლის
მე ჩემი სიო...

ფოთოლცვენა

აღარ ელავს ძოწ-მარმაში,
ოქროსფერი ციალებს,
დგას ქალწული ხეივანში
და ბროლივით ცქრიალებს.

შიშველ მკლავებს მლოცველივით
ცისკენ წვდიან ჭადრები,
ჩამოიხსნეს მოცელილი
ხავერდივით ჩადრები.

და ამ ხმელი ფოთოლივით
ძირს ეცემა ოცნება...
ნეტავ თუ გაქვს, შემოდგომავ,
კიდევ სხვა საოცრება?

ვალი

ვიღებ და ვიღებ ვალებს ვალებზე,
გაგიკვირდებათ ვცხოვრობ ვალებით,
ვალით შევიძენ ალბათ კუბოსაც,
ყამსა მას ჩემსა გარდაცვალების!

თავს მახსენებენ მევალეები
და ახალ ვალით ვფარავ ძველ ვალებს,
და ცრემლიანით ვუმზერ თვალებით
უიმედობის მაღალ მწვერვალებს.

გაჭირდა ძლიერ, ნათესავებშიც,
მეგობრებშიც და ახლობლებშიაც
ვალის აღებაც ველარ ხერხდება
დღეს, არა მარტო თურმე მე მშია!

ღმერთმანი, არ ჰგავს ეს არსებობა
ცხოვრებას და თუ არ ვიკლავ ჯერ თავს,
არ მინდა გამყვეს მევალეების
რისხვა, რომელიც ჯოჯოხეთს შემრთავს...

თან მეცოდება, ყველა, ვინც უნდა
მოვიდეს ცხედრის მხრებზე გადებად,
რადგან ვიცი, რომ მათაც ჩემსავით
ვალით მოუწევთ ფულის დადება!..

მეფეო! ამდენს ნუ გვაწრიალებ,
ნუ ხდები ცოდის ჩვენის მძევალად,
თორემ მივხვდებით, დიახ მივხვდებით,
ქმნა რაისიცა ყველას გვძე ვალად!...

ХОХОѢЕТШІ

МѢУѢАРЕБАМ УРѢМУНОТА БЕДТАН ГАМАѢІАРА
САФЛАВ'ШІ ВАР, ГАРДАЦВЛІЛНІ СѢЕДАН ТАВАѢІАНАД.
САМОТѢЕА? ВЕАКІТѢЕБІ, СДГАС ДУМІЛІ ХВАБУРІ.
ВЕШАПІВІТ ШЕМОМЦХЕРІС ШАВІ ГАМОХВАБУЛІ.
САМОТѢЕА?- КІТѢВА БНЕЛ ЦАС АЛАРЦ ЕСМІС, АРЦ УНДА...
АШРІАЛДА ГАКВІРВЕБА ѢЕѢЕ ГВЕЛІ АЦУРДА...
САМОТѢЕА? МЕСАМЕДАЦ РОЦА ВКІТѢЕ БРМА КАЦЕБС,
ШЕМОМѢЕДЕС, ШЕІѢМУѢНЕН. ЧУРЧУЛЕБДНЕН РАЛАЦЕБС...
САМОТѢЕА? АРА, БРІЙВО, ѢОѢОѢЕТШІ МОѢВЕДІ
АСЕ НОРЧІ? ІМДЕН ЦОДВАС ДЛЕЕБС РОГОРС МОѢВЕДІ?
ВІДЕХ, ЦРЕМЛІ МІСВЕЛЕБДА ЦІСФЕР ТВАЛТА УПЕЕБС.
ШАВІ МТВАРЕ ЛАХАД АЧНДА ЧАБНЕЛЕБУЛ ГУБЕЕБС.
ЙОРНІС МАРТВЕМ ГАДАСЕРА ЦА ЖАНГІСФРАД НАѢАТІ,
АР МЕГОНА АМДЕН ЙОРАНС ТУ ЕРТБАШАД ВНАѢАВДІ!
ТАНШІ ЖРЖОЛАМ ДАМІАРА, ѢЕ АЛВМАРТЕ ѢЕЛЕБІ,
ЧЕМС ФЕѢЕБТАН АЖАГРУЛІ СІСІНЕБДНЕН ГВЕЛЕБІ...
МѢЕ САД АРІС? АН НАТЕЛІ? АЛАРАВІН ГАЛІРСЕБС...
СІБНЕЛЕ ѢРДІС ШАВ ЙВАВІЛЕБС ѢОѢОѢЕТІС БАЛІСЕБС,
ВІДЕХ, ЦРЕМЛІ МІСВЕЛЕБДА ЦІСФЕР ТВАЛТА УПЕЕБС.
ШАВІ МТВАРЕ ЛАХАД АЧНДА ЧАБНЕЛЕБУЛ ГУБЕЕБС...

ЛОЦЕА

УДІАДЕСО ШЕН ГЕКУТВНІ МТЕЛІ АРСЕБІТ,
ВІЦІ, ШЕН ШЕМХМЕН, ШЕНІТ ДАВАЛ ДА ШЕНАД МОВАЛ,
ТУКІ МАШІНАЦ ШЕНС ЦѢОВАРШІ МОВІАѢРЕБІ,
ТУКІ МОАЛѢЕВС СУЛІ ЧЕМІ ЦІС ЖВІРВАЛ ОВАЛС!...

ВІЦІ, ЦОДВІЛАД МОВВЛЕНІВАР АМ ТАВШЕСАФАРС,
ВІЦІ, ЦОДВІЛІ ІСЕВ ЦОДВІТ РОГОРС ВМЖІМДЕБІ,

ვიცი, მომაგებ ჩემთა ცოდვათ შესაფერისად,
ვიცი, ვერასდროს დავიწმინდებ-დავბარძიმდები.

ამად, უფალო, ნაგულვებო მხსნელად და მამად,
ისევ შენ შეგთხოვ პატიებას ცოდვათა ჩემთა,
ვინძლო, მაშორო ბორტების ეკლიან სამანს,
ვიდრე სატანა ჯოჯოხეთის ქვესკნელთან შემრთავს!..

ყოვლისმხილველო, ყოვლისმხედო, ყოვლისგანმგებო,
მასწავლე, რითი, როგორ დავხსნა სული წვალებას,
რომ ვიდრე სადმე მეც კბოდეებს გადავეგები,
ვიდრე დარეკავს ჩემს კარზედაც გარდაცვალება...

რომ ვით ნაწილმა შენი აზრის, შენი არსების,
ვიპოვო ძალა მეც ჩემს თავში გადარჩენისა
და საკრებულოს ანგელოსთა წმინდა დასების
შეერთოს ჩემი სულის ქარვაც ნაზ სამშვენისად!..

კოპალის ყმა
(მისტერია ფშაველთა სალოცავიდან)

მოვდივარ ბარიდან დაგეშილ ძაღლივით,
გამიხსენ, არაგვო, ხეობის კალთანი,
რომ ჭვირვალ ჰაერით დაივსოს ძარღვები
და მზერას მტაცებდნენ მძივები ქალთანი...

მოვლალავ კურატებს კოპალის ტრაპეზთან,
მეც უნდა შევწირო ჩემს დიდ ღმერთს საკლავი,
სად ლახტი ღვთიური ოდესღაც დაკვესდა
და ჯიქურ ჩალეწა დევების სამკლავე...

ვილოცებ ჩემს უფალს წმინდას და ზეციურს,
ვინათლებ მეც სისხლის ჯვარული ბორჯღალით,

რომ ეშმა დღეიდან გზად ვერ დამეწიოს,
მოსილი გველებით, შხამით, კიბორჩხალით.

ო, დასაბამური შენ ხარ დედახატი
უძველეს ქართველთა უტმკიცეს რწმენათა,
ბრძოლები ამდენი მით გადაიხადე,
რომ ჩვენთვის დღეს ასე მძლედ გამოგენათა.

მოვბრუნდი, უფალო, მე შენსკენ ერთგულად,
ელავენ სანთელთა ცისფერი ალები,
ლოცვები სივრცეთა ხიდებად შედგმულან
და ვამბობ „დიდებას“ ოქროს ფიალებით.

უნდა მე დღეიდან შენი გზით ვიარო,
სხვა გზათა, სხვა ღმერთთა სხვას წამდეს სუფევა,
ძლიერო, მშობლურო, ურყევნელო, სვიანო,
მომეცი ამ ფიქრთა ახდენის უფლება!..

მსხვერპლშეწირვა

მეტი გახელება. მეტი სითამამე. მეტი სიხალისე.
უხუცესს სამსხვერპლოდ მიუდის ვაჟები.
ღვთაებას სიხარულით კოცნის მოხალისე,
დამსწრენი ვერ ძლევენ მზერის ბლანტ აჟურებს.

კერპი მრსიხანეა, მხნე, სიტყვაუღები
და როს შემწირველი ხანჯალზე დაიკვლევს,
არ ფართოვდებიან თვალების გუგები,
ყველა უდრეკია, ვინც უნდა დაიკლას!

სისხლი ბანს სიწმინდეს არმაზის ფეხების,
თანდათან შავდება ქართული იერი,
შეკრულნი სიკვდილის ძლიერ არტახებით
ნათლობენ მადლობით ღვთაებისმიერით.

ქვემოთ კი, ზენიტზე, მიიწევს ორგია,
რომ აბედნიერეს მშობლებმა შვილები,
კოცონთა ენები ღამის ჩრდილს ცოხნიან
და ცას გაჰყურებენ როგორც შეშლილები...

სონეტი ღედას

შენ, ლურჯთვალებას, გიღამდება სოფლის შარაზე,
დიახ სოფელის, ყრუ სოფელის, არა ქალაქის,
გიყვარს რძის დღვება, შედედება ჩხუტში კარაქის,
წყლის მოსატანად უხმაუროდ წასვლა ღარაზე.

ფიქრობ ჩვენს თავზე, კიდევ ათას დარდუბალაზე,
დედავ, ძვირფასო, შემოქმედო, ღვთიურ ბარაქის,
შენ მიმახვედრე სიბრძნეს შოთას ბრძნული არაკის
და დამაფიქრე საქართველოს მიწის ღალაზე...

ბავშვობა ჩემი შენთან დარჩა ილტოს ჭალაზე,
დღეს სტუმარი ვარ შფოთიან და უცხო ალაგის,
ღელავს ცხოვრება, როგორც ტალღა მღვრიე არაგვის.

მზე მეკიდება, როგორც ცეცხლი გამხმარ ჩალაზე...
და რომ ეს გული საბოლოოდ ვერ დასვენდება,
მე ისევ შენი მშვიდი სახე გამახსენდება.

სიძულვილის მესსია

იმედთა თასებს ამსხვრევს დროება,
მეც ერთ ნამსხვრევად დაბლა ვეცემი,
დაირღვა კარგთა დროთ მყუდროება
შხამის და გესლის ბილწ საცეცებით...

შევყურებ სამტროდ შელესილ ქალაქს,
მდინარე ბოღმის მიარღვევს ქუჩებს,
ამხადა შლეგმა ცხოვრებამ ქალა,
მამთხვია თავის სისხლიან ტუჩებს.

სიყვარულს აღარც დავეძებ, რაკი
ვიცი, სიყვარულს ვიპოვი ვერსად...
დუმს სიყვარულის ძველი არაკი,
ქუხს სიძულვილის ბოროტი მესსა.

ნიღბები

მაინც როდემდე უნდა იაროთ,
ადამიანნო, ნეტავ ნიღბებით
ან პირფერობით და მლიქვნელობით
რად-არ გწყინდებათ, რად-არ იღლებით.

შობილხართ უფლის სახედ და ხატად,
თქვენ კი ნიღბებით დაფაროთ ცდილობთ
თქვენი ბოროტი სიტყვა და საქმე,
ბნელი ფიქრების წონა და კილო.

ნუ გიქცევიათ სამყარო სცენად,
ხოლო ხელობად ეგ თვალთმაქცობა,
ამაოდ ცდილობთ, ნიღბით შემოსოთ
ბოლომდე თქვენი არაკაცობა.

რადგან ყველაფერს აქვს დასასრული:
ცირკსაც, ნიღაბსაც, მოჩვენებასაც,
რადგან უმალვე გამომჟღავნდებით,
როგორც კი შავი მიწა შეგბასრავთ.

აღიმართება მკაცრი მსაჯული
და ისტორიის ცხელი პწკარებით
იმ თქვენს სატანურ ნიღბებთან ერთად
მიგეხურებათ მძიმედ კარები.

ძალას დაკარგავს თქვენი თამაში,
სათქმელსაც ველარ მოაგიშერებთ
და მომავალი, როგორც განაჩენს,
მახინჯი ნიღბის ძეგლს აგიშენებთ.

შენ გევედრები

მხოლოდ დუმილი, ღამე,
მხოლოდ შავბნელი ფარჩა,
უიმედობის გარდა
წინ არაფერი არ ჩანს...

ვით შევებრძოლო, მითხარ,
ამდენ ნისლსა და წკვარამს,
მხოლოდ ვერა და ვერა,
მხოლოდ არა და არა...

წელთა სალუქი მძიმედ,
დაჟინებით და ძალად
ახალგაზრდობას ჩემსას
ღია დილეგში მალავს.

შენ გევედრები, ღმერთო,
მომეც უნარი ძლევის,
ჩემი დაღლილი სული,
ჩემი გამშრალი ძვლები,

რომ არ დაურჩეს ეშმას
და თვითმკვლელობით ავით
არ ჩამოვფინო ძელზე
ბაწრით ჩემივე თავი.

მზე ჩადის

მზე ჩადის, გაავდრებულა,
ღრუბლებმა ზეცა დახურეს...
ნელ-ნელა მოდის სიკვდილი,
ჩუმად, თანდათან მახუნებს...
მხოლოდ სამარე თუ იხსნის
მათხოვრებსა და გლახუნებს!...

კაენური ორგიები

სიხარულს ეშმის საზღვარი არ აქვს:
გაუტანლობა, კვლა, სიძვა, შური...
კლდეზე დათესილ იესოს არაკს
დასდევს ღიმილი ფარისევლური...

დულს სიძულვილი, დაუნდობელი
ხელი მოყვასთა სამარეებს თხრის...
და გულში ზრახვა ბოროტი, ბნელი
ლიბოდ იდება მომავალ საფრთხის...

თვალები ეწვის სირცხვილით კაენს,
სისხლის მორევში ცურავს აბელი,
მდუმარედ არხევს სიკვდილი ჰაერს,
მიწაზე ვგდივარ, ვით კრეტსაბმელი...

ჩემს დას მარინას

ვერ შევეჩვიე ამ სიმარტოვეს,
კვლავ შენ გიხსენებ, ძვირფასო მარი,
მე მოგონება ბნელეთში მტოვებს,
თითქოს სინათლეს დაეხშო კარი.
იმ სახლში, სადაც, ძვირფასო დაო,
ვცხოვრობდით დიდხანს და-ძმანი ორი,
ვცდილობ სიცოცხლე კვლავ ავაყვაო,
მაგრამ არ არის ასე იოლი...
წახვედი, სხვაგან დაიდე ბინა,
მე მიხარია და მწყდება გული!
ნეტავი ყველას გააგებინა,
როგორ ჩამჭკნარა აქ თაიგული...

სეფდა მთამი

ალაზნის წყალი მოგტიროდა ბარისკენ მავალს
და ვარსკვლავები დართლოს ღამის, იმ მთვრალი ღამის...
გეეედრებოდნენ, როგორც მთვარეს თითბერის ოვალს:
გზის გაგრძელებას, მთების ხილვას, განცდას სიამის.
მინდოდა ყელში მივწვდენოდი მყივანა მამალს,
მე მაგიჟებდა გულქვაობა დამდგარი ჟამის!
ღამე კი, ღამე მომძახოდა: „ეგ ქალი წავალს,
ვით სასწაული ცისთვალაზე ღვთიური ნამის!...“
არც შემომხედე, ისე გაცდი თუშეთის სამანს...
შენ მართლა წახვედ, მიდიოდი, გაფრინდი ლამის...
მე კი ყოველთვის შენთვის ვკრეფდი მთის იასამანს...
შენს გაჩენისთვის მადლს ვწირავდი მოდგმას ადამის!
მაგრამ ვერ მივხვდი, ამ ცხოვრებას როგორ მოვება,
ახსოვს ომალოს ჩემი შენთან გამოთხოვება...

ყრუ მათხოვარი

შემომეგება შარაგზაზე მთვრალი ეროსი,
ბარბაცით გავცდი გუგებს ღმერთის არეულ თვალთა,
ვერ გადავურჩი ჯადოსნური გამომკრა კალთა
და ამათრთოლა, ვით ფოთოლი ვერხვის ღეროსი!...
მას შემდეგ ასე გახინჯული, ნაიარევი,
გულით სნეულით და თვალებით ზღვით სევდიანით,
ღიმილით, ფიქრით, გამოხედვით არაჭკვიანით,
უმისამართოდ ამ ქალაქში დავიარები!..
შენთან მოვდივარ გაწვდილ ხელით, ვით მათხოვარი,
შენი მზერა კი ჩემი სახის ხილვას არ ელის,
არა გჭირდება სიტყვა ვილაც ყრუ ჭართალელის!
თავს მოიბოჭავ, ვით ქალწული გაუთხოვარი!
დადგება ღამე, ეშმაკები მართავენ არულს
და ვუმასპინძლებ მწუხარებას, ფიქრებს მოარულს...

შეხვედრა

არც თეთრსა ტაიჭს არ ვიჯექ,
არც მეცვნეს კაბა-ჯუბანი,
მცხეთისა ქუჩას გადმოვედ,
ჩამოვიარე უბანი.
თვალი მო-ცა-გკარ, ავტირდი,
თუმცა არ ვიყავ ჯაბანი,
მოდი, დამხურე, მიწაო,
ეგ შენი შავი საბანი.

ჩემ ფიქრთ წყარონი

ჩემი ფიქრების მთებიდან
ცრემლის წყარონი დიანო,
ერთ რამეს გეუბნებიან,
ერთ რამეს გევედრიანო:
გაიგო მათი ჩურჩული,
გზები არ დაუზიანო...

საყვრე

ფარფალებს შენი საყვრე,
ციცქნა ნაწილი მძივების,
შენი აჩრდილის შემყვრე
ფიქრს და ოცნებას მივები,
ვიღიმი...
თუმცა, სადა მაქვს
წუთები გასაღიმები...

მოვდიოდი

ლურჯი ზეცა შეიღება დასავალთან...
მთა ცისთვალებს ოცნებების დარად შლიდა...
ყველა ნატვრა ბორბალოსთან დასამარდა,
საყორნემაც ველარაფრით დამამშვიდა...

მოვდიოდი, შენს ნაბიჯებს კვალში ვდიე,
სხვა რა მრჯიდა? არაფერი, ახლა ვხვდები!
ველარ გიკრეფ ლაროვანზე ცისფერ იებს
და შემკრთალი ველარც შენსკენ ვიხედები!...

მე ისევ გელი

ბნედა. სიკვდილი. დამშრალი გუგა.
კუბო. სამარე. თეთრი ლენტები.
მივდივარ თუმცა, მივდივარ თუმცა,
მაგრამ, რომ გტოვებ, არ მემეტები...

ცრემლები. მიწა, ფოსფორი. გველი.
ბალახი სული ბალახში სახლობს!
ბორბალოს ქედზე მე ისევ გელი,
დეკიანებში, წყაროსთან ახლოს...

* * *

ოჰ,
ფიქრებს ჩემიდან შენამდე,
ლამის არს
ხელებში შევადნე...

მოიკალ თავი

ახლა სოფელში, იდილიურ სიმჩუმარეში,
ყოველ საღამოს მოაქვს ფიქრი, - მძიმე ნობათი,
შევყურებ ზეცას, კვლავ დაბლა ვარ, ცივ სამარეში,
სულ აღარ მართობს ჭრიჭინათა ბრძნული კამათი.

გიხსენებ... სევდას მიათკეცებს გამწყრალი მთვარე,
გადავშლი გრანელს, უხალისოდ ჩავყვები სტრიქონს,
აქაც ცრემლია, აქაც დარდი და სიმწუხარე,
თითქოს ეს კაციც ჩემი სულის მხატვარი იყოს!..

არ ჩანს ნუგეში, დახურულა ყველა კარები,
ცრემლიან თვალებს ვერ დაფარავს ღამის ბნელება,
წადი, დატოვე ეს ქვეყანა გაუხარები,
მოიკალ თავი, თვითმკვლელობა ნუ გეძნელება.

შორი ხარ

ახლაც ვტირივარ, რაც შემიძლია,
მაგრამ თვალებზე არ მრჩება ლაქად,
რა გავაკეთო, ვერ გამიგია,
რისთვის მოვსულვარ მე ამ ქალაქად.

ნეტავი სულაც არ დამენახე,
სულ არ გამეგო შენი ცხოვრება,
ალბათ, შემხვდება ბევრი სიგლახე,
სიკვდილი, ჯვარცმა, გამათხოვრება.

შორი ხარ, შორი, ვით ცისკრის თვალი,
ატირდა გული, ისევ ვტირივარ,
თუმცა, რა არის აქ შენი ბრალი,
მე, ალბათ, თვით ღმერთს გავუწირივარ...

გაელენ დღეები

გადმოვიარეთ ყაფრისგორი,
ბარად ვეშვებით,
მოსჩქეფს არაგვი
ამღვრეული, ეხში მყეფარე,
გოლიათებად აღმართულან
მთათა ეშვები
და ცაზე შენი ღიმილივით
კრიალებს მთვარე...

გავლენ დღეები,
შორს დაგვრჩება არაგვის ჭალა,
ვინ იცის, ან ჩვენ სად გაგვრიყავს
გზათუპოვრება,
მე, შენ კი არა,
დამივიწყებს თვითონ ჭართალაც
და, როგორც ლანდი,
ბნელს შეერთვის
ჩემი ცხოვრება...

რად მემართება

იყოს სიკვდილი, თუკი შვებაა,
სიცოცხლეს მაინც არა ვთვლი არად...
თავად არ ვიცი, რა განგებაა,
რად მემართება ასე, ამგვარად...

რად დამებმება ენა წამიერ,
როცა შეგხვდები და შემოგხედავ...
რატომ შემიცვლის სიმორცხვე იერს,
გადამედება კანკალი ხეთა!...

მიკვირს

ალარ ვუწუნებ სიტყვებს ვიიონს,
რადგან ღირსნი ხართ მართლაც ძაგების!
რადგან სიყვარულს დაეძებთ იოლს,
ოღონდ გარეშე მხოლოდ წაგების!...

ეს მერამდენედ, ეს მერამდენედ
მოტყუებული გიცდი და მიკვირს:
რატომ ქცეულა სამყარო სცენად,
რად არის ზეცა უბრალო თიკვის?..

სიცოცხლის გარეთ

ვიცი, არასდროს გაგახსენდები,
ახლა ძნელია ცდა და ლოდინი,
იქნება შეცდა თავად პეტეფიც
ო, გამიშალეთ მიწის ლოგინი...

ივნისის ცხელი ქარები ქრიან,
დავალ საკუთარ თავის მოზარედ
და თუ ამასაც სიცოცხლე ჰქვია,
მაშინ გავდივარ სიცოცხლის გარეთ...

ღირსი ვარ

მაოცებს ჩემი ბრიყვული ქცევა
და გამოხედვა - მზერა უგვანო...
ისტორიაში თუ ვინმე შევა,
ალაბთ, მეც შევალ, როგორც უგონო!..

მიკვირს: განა სხვას არ ჰყვარებია,
რომ არ ქცეულა ჩემებრ უსახოდ?!.
დანაშაულში დამღამებია,
ღირსი ვარ, მე გთხოვთ. დამატუსაღოთ!..

აი, თბილისიც

აი, თბილისიც შემოდგომის მჭკნარი ფოთლებით,
ცივი ნიავი კოჯრის მთიდან ისევ დაეშვა,
შევხვდი ძმაბიჭებს, კვლავ გავხსენით ღვინის ბოთლები
და სულში ისევ ძველებურად შემოძვრა ეშმა.

შენ გამახსენდი... რა შორია ახლა შენამდე...
მოგონებებმა ლურჯი ზღვები ცრემლით დანამეს...
იყუჩე, გულო, შენც, ტკივილო, იჭნებ შეამდე,
თორემ ცხოვრებას ვერ ვუწოდებ ამ შავბნელ ღამეს.

მე რა გიშველოთ, რას მაწვალებთ, მწველო დარდებო,
წავიდა იგი... როგორც ხურდა, იმ გზით წავიდა...
მკვდარია გრძნობა, სამარეში უხმოდ ვვარდები
და იხურება სამუდამოდ ქვის პირამიდა.

* * *

ულოკავს ატლასს ნიავი ფოთლებს
და ეეედრება სადღაც გაყოლას,
გავყურებ ნაძვებს ზეცამდე მართლებს,
ვფურცლავ ფრანსუა ვიიონს, სქოლარს.

სისინებს ქარი, თრთის ბალახები,
რომ კვლავ გახსოვარ, - ვერ დავიჯერე!

მაისის სივრცეს ხელით ვეხები,
ამღვრეულია მდინარე ვერე.

მინდა გავიდე ვიწრო ლაჭნიდან,
შემოვიარო სამყარო ვრცელი,
მაგრამ ოცნება ისე გაჭრილა,
როგორც მზის გულზე თოვლის ფურცელი.

ცოტა-მატა

არა, ოქროს სასახლეებს
არ ვთხოულობ ნამდვილად,
მხოლოდ მინდა ეს ცხოვრება
ცოტა გამიადვილა!

ცოტა-მატა პური მომცა,
ღვინო მცირეოდენი,
ცოტა შენი სიყვარული,
თუნდაც ცრემლის ოდენი!

მეტს არაფერს არ ვნატრულობ,
ღმერთო, არ გთხოვ ბედს სხვაში,
სულ ცოტა ხანს ვიცოცხლებ და
მერე წავალ ზეცაში...

არა, ოქროს სასახლეებს
არ ვთხოულობ ნამდვილად,
მხოლოდ მინდა ეს ცხოვრება
ცოტა გამიადვილა!

ბანშორების ტრიოლეტი

გახრულს ფიქრისგან ღამეთა აღვირს,
შენზე ოცნებით ნათენებ დღეებს,
თვალები ჩემი მლაშე ცრემლს აღვრის
გახრულს ფიქრისგან ღამეთა აღვირს.
აღარ მაქვს ნება აწ შენი ნახვის,
დაადგათ ჩრდილი ცხრავე ცის მზეებს,
გახრულს ფიქრისგან ღამეთა აღვირს,
შენზე ოცნებით ნათენებ დღეებს.

გაყიდულა

ნულარ მეტყვით, რომ ჩვენს შორის
სიყვარული მიიღწევა,
სიყვარული აღარ არის,
ჩემო ადამ, ჩემო ევა!

გაყიდულა საოცნებო
სიყვარული ჩალის ფასად,
შეთითხნია უძვირფასეს
ოდა-სასახლეთა ფასადს!

აღარ უნდა აღარავის
შენი ბნედა, შენი კვდომა,
მიწას ხმელი ფოთოლივით
დაგანარცხებს შემოდგომა...

დროა, შენაც მიხვდე სიბრძნეს
ამ შაირად თქმული ამბის,
რომ ზღაპარი სიყვარულზე
ლეგენდაა თეთრი თამბის!

რომ დღეს ისიც წაჰყოლია
საუკუნეების ქაოსს
და რომ გულთა იქით აწვიმს
მის ჭუჭყიან სასაფლაოს...

ხალხურ მოტივზე

როშკასთან ცივი ნიავი
ქალივით კოცნას შემპირდა,
მზეც აღარა ჩანს აღარსად,
გამრღვევი ღრუბლის ჯებირთა.
აღარცერთს აღარ დავუცდი,
ლამაზო, შენი ჯიბრითა,
ქარაფში ჩავიჩეხები,
ქვიშას ჩავიტან ჯიბითა,
თმას ჩანჩქერ გადამივარცხნის,
მამირთავს ვერცხლის შიბითა,
  რაისად მოვკვდი? გპასუხობ: —
არ გიყვარდი და იმითა...

ნანას

ბილიკს დავყევით რცხილიანს,
ცას ლურჯი სტავრა ეფინა,
უეცრად რაღაც სურვილმა
ყვავილი დამაკრეფინა!

მოგართვი გამომიწოდე
ხელი - ძახილის ნიშანი,
სულ ახლოს გედექ... შორს მტკვარი
ღელავდა გულუშიშარი...

ზენ ბაგინეთის მთა იყო,
საყდარი წმინდა ნინოსა,
ქვენ ჩემი გული გეფინა
ლაღად შეგეძლო მი-მოსვლა...

მაინც

აბა იმედი საიდან,
აბა ხალისი რითილა?
რაც გაგიცანი, მშორდები...
უფრო და უფრო მიდიხარ...
მე კი, რა ვიცი, ვერა გთმობ,
მაინც კი სანთლად მინთიხარ...

ნუ დამშორდები

შე მშვენიერო, შავთვალავ,
შორს მოშრიალე შროშანო,
წამო, გეძახის ჭართალა,
შარას შიბები მოვშალო.

ნუ დამშორდები, სიშორე
შენი მე შემრევს ქვიშასო,
შენზე ფიქრს ველარ ვიშორებ,
ვით ბედისწერის ნიშანსო.

ბედო არშალო-მარშალო.
შემომხსენ შავი შანები,
მიაც შავათვრა ქორწილში
ხევსურნი შარიანები...

მაგრამ, ეჰ, გახდი რა შორი...

ცას სარკის ნატეხს ტოროლა,
მიწას ყვავილი - შროშანი
წუხილს იმედი, მაგრამ, ეჰ,
იმედი როგორ შორს არი...

სიბნელეს - მთვარის საყურე,
დარდს - ფიქრის სათამაშონი
უშენოობას - შენი ხმა,
მაგრამ, ეჰ, გახდი რა შორი...

უშენოდ

დავკარგე შენი ღიმილი
იის თვალების ხილება,
დავრჩი უშენოდ... ღრუბლიანს
ცაც ველარ მომეჩრდილება,
ძნელი ყოფილა სიცოცხლის
სხვისათვის განაწილება...

შენი სიყვარულით მონაგები

უნდა შენ გეძებო სიკვდილამდე,
უნდა ეს თვალები დავითხარო,
საკუთარ სხეულის ჩასამარხად
უნდა ამოვიჭრა დანით ხარო.

ვიცი, რომ რაც უფრო დაგეწევი,
უფრო გაიზრდება გზა მოსვლისა...

ოი, რა ძნელია და რა ტკბილი
ზიდვა ამ ეკლიან სამოსლისა!

სურვილს სინამდვილე ჩამიქოლავს,
რომ ვერ გავახილო თვალი ფართოდ,
ყველა სადარდებელს მე ვიდარდებ,
შენ რომ არაფერზე არ იდარდო.

შენთვის სატარიგოდ მამზადებდა
ბედი დარდის ბუჩქზე დანაგდები,
ცოცხალს გიგულებდე, სხვა რა მინდა,
სანამ ჯოჯოხეთში ჩავლაგდები...

არა, ნურასოდეს შემიყვარებ,
თუ გსურს სიძულვილიც მომაგევი,
ჩემთვის ყველაფერი ძვირფასია,
შენი სიყვარულით მონაგები.

არა, არ მინდა მჯეროდეს

მინდარის შენთან შეხვედრა,
შენი მოხილვა მინდარის,
მტანჯავენ მოგონებანი
მთების და ალპურ მინდორის...

ერთად რომ შემოვიარეთ,
ნუთუ ის გზები ბნელს ერთვის?
ნუთუ ტყუილად ვაგროვე
ცისთვალეები მე შენთვის?

არა, არ მინდა მჯეროდეს,
თითქოს სულ არა ვიცი რა...
მე ვგლოვობ... შენ კი ის წლები
ალბათ, არც გკმარა სიცილად!..

თეალთა ხმა

შენ არ გესმოდა ჩემი ძახილი,
მე კი შევძარი თითქმის ქვეყანა,
რაღაც იმნაირ ბედს ავეხირე,
ეს ჯვარცმა უნდა გადამეტანა.

დაგეწეოდი... მაგრამ მზის სახლში
ისე შეხვედი, ისე შემასწარ...
იფანტებოდნენ ფოთლები ბაღში
ცრემლებადქცეულ ქრიზანთემასთან.

მოთქმა კი ჩემი ესმოდა არვის...
ვიდექ... მაწვიმდნენ ფოთლები ხმელი...
და როგორც სხეულს გაძარცულ ალვის,
ისე მიმზერდა ჩუმი მნახველი.

უსიყვარულოდ

გაფრენილხარ, სიყვარულო,
უცნაური ფრთებით
და უშენოდ ლამის თითქმის
ყოველ ღამე ვთვრები.

ხან მთაწმინდას ვესტუმრები,
ხან გალავნებს მცხეთის,
მე პატრონი ლექსების და
დაწყევლილი ბედის.

სანუგეშო ქვეყანაზე
არაფერი არ ჩანს,
ხევსურეთში აღარ წავალ,
ვესტუმრები რაჭას.

ვივლი ობლად და ჩუმ ფიქრებს
ჩუმად ვეტყვი მთათა,
ვერ გავიგე, აქ რა მინდა
მობინადრეს ცათა?..

სიკეთილო, მომეახლე

რაღა მაქვს სასიხარულო,
ყველა იმედმა დამტოვა...
დავდივარ უსიყვარულოდ,
განწირული და მარტო ვარ...
სიკვდილო, მუდამ ფარულო,
მომეახლები რატომ არ?

წახვალ

ელვარებს ილტო, ვით აგრამანტი,
ყელგამოჭრილი მოთქვამენ მთები.
აელვარდები, ვით ბრილიანტი,
დილის მზესავით ამოენთები.

და მე ნაღველი აქ, ჭართალაშიც,
მომთიბავს, როგორც ცელი ბალახებს,
ნებით გახვეულს შავ სუდარაში
ჟამი უდროოდ ამატალახებს.

წახვალ... ჩაივლი ბილიკებს მშვიდად...
თმებს შეგირხევენ ნელი ქარები...
და მოთვალთვალე მთვარეს ზეციდან
ჩემს ბნელ სადგურში გავეპარები...

ბრმა სიყვარული

თუმცა შენ აღარ მიყურებ ზედაც,
ცა ნისლიანი ბნელით ირთვება,
ჩემი სიცოცხლე, ვიცი, ისედაც
მალე სამარეს მიერითმება.

ვერ დაგივიწყებ, რა ვუყოთ, თუკი
შენ დავიწყების ნისლებში მფარავ,
მოვალ ზეციდან, ვით მთვარის შუქი
და მიძინებულს კოცნას მოგპარავ...

შურს ვერ იძიებ, ჩემი სტუმრობა
ისე იქნება შენგან ფარული
და ცაზე როცა მთვარე ამოვა,
კვლავ გაცოცხლდება ბრმა სიყვარული.

ღამე რომკის გადასასვლელთან

ო, იმნაირი ღამე გავტეხეთ,
დედაჩემს თვალებს დაუცრემლავდა...
სად იყო ცაზე მთვარის ნატეხი,
წვიმდა, სეტყვავდა, ქროდა, ელავდა.

შეცურდნენ ნისლში ელვარე მთები,
წყაროებს თმები წარღვნათ დაბანეს,
კარვები ნისლის სათითეებით
კრთოდნენ, აფენდნენ ფერმკრთალ საფანელს.

სად იყავ... ვაი, როგორ გინატრე...
უძილო თვალთან დილამ ინათა...
რა ბედნიერი ვიყავი ადრე,
დღეს კი ხმაც მძულდა ადამიანთა!

ვინ გამიწევდა შენს მაგივრობას...
მზე ნისლებს წეწდა ჭაუხზე როშკის
და მიცოცავდა, როგორც ობობა
უფსკრულში კალთა იცნების კოშკის.

ვტიროდი... ცრემლი ვერვინ შენიშნა,
ან რას შეატყობს კაცის სხვის სახეს,
გავები აღმართს, როგორც შენიშვნა,
თითქოს ბნელ ხევში გადამიძახეს.

ნაზვავარივით დნებოდა გული
წუხილით, დინჯად, აუჩქარებლად
და ვით სიცოცხლეს, ტყვიით მოკლული,
სინანულისკენ მიმაქანებდა.

ვინ რას მიშველდა... ავყევ სხვათა ხმას,
როგორც საყვარელ შვილს ნადედობი,
ვგრძნობდი, რომ სადღაც მთების გადაღმა,
უკვე მიცდიდა ჯუთის ფერდობი.

და იქ ჩავკლავდი ჟიპიტაურში
შენზე დარდს, სევდას, თვალთა სველებას...
და ჩავმარხავდი ლექსის ხმაურში
მკვლელ სიმარტოვის საშინელებას...

ღილა არაგვის ხეობაში

მზე უკნიდან გვეპარება
ცეცხლი მთის ჩიქილაზე!
ციცი სიო სულში ძვრება
საარაგვოს ღილაზე.

ნაბახუსევს მელვიძება
სისხლიანი თვალებით,
განა ასე შეიძლება?
მზეს ქირდავენ ქალები!...

ბალახს ნამი ალმასივით
აუბზინდა, აენთო,
მზეო, ახლა ჩვენ ბევრი გვაქვს,
როგორც ვატყობ, საერთო...

ნუ შემომხვდები...

ნუ შემომხვდები,
დავიწყებამ მინდა დაფაროს
ის უცნაურად
და უთქმელად ვრცელი სამყარო.

სამყარო, სადაც
შენი ტრფობის ცეცხლი ანთია,
ცეცხლი, რომელიც
დღემდე არვინ არ მაპატია.

ნუ შემომხვდები,
მიინავლოს იქნებ იმ ალთა
შეხვედრის ჭმუნვით,
სიმძიმილით დაღლილი კალთა.

ნუ შემომხვდები...

თუ კვლავ მიგონებთ

სამთულებსა და ცისთვალებს
მწვერვალთა ლამაზ დობილებს,
ვისთა ტრფიალიც სიცოცხლეს
იოლად დამათმობინებს,
ბარიდან ვეჩურჩულები,
ვუძღვნი ამ ლექსის სტრიქონებს,
აღარ გახსოვართ? - აღარც რა!...
გმადლობთ, თუ კვლავაც მიგონებთ!..

იახსრობაგე
(ხალხურ მოტივზე)

იახსრის ყმათა სტუმრად ვარ,
ვეწვიე ფშავის სანახებს,
მოდიან შავ-თვალ-წარბანი
მააცოცხლებენ ბალახებს,
მიცქერენ ცნობისმოყვარედ,
მაშლიან ვერცხლის ტალახებს,
რა გინდათ, გასაწყვეტლებო,
ნეტავ რა ჭირი გალაღებთ,
ცოლშვილიანი კაცი ვარ,
მე თქვენ გულს არას განახებთ!..

სიგმარი მთებში

...შენ მიდიოდი ნაბიჯით ნელით,
ნაბიჯით ფრთხილით, ნაბიჯით ნაზით,
როგორც მზის სხივი უკანასკნელი,
როგორც მოწყენა დაისის ხაზით.

მე გიკრეფავდი ყვავილებს მინდვრის
ცისთვალებს ცვრიანს, ზეციისკენ მზირალთ
და ვით მუსიკა მთებში ჰაიდნის,
იმგვარად რეკდა შენი ხმის ლირა.

ხოლო როდესაც ბურანის თორი
შემოეხვია თავს მეხატობეთ,
მწვერვალთ დაადნა ნისლების ტბორი,
ქედებმაც ღრუბელთ ზღვებში გატოპეს.

მოვედ და გითხარ: გჯეროდეს, გწამდეს
(ბაგენი თრთოლვით მარცვლავდნენ ბგერებს),
მიყვარხარ, მსურხარ მიწიდან ცამდე
ცოცხალსაც, მკვდარსაც, სიკვდილის მერეც.

მაგრამ ო, ეჭვმა გახია ფარდა
დუმილის, როგორც აკლდამა მშვიდი:
შენ ხომ ჩემამდე სულ სხვა გიყვარდა
და ფიანდაზსაც სულ სხვას უშლიდი.

არ მჯერა, არა სიტყვების შენის,
ნუ ცდილობ, მეც რომ მომინადირო,
სულ არ გიხდება, სულ არ შეგშვენის,
არის ზედმეტი და უადგილო.

ვიცი მიზანი თქვენი ცხოვრების:
შენ უჩემოდაც იოლად გაძლებ,
ხვალისთვის აღარც გემახსოვრები,
უპატიოსნეს პირობას გაძლევ!..

მითხარ და ღიმილს მიუშვი ღვედი
(ალბათ დაცინვა თუ იყო, ღმერთო),
ასეა: პოეტს ვინ მისცა ბედი,
რომ გამონახოს ქალთან საერთო!

ანდა ნეტავი ვის რისთვის უნდა,
ან ვინ რა თავში უნდა იხალოს,
ცხოვრება მისი - მათხოვრის ხურდა,
სიცოცხლე მისი - მიბმული ჰალოს!

დამთავრდა დგომა ოვალთან ზეცის,
დავუყევ დაღმართს მარტო და სალთად,
მშიერი, როგორც ზამთარში მგელი,
ღარიბი, როგორც მოხუცის კალთა...

ვით არ მიყვარდე

რომ არ მიყვარდე, რა მინდოდა შენს სიახლოვეს,
ვინ დამიჭერდა, განშორებას ვინ დამიშლიდა,
მიგატოვებდი, სულ უბრალოდ, სულაც ახლავე,
განვაშორებდი მე შენს გიშერს ჩემს საგიშრიდან!..

მაგრამ არ ძალმიძს, კვლავ მიყვარხარ ძველ გატაცებით,
არ შემიძლია, დაგივიწყო, შეგრიო ლეთას,
შენი ცრემლებით ემაგ ვერცხლის ლამაზ მარცვლებით,
შენი ღიმილით, მზერით, ხსოვნით გარდასულ დღეთა...

ვერა, ვერ განგყრი, განგიგულებ ჩემს არსებიდან,
ჩემი სხეულის, ჩემი სულის ვრცელო ნაწილო,
ვით არ მიყვარდე, როს მიყვარხარ დაბადებიდან,
შენ რომ გაგწირო, ჩემივ თავი უნდა გავწირო!..

დე თუნდ სამყარო ჯოჯოხეთად იქცეს მდუღარედ,
თუნდა მათხოვრის, მაწანწალის შემმოსოს ჯვალომ,
არ შემიძლია, გულს ურდული გადავუყარო,
და გადარჩენის მოჩვენებით წამზე გაგცვალო...

სიყვარული

თითქოს შორს არის ის ზაფხული, ის მწვერვალები,
თითქოს გადადნა ხსოვნა წლებად, დღეებად, წამად,
თითქოს ის გრძნობა განშორებით გადაინამა,
თითქოს დაბინდა დავიწყებამ ნუკრის თვალები...

მაგრამ ო, თურმე თავს ვიტყუებ ძველი შაირით,
რომ თითქოს დრონი და მანძილნი სიყვარულს შლიან,
მაშ რად მახსენებს ეს ნიავი შენს კაბის შრიალს,
მაშ რატომ ხდება, რომ კვლავ თითქოს ერთად ჩავიკლით?!.

არა, მძაფრია ის პირველი, სათუთი, ნაზი
და მას გულიდან, ბევრიც ვცადო, ვერაფრით წავშლი,
სულის ცხრაკლიტულს შენ შეეხე პირველად დაშნით
და სამუდამოდ ამოტვიფრე ზედ თრთოლვის ხაზი...

გახსოვს?

გახსოვს თუ არა ბორბალოს
ციხეკენ მკერდგაწვდილს მეხურად,
გულჯავრიანი ღრუბლები
მატყლის ქუდად რომ ეხურა?
ცადასულ დარდებს ვაპკურე
უშენოდ ყოფნის ნაღველი...
ის ღრუბლებ ჩემ ფიქრებ იყვნენ,
ცა კი მე შენი მნახველი...

ხალხურ მოტივზე

დარია, აღარც დარია,
მზე არის, აღარც მზე არი,
მე მზიათაკე გავყურებ,
ცას გაჰყურებენ მზიანი...
გულო, ყველასგან ყოველთვის
შენ რაზედა გაქვს ზიანი,
მომშორდი, უამინდობავ,
წაიღე შენი ზიარი,
მოღრუბლვა, გაუცინრობა
რა ჩემი შნო და ზნე არი,
მალხინეთ, ბაგელამაზნო,
აგრემც გიშველით ზეარი!...

ტრიოლეტი ესმერალდას

ო, ბედისწერავ, სილამაზეს რად ემტერები,
რად ასამარებ სასოებას ბოროტ ჭანგებით,
რატომ გწყურია ამოშანთვა ბედნიერების,
ო, ბედისწერავ, სილამზეს რად ემტერები.
ავო კლოდ ფროლო, ესმერალდას ვერ მოურევი,
კვლავ მოუხმობენ ფებუსს მისი ნაზი ჰანგები,
ო, ბედისწერავ, სილამაზეს რად ემტერები,
რად ასამარებ სასოებას ბოროტ ჭანგებით.

გაგაფხული

გაზაფხულს ვერსად დაემალები,
ვერ შესძლებ ამას!
უყურებ ქუჩას - სავსეს ქალებით
იმ მოკლე კაბას!

უყურებ, უმზერ, მიაქვთ ქართა
უფლის იგავი!
და უკვე... თითქოს.. შენ იმ ქალთან
ერთად იყაკი...

არ უნდა ჩაქრეს

არ უნდა ჩაქრეს ეს სანთელი
სულ უნდა ენთოს,
ნაზმა სხივებმა ბნელი სივრცე
სულ უნდა კვეთოს,
დასტურად ჩვენი სიყვარულის
სპეტაკის, წმინდის,
ნიშნად იმისა, ვით გვიყვარდა
ერთურთი ერთ დროს...

ოთხი ლექსი ციკლიდან: „პოეტის ცოლ

I

ბელას

სიცოცხლეე ჩემო, იმ დღიდან, რადგან,
რაცა ვართ ერთად, ვარსებობ შენით,
ნუ მთხოვ ჩვენს შორის არსებულ გრძნობის
სახელი კაცთა გამოვთქვა ენით.

ამღვრეულ დღეთა მრუმე ნისლებით
დადაღულ ჩემს გულს თუ უშველიდა
რაიმე, მხოლოდ დაიწყო შენით,
შენგან, შენს მიერ, მხოლოდ შენიდან.

თორემ რას ჰგავდა აბა წარსული
საკუთარ თავის ჯალათად ვიყავ...
ო, რა თქმა უნდა, მიყვარხარ ძლიერ,
შენ, ჩემო ნეკნო, ჩემგვარო თიხავ.

და რადგან მაინც მე ვარ პოეტი,
ნუ გინდა ვგავდე ათასებს, ასებს,
იქნებ არც გითხრა გაფასებ-მეთქი,
მაგრამ შენ ხომ გრძნობ, როგორ გაფასებ.

და რადგან მე სულ სხვა წესით ვცხოვრობ,
ჩემო კარგო და ლამაზო გოგო,
იქნებ არც გითხრა, მიყვარხარ-მეთქი,
მაგრამ შენ ხომ გრძნობ, მიყვარხარ როგორ.

თანდათან ვიძენ სიცოცხლის ხალისს,
მსურს შენს ჩრდილს ყვავილთ ბაღი ვუშენო,
იცოდე, გწამდეს, პოეტის ცოლი,
რომ არ არსებობს იგი უშენოდ.

II

შენ უნდა მყავდე, რომ ვიარსებო,
რომ არ გავაცხო სული ვადამდე,
შენ მომაბრუნე ცხოვრებისაკენ
და კვლავ სიცოცხლის რწმენა გადამდე.

ახლაც შენა ხარ, რომ მაძლებინებ
ამ გესლიანი დროის ზმანებებს,
თორემ ერთ დღესაც, შენ რომ არ მყავდე,
ქვეყნად სიარულს თავს დავანებებ.

ეს შენი ხმაა, სიცოცხლევ ჩემო,
შენი მზერაა, იმედს რომ მინთებს,
თორემ, თუ ისევ მარტოდ დავრჩები,
უთუოდ ჩახმახს გამოვდებ თითებს.

სხვა ვინ მიძღვნიდა ამდენ სიყვარულს
და სითბოს, ჩემო, შენ რომ მიძღვენი,
ეს შენ მაჩუქე ამდენი სიტკბო,
ასე უხვი და აღურიცხველი.

მიიღე ჩემი წრფელი ამბორი,
აჰა, ეს ლექსიც ტრფობა ულევი,
დე, სიყვარულის ცეცხლით ნათობდნენ
სამარადჟამოდ ჩვენი გულები.

III

რაც გულში სიყვარულს დავტევ,
რაც სულში სიხარულს ვითევ,
მივუძღვნი შენს ლამაზ ხატებს,
შენს სუსტ და მშვენიერ თითებს.

გავედრებ მაცხოვრის გამჩენს
სათხოვართ წინარე ყოვლის,
მარადის რომ შენთან დარჩეს
ღიმილის მსუბუქი თოვლი...

სიტყვებით არ ვნისლავ ჰაერს,
ისედაც მშვენივრად იცი,
შენა ხარ ანი და ჰაე
ამ ჩემი მდუმარე ფიცის.

IV

არ მოელოდი, ვიცი, ცხოვრების
ასე უხეშად შემობრუნებას,
რადგან, ძვირფასო, მაშინ ჯერ კიდევ
შენ არ იცნობდი მგოსნის ბუნებას!

შენ არ იცოდი, რომ პურს და სარჩოს
ერთ ლამაზ სტრიქონს ვანაცვალებდი,
ჩემი ძალლური ილბალის ზიარს
აღუწერელად გაგაწვალებდი.

რა მოგეწონა შენ ჩემში მაინც,
ნეტავ მაშინვე გცოდნოდა მისხლით.
გცოდნოდა კარგად, რომ პოეზია
იქმნება მხოლდ პოეტის სისხლით.

და რომ ლექსისთვის იგი ჯიუტად
გაიღებს, რაც კი რამ აბადია,
რაც შეიძლება ჰქონდეს ან ჰქონდა
ამ უცნაურ და ბრიყვ ადამიანს.

და თუმცა სულაც არ არის ავ ზნის,
მისი არსების ზუსტო წილადო,
ხან იქნებ გულზე რომ გესალბუნოს,
იმდენი სითბოც ვერ გიწილადოს.

ზედმეტი არის იგი ქვეყნისთვის,
სადაც მარტოდენ ხორცნი ზეობენ,
ნუ ეომები ამ სივრცის მონას,
დადექ და ისევ შენს თავს ეომე!

უყვარხარ, სულო, ვით არ უყვარხარ,
უყვარხარ, მაგრამ ამ მიწიერი
ცხოვრების არა გაეგება-რა,
როგორც ბავშვს შორი დასალიერის.

რა ვქნა, ო, რა ვქნა ახლა, როდესაც,
ახლა, როდესაც ასე გჭირდები,
გჭირდები, როგორც არსებობასთან
ბრძოლაში ბურჯი შესახიდები.

როცა შენს ძახილს წუხილით ვისმენ
და ამ უნდობარ ომში უფაროს
არ შემიძლია შველა, რადგანაც...
შენ მაინც უწყი, რადაც, უფალო!...

შემინდო იქნებ და მაპატიო,
შემინდო ცოდვილს, სულო, იქნება,
რომ მარტოდმარტო, სულ მარტოდმარტო
ვცხოვრობ ჩემს ძველ და წყეულ ფიქრებთან.

რომ ვერც ოჯახმა ვერ გამაშორა,
ვერც შვილმა ყოვლის აზრმა და არსმა,
სტრიქონის ლინგზე მიმავალ ბილიკს
და პოეზიის ცეცხლოვან ჯვარცმას.

ჩემს ანას

იზრდება ჩემი პატარა
და საყვარელი ანა,
თანდათან წარსულს ბარდება
სიცარიელის ხანა.

თანდათან სახლში მეფდება,
თანდათან ოჯახს ავსებს
გამოუთქმელი ფრაზებით:
„დეა...“, „მა...“ სადღაც ასე.

მოუსვენარი ვინმეა,
დაუდეგარი, ცელქი,
ეს ვარსკვლავივით ცქრიალა,
მანათობელი ნერგი.

ხელ-ფეხს ხომ აღარ აჩერებს
და იმ ოთხ ბროლის კბილით
იმხელა ღიმილს აშუქებს,
ისე წრფელია, ტკბილი...

მომკალით, მისი დანახვა
თუ არ მიხსნიდეს დაღლას,
მიწაზე ვეღარ ვეტევი,
ცაზე დავდივარ, მაღლა...

უფალო, მადლი შენს ძალას,
კაცს ამა სოფლად შთენილს,
მითხარი, ვით არ აღმომხდეს
სამადლობელი შენი.

ასე რომ დამასაჩუქრე,
ამდენ სიკეთით მთოვე,
შენ უკვდავება მაჩუქე,
მე მხოლოდ შვილი გთხოვე!

მითხარით, ვით არ შევება
ცხოვრების მდუღარ ლავას,
სიცოცხლის ხალისს მიბრუნებს
მისი იმედი კვლავაც.

პატარავ, პაწაწკინტელავ,
ფრთებმოხატულო მტრედო,
შენ უნდა გადამარჩინო,
გულზე სალბუნად მედო.

ფერფლიდან გამომიყვანო,
ნაცრიდან გამომჩხრიკო,
კვლავ რომ სტრიქონი გავმართო,
კვლავ რომ პოეტი ვიყო.

ისევ ჩემს ანას

შენ უნდა მექცე შვებად სულისა,
დიდი ხანია დარდს რომ გაბმულა,
შენ უნდა მომცე ძალა, რომელიც
ცხოვრებამ ასე დამიძაბუნა.

ახლა შენ უნდა ამომიცისკრდე.
ახლა შენ უნდა მეგანთიადო,
ყველა ზეცაზეც უფრო მაღალო,
ყველა მზეზედაც უფრო დიადო.

უნდა დამდაფნო ხალისის სხივით,
კვლავ სიცოცხლისკენ შემომაბრუნო,
ჩემო პატარავ, ჩემო იმედო,
ჩემი მტკივანი გულის სალბუნო.

ისევ და ისევ ჩემს ანას

ჩემო პატარა შვილო, ჩემო პატარა ანა,
შენით ვარსებობ ახლა, მხოლოდ და მხოლოდ შენით,
თორემ მამაშენს თავი შესძულებია განა,
რომ შეხიზვნია ამ ჭუჭყს, გადმოუცემელს ენით.

ჩემო ოცნებავ ლაღო, ჩემი იმედო დიდო,
შენ რომ არ მყავდე, ალბათ, არ ვიქნებოდი მე აქ,
აქ, სად მდინარეს მღვრიეს ნედლი სტრიქონის ხიდი
ჩემი თანხლებით სადღაც სიბინძურეში მიაქვს.

ჩემო პატარა შვილო, ჩემო იმედო ხვალის,
შენს ერთ ღიმილად მიღირს ეს ჯოჯოხეთის გამმა,
ოღონდ შენ იყავ კარგად, შენსას ვუმზერდე ხალისს,
ჯანდაბას ჩემი თავი, ჯანდაბას შენი მამა...

ოჯახი

გაგვიცულლუტდა ანა,
ხშირად მახსენებს ბელა,
აღარ მიჯერებს უკვე,
ანდა მიჯერებს ძნელად.

აღარც საჭმელს ჭამს, ნაზობს,
მხოლოდ მაწონს თუ ითხოვს,
ადრინდელივით ისევ
პატარა იყოს თითქოს!

დარბის, დაცელქობს, დახტის,
სათამაშოებს ფანტავს,
ხან მებუტება, ანჩხლობს,
სულაც ბრაზდება ანდა.

ჯიუტი არის, შენ გგავს,
კერპობს, ამაშიც შენ გგავს,
მეც იგივეს მთხოვს სწორედ,
რასაც ისრულებს შენგან.

მასეირნეო დაბლა,
ამიყვანეო ხელში,
რაღა თხოვნები ამის,
რაღა ნოტები ელჩის!..

როცა დაღლილი მთელ დღის
შინ ვბრუნდები და ცოლის
ამგვარ ნათქვამებს ვისმენ
მე უპირველეს ყოვლის,

შემომეხსნება უმალ
დაღლილობათა ლექი,
ვხედავ, მამისკენ მორბის
ჩემი პატარა ცელქი.

ზე ავიტაცებ, ვკოცნი,
გულს უხარია როგორ!
ბედნიერების ზღვაა
ჩემი კუდრაჭა გოგო!

მერე მივდივართ ლაღად
სამნი სივრცეში სახლის
როგორც მპოვნელნი ერთად
რაღაც დიდის და ახლის.

საამო ტვირთი

ჩემს გიორგის

მადლობა შენდა, უფალო,
ეს მხოლოდ შენი ნებით
იხილა ჩემმა გიორგიმ
თავის სამშობლოს მთები.

ოთხმოცდაჩვიდმეტ წელიწადს,
აგვისტოს თოთხმეტს ლამის
მზისფრად ბრწყინავდა სამყარო
მისი მოვლენის წამით.

გამიასკეცდნენ ზრუნვანი
და სიხარულნი, შვილო,
საამო ტვირთად დამაწექ
და მეც - გატარო ვცდილობ!..

სხვა რაღა უნდა მეთხოვა
ნეტავ უფალო, შენთვის,
აწ შიშიც აღარ მექნება
ბნელში წყვდიადთან შერთვის.

ვლიღინებ დაღლილ გულითა,
ოცნება ნაზად მნამავს,
სხვა რაღა უნდა უნდოდეს
ნეტავ ქალ-ვაჟის მამას!?.

მონატრება

ჩემო პატარა ანუნა, ჩემო პატარა გიორგი,
ო, რომ იცოდეთ, შვილებო, ვით ენატრებით მამას
ჩიტების ფრთებს შეისხამდით, რომ იყოს ასე იოლი
და უცებ გადმოიფრენდით კილომეტრს ორას-სამასს.

მაგრამ ეს მხოლდ ფიქრია და ოცნებაა ჩემი,
ჩემო ულურტულა გვრიტებო, ორო ლამაზო ბარტყო,
მე ისევ, როგორც ყოველთვის, ქალაქში მარტო ვრჩები
და ვერც მოგივალთ კარგა ხანს, როგორც ვხედავ და ვატყობ...

მკაცრია ეს სინამდვილე, ეს მანძილი და სივრცე,
დრო მოვა თავად მიხვდებით, რაზეც ვწუხვარ და ვდარდობ,
რადაც მარტყია სახეზე ჭმუნვათა რვალი მტკიცე,
ჩემო ლამაზო იებო, ორო მბრწყინავო ვარდო.

რა უჭირს მანდ თქვენს დედიკოს - გიყურებთ, ტკბება, ხარობს,
დაგკოცნით, მოგეფერებათ, როცა ისურვებს მაშინ,
მე კი ჩავმრჩალვარ თბილისის ცხელსა და ბნელსა ხაროს
და სევდის ქარბორბალები მიტრიალებენ თავში.

თენდება-თქვენ მეფიქრებით, ღამდება - თქვენზე ვფიქრობ,
ვზივარ, ვწევარ თუ დავდივარ - თქვენზე ფიქრები თან მდევს,
სულ თქვენ აკლიხართ, შვილებო, ამ ჩემს სამყაროს მიკროს,
მიუწვდომლობის ჩვენს შორის უზარმაზარი მთა დევს...

ჯანდაბას, ჩემს თავს არ ვჩივი, რაც მომივიდეს, იყოს,
ჯანმრთელად იყოთ ეს არის ახლა მთავარი ჩემთვის,
სიცხე არ მოგცეს, გიორგი, ანუ პატარა ნიკო,
ცუდად არ გახდე ანუნა, ნუგეშო მამის, დედის.

გაშოროთ უფლის განგებამ გასაჭირი და ავი,
დაგიცვათ ხიფათისაგან მაღალი ღმერთის ძალამ,
თქვენ შეგეწიოთ, შვილებო, კოპალის სალოცავი,
თქვენ გაფარებდეთ ლაშარი თავის მადლიან ალამს!

ღამეა ახლა, საათის რავი რამდენი არის,
ვწერ ამ სტრიქონებს და თქვენი ნაბიჯი ოთახს მივსებს,
მიტოკებს ფარდას ფანჯრისას ოდნავ შერხევა ქარის,
თითქოს ეს თქვენი სუნთქვაა, თითქოს აქ იყოთ ისევ...

ო, რა თქმა უნდა, თქვენ ახლა წევხართ და გძინავთ მშვიდად,
მანდ, ჭართალაში, ოდესღაც სად მეც მეძინა ადრე
და სადაც ჩემი ბავშვობა თავის ლამაზ ფრთებს შლიდა
და აწებებდა ერთმანეთს უმშვენიერეს კადრებს.

სულ რაღაც ათი დღე მრჩება შვებულებამდე კვლავ და
მერე კი მოვალ ნატრული, გნახავთ, გაკოცებთ ორთავ,
ბოლოს მოვუღებ ამ წუხილს, აქ რომ ულმერთოდ მკლავდა,
ო, როგორ გამიხარდება, ზღვა სიხარული მომრთავს!...

ახლა კი, მოდი, გავჩერდეთ და დავიძინოთ დროა,
დავემშვიდობოთ ერთმანეთს, თქვენ სიზმრად, მე კი ცხადაც
თორემ მამიკოს, თქვენც იცით, მით უფრო მარტო როა,
რა გააჩერებს თუ ერთხელ გაეხსნა წერის მადა!..

პოემები

ყ�
(ლირიკული პოემა)

შესავალი

სამშობლოს ვახტანგის, დავითის, თამარის
რაც მტერმა ულმერთოდ ცრემლები ადინა,
ზღვად გარდასწვდებოდა ბახტრიდან არანისს,
ნიკოფსით დარუბანდს - აგრეთვე ადვილად!...

მაგრამ ჭირს ყოველგვარს როგორღაც გავუძლეთ,
ხოლო რაც რუსეთმა იმ დღიდან გვარგუნა,
სისხლის ტბად ევლება ივერთა ნაფუძრებს
და მიდის ლიახვად, ქსანად და არღუნად!..

ვერ მოთვლის პოეტი, ვერც მეისტორიე
ამბავთა მზარავთა სისრულეს ნუსხებით,
ნუ ფიქრობთ დამსხვრევას თქვენ ვეფხვის ტორების
და სისხლით წმინდანის, ყორნებო, ნუ ძღებით!

თორემ თვით ღვთისმშობელს, ვისიც წილხვედრია
ეს მიწა, შემკული ამდენი ღირსებით,
მსაჯულად ურჩხულთა ჰყავს წმინდა მხედარი
და თქვენც სანაცვალო ხვედრით აღივსებით!...

ალექსანდრე ბატონიშვილის სილუეტი

თუკი ისტორია უმადური
დავთარს დახურავდა შენს სახელთან,
მე ჩამოვიდოდი, უბედური,
ჩავლილ საუკუნის შესახვევთან!..

რადგან სიყვარულმა მამულისამ
მთებში გაგიყვანა შეაბჯრული,
როცა მტერი ისე გაგულისდა,
რომ სულ გაგვითელა შნო და რჯული.

მიყვარს მრისხანება შენეული,
შემდეგ შამილსაც რო გადაედო!
თითქოს არც გქონია შიგნეული,
ძვლებად სატევარის ვადა გედო!

ბრძოლით გაიარე წელთა გზები
და ღვთის კელაპტარად ანთებულად,
და მტრის წინააღმდეგ დიდი გზნების
მებრძოლ გმირად დარჩი მართებულად.

იასე 1832

ფალავანდიშვილ იასეს ისკარიოტელ იუდას,
გამყიდველს თავის ერისას, თავის სამშობლოს ბედის,
მტერთან რომ მისრიალდება და ჩუმად ენას მიუტანს,
შხამად შეერგოს ნაწოვი ძუძუდან თავის დედის!

როდემდე უნდა, მამულო, ღალატის მსხვერპლი იყო,
ვინ იცის, რას გვპირდებოდა დეკემბრის ოცის ღამე...
ოჰ, როგორ გაიხარებდა ბარათაშვილი ნიკო,
ცაზე რომ აინთებოდა ცისკარი მოსისხამე!..

ვზივარ, ვკითხულობ ქრონიკებს, ყალყზე მიდგება ბეწვი,
მონობის ჩვენის დასაწყისს მის გველურ სვლებშიც ვხედავ!...
ო, გვაპატიე, უფალო, ესდენ ღალატი შენთვის,
მოგვხედე ცოდვილთ, ყოველთა მწევ ღვთისმშობელო დედავ!..

ილიას ხახები

არა, არ ყოფილა უგანგებო
მისი მოვლინება ივერიას!
რადგან საქართველო უსანგრებო
წელში გაეტეხა იმპერიას!

გრაალს სპარაზენი აღარ ახლდა,
ენას ერის სარკეს შემნახავი,
სული შავ მანდილად აბალახდა,
ნამუსს მოუმრავლდა შემლახავი...

და მან, ვით იესომ, საკუთარი
ხალხის სასიკეთოდ ჯვარზე ვნებით,
მძლავრად გამოშიგნა საკვეთარით
ჩვენი დამონების მაძებრები.

და როს სამკალს უნდა შედგომოდა,
ჩასხდნენ წიწამურთან დამარჯვებით!..
და კვლავ გაუჭირდა შემოდგომა
ლუხუმს ლაშარგორზე გამარჯვებით!...

გოდება ნიკოლო მინიშვილისა

მიდიან დღენი და არ მიდიან,
არიხ ნესტი და არის ქაოსი,
ქარი მიბერავს მე მთაწმინდიდან
და ხმა მომესმის სასაფლაოსი.

აღარ მწამს ბედის, რადგან არა გვაქვს,
თუ გვქონდა, რატომ მოკლეს ილია
და იმედები ღელთ-ღუნიასი
იმ სიბნელეში რად დაილია?

თუ გვქონდა ბედი, მაშ ვინ ისურვა,
რომ მოშლილიყო ივერთა ბუდე?
ამქვეყნად ყველას მოვბეზრებივართ
და მეც მწადია, ზურგით შევბრუნდე!..

ცოდვაში ჩაფლულთ, გვიშველე, ღმერთო,
გამოიმეტე წყალობა, ცაო,
რომ შეიცვალოს ერთხელ დინება
და გადათეთრდეს ეს სასაფლაო!..

გრიგოლ ხობაქიძე მზეში 1918-1921

ქალდეას უფალი დაახვევს ზარნიშებს
და ტუჩს მივაკონებ თმით შეკრულ ჯვარს ვაზის,
სიკეთით მოვშვილდავ ცხოვრების სამშვინველს
და ხელოვანებით გავყვები ჯამბაზის!..

მიყურე, მსოფლიოვ ყმაწვილო დიაცო,
სიცოცხლის როგორი ხალისით ვიარო,
ესწრაფვის მზის თვალი ჩვენს ლამაზ პიაცცოს
და ქვეყნის გამჩენი ჩვენს ღიმილს ზიარობს.

ხეთასი იუნჯრის ხსოვნა

ცა ბინდნაკრავი, შავი ღრუბლებით რთული,
დასტირის კოჯორს, როგორც ჩამოშლილ ციხეს...
ტაბახმელასთან მყუდროებაა სრული...
ჩოლოყაშვილი ბრძამით ჭრილობას იხვევს!..

ჩემო სამშობლოვ, კვლავ გღალატობენ, ვიცი,
ეჰ, სანატრელო, სულ ამის შიში გღლიდა!
კვდება ხუთასი გაუხედნავი კვიცი,
როგორც სამასი კრწანისს არაგვის მხრიდან!

ვერ მოიშორე შენ ეს მოსისხლე მტერი,
მოსიყვარულევ კალამისა თუ ყანის,
და გეფინება კვლავ ტრამალების მტვერი,
ვით შემოსევა მაშინ მონღოლურ მკალის...

სიჯვდიდი მახო მაყაშვიდისა

იუნკრების საყვარელო
მოსანგრევ და მოხალისევ,
აი, ახლა კვდები, მაგრამ
ქვეყნად მაინც მოხვალ ისევ!

ჯერ სინორჩე თუმცა შენი
ცოდვაა, რომ ბნელმა ცვალოს,
მაგრამ უფრო განათდები
მალე, დედა გენაცვალოს!

...როგორ ცივა, როგორ ყინავს,
თეთრობს თოვლის მთებზე რვალი,
ბზარავს კოჯორს ოცდაერთის
სუსხიანი თებერვალი...

შენ კი, ურჩო ქალბატონო,
რომ დატოვე კერა თბილი,
ღვთისმშობელის დაია ხარ,
თუ ბულბული ენატკბილი?

ან მაგდენი ვაჟკაცობა
მაგ სუსტ სხეულს სიდან, როგორ?

ასე როგორ გამოგცვალა
ფრონტმა სიფრიფანა გოგო?!

ფრთხილად, მტერო, გეეედრები
აურიე ტყვიას გეზი,
შუბოსანი ნუ გგონია,
არ მომიკლა ანგელოზი!...

ნეტავ, ღმერთო და განგებავ,
შეაჩერა ბრძოლის ალი,
მაგრამ ვაი... რა მკაცრია
სინამდვილე საზიზღარი!...

მაშ... იძინე, განგმირულო,
გეხურება უფლის კალთა,
საქართველოს სასახელოდ
და იმედად მომავალთა.

...მორჩა თოვლი და სიმკაცრე
ზამთრის შემაზრზენი ჟამის,
ჰა, ციე მკერდზე დაიბნიე
სტრიქონები გულმკვდარ მამის!

გიგლოვს სრულად საქართველო,
საუკუნეთ გაენთები,
ისტორია ლაჩრებს ხოცავს,
არ კვდებიან რაინდები!...

ქაქუცა

უგვანი განთიადი ოცდაერთის...
თვალები გახსნილი გასახელად...
თითქოსდა რისხვაა მაღალ ღმერთის
კოჯრის თავს... დარიალს... ტაბახმელას...

მითხარით, რა იქნა, სად წავიდა
ქაქუცას რაინდული ნაკვალევი?..
წყალს ამღვრევს ვიღაცა სათავიდან.
წმინდანთა ილეწება სამკალები!..

ო, საფლავს მაინც თუ მაღირსებენ,
შენ გვედრი საუფლო სამართალო,
სანამდე სულს ცოდვით აღვივსებდე,
თვითმყოფი მანახე საქართველო!..

გიაური მსხვილევა უკანასკნელი ხევისბერი

დანაოჭებულ ხელს უპყრია წაბლის ნერგილე,
უძილო ღამეს დაუბუშტავს თვალის ქუთუთო,
დაძრწის ოცნება, ცის კალთაში გადანერგილი,
მდინარის პირას დაუგდია წითელ გველს ხვითო...

ხვნეშენ ბაგებთან კურატები დიდი, ძლიერი,
ღვთიური ლახტი დაფენია ზოგს ხერხემალზე,
გონარეულმა დაუყარა ნიშა ცხენს ქერი,
ისევ ჩაფიქრდა საბუხრესთან ღვთაების ვალზე!..

დარდის ღრუბელი დაეხურა მრუმე და სქელი,
ძალობს აპნისი, ქარია და ისევ თოვს ხშირად,
მისნურად ხვდება ხევისბერი უკანასკნელი,
რომ თებერვალი გადააქცევს მასაც ნახშირად!...

ბალადა მიხა ხელაშვილზე

დამშეულ ნადირივით დადიოდა,
დამგდები დიაკვნის ანაფორის,
თვალთაგან ცრემლები დასდიოდა
დასტურად ტკივილის ანაფონის.

ნაბდავდნენ ღრუბლები ახადის მთებს,
ჩარგალსაც ნისლებში შეეცურა
და საქმეთ, ქაქუცას ნახაზირებთ,
არსება იმის შეეწურა...

ვერ მიხვდა, მტერს როგორ აპატიოს
მამულის ხიშტებით დაჩოქება,
სასწრაფოდ თოფი და ნაბადიო!
იქუხებს და მგლებთან დაჯოგდება!

აოცებს ალიონს შეფიცულთა
წითლებთან ბრძოლა და გამკლავება,
არაგვის ლოდები გარდაცვლილთა
დათლილან საძვალე აკლდამებად.

და გმირის გმირული ისტორია,
მტრები რომ სახავდნენ საფრთხობელად,
დარჩებათ, ვითარცა მისტერია,
მოხუცებს შვილებში სათხრობელად.

განახლების ქარიშხლები
სიმღერა ქაქუცა ჩოღოყაშვილზე

დაშვებული კალთა ჩოხის,
ხმალი გაჭედილი მატანს,
საფრანგეთში გადაჩეხვის
მერეც მზეზე გამოატანს.

ისევ ცოცხლობს, ისევ ფეთქავს
მისი სული, მისი ნება,
კუბოს სარქველს აახეთქავს
შორს, ლევილში მისვენება.

გაუტეხელ ფიცით შეკრულ
რაზმის სურვილს, გულის ნადებს,

გამოხედვა მისი ერთგულ
თავდადებად გვიწილადებს.

ბრძოლის დაუმცხრალი ჟინით,
სწრაფვით გამარჯვების წამთა,
ველარ დაძლეულა ჭირით
ის, რაც ჩოლოყაშვილს წამდა.

აჟღერდება კვლავაც ქართულ
სამფეროვან დროშის ტართან,
როგორც გახსენება ამ რთულ
დროში ქაშუეთის ზართა.

არაგვს გაწვდებიან ხმანი,
ილტოს შემოივლის ექო,
ისევ იჭედება ხმალი
და სიმღერა საშავლეგო.

და რაინდის უდრეკელი
ნების გაგრძელებულ ხაზად,
ვიბრძვით, საქართველოს ბნელი
დღე ვაქციოთ ფიანდაზად.

მივდევ ატაცებულ სურათს
და მიტინგის ნიაღვარი,
არა ფიქრობს, თუკი სულაც
სიკვდილს გაუხსნია კარი.

გამზიხი ტიტებში, ანუ 9 აპრილის ელეგია

აქ მოდიოდნენ კოლონები ვაშას ძახილით,
აქ მტვერწაყრილი საქართველო ვლიდა ბორკილით,
აქ მბრძანებლობდა ბელზებელი გაშვერილ ხელით,
აქ აღარ ჰქონდათ ასპარეზი გმირებს მორკინალთ!...

აქ გაიღვიძა ივერიის სულმა ბოლოსაც,
აქ ზღვა აღელდა და შეერთო მებრძოლის ქუხილს,
აქ მთაწმინდიდან ცვარციური მოგვეფოლორცა,
აქ ითქვა: - თუკი ქართველს ქართლი რაიმედ უღირს,

აქ არის ახლა დიდგორი და კრწანისის ველიც,
აქ სიკვდილი სჯობს დაშლას, წასვლას, ამოძუებას,
აქ მოფერებას დუშმანისგან ნურავინ ელის,
აქ შევეწიროთ თუ გაჭირდა ბედის ძიებას!..

აქ შეკრებილნი ახალგაზრდულ ხალისით სავსე,
აქ შეკრებილნი ახალგაზრდულ ჟინის ჩქერებით,
აქ შევესწარით ხელბარებით დაჩეხილ ღამეს,
აქ ცხრა აპრილი გაირინდა შავ ნამქერებით...

აქ იშვა რწმენა გადარჩენის, სიცოცხლის ნდომის,
აქ დაიბადა ხელახალად ყრმა ფართე თვალით,
აქ მე აშკარად ვნახე მტრობა ქართველთა ტომის,
აქ მე გავიგე ისტორიის ცრუ და მართალი.

აქ ამიტომაც დღეს ასეთით დავდივარ რიდით,
აქ ამიტომაც მელანდება იმ ტარიგით მზერა,
რომ ერთ ღამეში გავიარე ცხოვრება დიდი
და რომ მას შემდეგ გამარჯვების ურყევად მჯერა!

მეხაბ ჯოსტავას

ალმაშენებლის შეგფეროდა სპარაზენობა,
იყავ უდრეკი, უშიშარი და მკლავმაგარი,
მოურჩენელი ჭრილობაა დღეს უშენობა,
ბეწვი კი არა, ამწეწვია ტანზე ჯაგარი!

თმა დაგითოვლა სამშობლოსთვის ბრძოლამ და ომმა,
უღვთოდ გაწამეს ღვთისნიერი და ღვთისმმოსავი,

ამოიგმინე გალიაში მბრდღვინავმა ლომმა:
  გვეყო მონობა, დავანგრიოთ ბორკილი შავი!

გამოგყვა ერი, დაგიჯერა ვით მამას კეთილს,
მაგრამ სიკვდილი ისე გაჩნდა, როგორც იუდა,
ვინ უკითხავდა ნეტავ ასეთ ბოროტ გაკვეთილს,
რომ შენ მოგადგა, შენ დაგიპყრო, შენი შეშურდა?

ო, რა მწარეა სინამდვილე, მაგრამ რადგანაც
სასოწარკვეთის, უსასობის არ გვაქვს უფლება,
უნდა აღსრულდეს შენი ნატვრა, როგორც ოსანნა.
და აღვიდგინოთ წართმეული თავისუფლება.

ალექსანდრე სულხანიშვილი
უკანასკნელი შეფიცული

აჰა, მოვიდა სიკვდილიც,
აწყურის მიწა გძირავს,
შენ გარდაცვლილი არა ხარ,
სხეულს ასვენებ, გძინავს.

მშობლიურ კუთხის ნიავში
ჩუმი ალერსი აღწევს,
შენ გმირი იყავ, რაინდო,
და ვაჟკაცობით სავსე...

ინება ალბათ უფალმა
ქაქუცას დროშის ტართან
სან-ფრანცისკოში გახიზნულს
ცრემლით აგევსო კალთა.

ელირსე მაინც საყვარელ
მზისა და მთვარის ნათელს,

გამოღვიძებულ მამულს და
ბრძოლად შემართულ ქართველს.

აწი საუფლოც ზეცისა,
სად წმინდანთ სულნი დიან,
მიგიღებს, როგორც სპარაზენს,
კაი ყმას, იმედიანს.

ამინ! შენზეა ალალი,
თუკი ვინმეზე არი,
მიწა სამოსად სხეულის,
სულისთვის ზეცის კარი.

სიცოცხლე ახლა იწყება,
დაუსაბამო დიდი,
ჩვენსა და გმირთა აჩრდილებს
შორის რომ გადე ხიდი.

დასასრული მაგიერ

თითქოს სატანა ზვერავს
ივერთ ბედსა და აწმყოს,
მტერი ქართველთა ქედზე
ულლებს იმგვარად აწყობს...

ხოლო თუ სადმე გმირი
ძლევის ყიჟინის, გრგვინვის
გამოგვერევა, უმალ
ეკლის დავადგამთ გვირგვინს.

და თვით სამოთხის სადარს
მამულს წუხილთა მთოვებს,

კვლავ მონის უღელს ვადგამთ,
კვლავ მონობაში ვტოვებთ...

ღმერთო, გვაღირსე დღეთა
ბნელთა გამოცვლა ნათლით,
გადმოგვაფინე ცოდვილთ
შენი დიადი მადლი...

ალექსანდრე ბატონიშვილი

ვყვები ამბავს გუშინწინდელს,
არა ძველს და ოდინდელს:
ხევსურეთში ბრუნდებოდა
გული ცისკრის მლოდინე...
გული სავსე იმედებით,
გული გაუტეხელი,
გული ქვეყნად უთვალავი
სიმწარე რომ ეხილა.
ბრუნდებოდა, რათა მთებზე,
როგორც მტკიცე პირობა,
წაეწერა ივერიის
კიდევ ერთი გმირობა.
ბრუნდებოდა და დუმილი
ბნელი, შემოდგომური
ირღვეოდა, ნათდებოდა,
ვით ბეთლემის გომური.
კრთოდნენ კლდეთა ნაკვესები,
ხმობდა ფლოქვთა თქარუნი,
ქარებს კვეთდნენ მხედარი და
ბედაური ქარული.
საით, საით ბატონიშვილს,
შავრავ, საით მიაფრენ,
ანთებულო ბაირალო,
აწყვეტილო მეაფრევ?
არ ჩერდები? ვიცი, პატრონს
ადვილად არ ღალატობ!
მოეხვიე შურისმგებელ
ურჩ მგზავრს, ღამის ხალათო!
ოჰო! მარტო არ ყოფილა
ძე ქარიშხლის და მეფე!
ახლავს კახნი შეჭურვილნი,
სახელს იუკვდავებენ!
ათი... ოცი... ცხენოსანთა

მწკრივებს უფრო ბნელ ლანდებს
დასდევთ მზერა და იმედი
ზღვიდან დარიალამდე!..
დიან... ერთ-ერთ მხლებელთაგანს
სურს აუწყოს მბრძანებელს,
თუ რუსები გაბრიელის
პირით რას იბარებენ...
შენათვალი ყაზბეგისა
უკმეხია, მურდალი
როგორც თავად გენერალის
დიდება ნაქურდალი.
ელრიჯება მოღალატე:
,,სჯობს ხელმწიფეს დანებდე,
გონს მოეგო და ბნელ წარსულს
დროა შეინანებდე.
თავად მთავარმართებელი
გიწყალობებს შენდობას,
ბრძოლას თუ თავს დაანებებ
და ჩვენს სიტყვებს ენდობი.
თორემ საშველს ვერ მიაგნებ
ვერც შატილს და ვერც გუროს,
მაინც ყველგან გიპოვნიან,
ცაც რომ გადაგეხუროს".
მაგრამ უთრთის ბაგე თორღვას:
,,მართალი არ ვიქნები!.."
თითქოს ესმის ჭკვიან მხლებელს,
ალექსანდრეს ფიქრები!
,,არა! განსჯის უფლისწული,
ზრდილი, ბრძენი და შმაგი,
უებარი მეომარი,
უშიშარი, ეშმაკი.
საკუთარი ერისა და
გვარის მაღალ ღირსების
ხელში ხმალით დამცველი და
დასახსნელად მიმსწრები.

თუნდა ისიც ველარ შევძლო,
ხორცნი ჩვენში დამეფლოს,
ბრძოლას შევეწირები და
რუსს არ მივცემ სამეფოს.
ცხონებული მამაჩემის,
დიდი პატარა კახის,
საქართველოს მოყვარული
გული სამტროდ მეძახის!
იმპერატორს მან სამშობლო,
იქით-აქეთ ლიხიდან,
სამეგობროდ აუჩინა,
მონად კი არ მიჰყიდა.
მათ კი ცრუთ და მოღალატეთ,
მკადრეთ უკადრებელის,
ეს რამდენჯერ შეგვიბღალეს
მადლი მიწის ბებერის.
გვიგინებენ უგუნურნი
სკიპტრას, გვირგვინს, ტახტს წმინდას,
არც გვქონია მათგან შველა,
არც ველით და არც გვინდა.
მჯერა, მაინც გავიმარჯვებთ,
მაცხოვარი მოგვხედავს
და ჩვენც შევძლებთ გაძევებას
ულმერთოთა, ოხერთა!
ვიცი, გზაა მეტად ძნელი,
მაგრამ რა ვქნა, უფალო,
თუკი მინდა მე სამშობლო
ჩემი თავისუფალი?“

* * *

თითქოს ზეცა ყურს უგდებდა
ფიქრებს ბატონიშვილის,
თითქოს სმენად გადაიქცა
ცაში ყველა ცის შვილი.

მიეჯარნენ ოდეს მგზავრნი
გუდანს, სოფლის კარებთან,
სადაც ცელქი გუდანურა
ტალღებს მიაქანებდა.
უიმისოდ სად ხევსური
მზებძანულში არ დადის,
სადაც ჰგიებს საუნჯენი
სჯულისა და ადათის.
სადაც ხატის საბრძანისი
და მის საზღვრის პირია,
სადაც, ერთ დროს, თვით ერეკლეს
ზარიც შეუწირია.
იმ ხატიდან, იმ ყორიდან,
იმ დალოცვილ ქვებიდან,
ნათელი რამ აზიდული
ბნელ სივრცეში შევიდა.
სხვა სითეთრე დაეფინა,
სხვა სიმწყაზრე იმ ეთერს,
როგორც მადლი განგებისა
ადამის ძის იმედებს.
და ნათლიდან, განფენილით
არემარის თაღედად,
მგზავრებს თითქოს თვით უფალმა
მაცხოვარმა დახედა!..
ლივლივებდა დიდებულად
მსუბუქად და ნატიფად,
იბნეოდნენ ნათლის სხივნი
არილ-ათინათებად.
მხციოთმოსილმა, კვართოსანმა
ბოლოს მგზავრთა სასმენად,
გარდმოსახა ჯვარი ძირს და
მამა-ღმერთი ახსენა.
წართქვა: „ - გიმზერთ, სპარაზენნო,
და ცრემლს ველარ ვიოკებ,
ივერიის ტარიგებო,

გცავდეთ წმინდა გიორგი!
შედგომიხართ ეკლიან გზას,
თუმც არ უწყით, რა გელით!
მე კი გლოცავთ, მაგრამ...“ და მან
დაიდუმა ბაგენი...
დაიდუმა და ისევ ბნელს
მგზავრთ მზერა რომ დანებდა,
თეთრკვართოსანს თეთრი რაში
ცისკენ მიაქანებდა...

* * *

თოვლის თმებით შეხვევია
შატილს უბე-კალთანი,
კერა ჯღუნა ქერაულის
სადარბაზოდ მზად არის.
ტაბაკებმა ხინკლიანმა
ძირს ტაბლები დაზნიქეს,
ლოკვენ ალნი სანთლისანი
ვერცხლის თასთა ნაზიკებს.
ახვევიან კედლებს ფიქლის
ჭილ-ფარდაგნი შალისა,
რა აჩერებს ნეტავ ხევსურთ,
დაბადებულთ შარისად?
ანდა ფშავლებს ენაწყლიანთ
(რუსთაველის მნახველებს!),
თუშებს სატევარიანებს,
მკლავმოუღლელ კახელებს?
მოხევეებს რკინის ფარდებს,
გუდამაყრელ-მთიულებს,
რა ძალაა, რომ აჩუმებს,
საბაასოს ვინ ულევს?
ღმერთო, ჯვარი გარდამსახე,
რა დუმილით დართულან,
ენა როგორ დაჩლექიათ
ტკბილმოუბართ ქართულად!

მხოლოდ კვამლი ყალიონების
ჭერს ეხვევა ნისლ-ბურად,
გარინდულან, გარინდულან,
თითქოს ღმერთთან მისულან!
დაუწყვიათ მუხლის კვრებზე
მკლავნი მოსალმკლავულნი,
კლდეებს ჰგვანან უჯიათებს
ღრმა ფიქრებში წასულნი.
არა ჩანან არც მოლხინედ,
არცა ჭირის მჭირველად,
მაგრამ სიტყვა ვერცერთ მათგანს
ვერ დაუძრავს პირველად.
ჩანს სრულიად სხვას ეკუთვნის
სეფე-სიტყვის ჯავარი,
რიდიანი მასპინძლისთვის
სხვა ვინმეა მთავარი.

* * *

აგერ ისიც: ჩოხოსანი,
დაბარდნილი თმა-წვერით,
ქორულ მზერით და მრისხანედ
წარბის მაღლა აწევით.
შეჭმუხნული, შეევრცხლილი,
მჯდომი მეფურ იერით,
კავკასიის შევარდენი,
აფთარივით მშიერი.
შია, შია მის სამშვინველს
ქვეყნის თავისუფლება,
მისი მზერა ამ შიმშილის
ცხელ ვულკანში ეფლობა.
ამ შიმშილზე საუბრობენ
მისი შუბლის ხაზები,
ღაწვ-უპენი, კბილ-ბაგენი
სევდით ნაფანტაზევი.
წამოდგება ენამჭევრი

ხელში ოქროს ფიალით:
- ძმებო, მტერთა განსადევნად
ხამს რომ კვლავაც ვიალოთ!
მთის არწივნო, თქვენი ხმალი
მამის ჩემის იმედი,
რომ დაიცავს მამულ-დედულს,
სული გიდგათ ვიდრემდი
მწამს და ამად ამოვსულვართ,
ამად შემოგხიზნივართ,
რომ არ გაქრეს გასაგისი,
რაისნი და ვისნი ვართ.
მწყალობელად ღმერთი გივისთ,
ჩვენაც გექმნეთ მწყალობლად,
ოდეს აღსდგეს ტახტი ჩვენი
ერის შეუვალობა.
გვართმევს მტერი ყოველივეს,
თქვენც კი ხედავთ და იცით,
შეგვიცვალეს განთიადი
მოწყენილი დაისით.
კმარა! დროა ვაზღვევინოთ,
ანდა მოვკვდეთ, გავთავდეთ,
ანდა დავკრათ და მახვილი
გულს ჩავასოთ ვადამდე.
ჩვენთა დათა და დედათა,
ცოლთა შემაგინებელთ,
ჩვენთა ძვალთა შემმუსვრელთა,
სისხლთა დამხარჯვინებელთ.
უფიცხლესი გველის ბრძოლა,
ომში გამოცდილებო,
გაგვემარჯვოს მტერთა ზედა,
დაე ღმერთმა ინებოს!
ოთხივ კუთხით გვეხვევიან,
ოთხივ კუთხივ გვიტევენ,
თუმც რკალში ვართ, მაგრამ ღმერთი
მწამს, რომ არ გაგვიმეტებს.

შემართება ძველებური
არა, არ დაგვაჩოქებს,
მაინც ჩვენ ვძლევთ მათს უთვალავ
ჯარისკაცთა ბრმა ჯოგებს.
ვძლევთ, რადგანაც ეს კლდეები
ჩვენთვის მშობლიურია,
ომს ის იგებს, გამარჯვება
ვისაც უფრო სწყურია.
ფირმანები ოსმალ-სპარსთა
იმედებით მავსებენ,
ჩაჩან-დაღესტნელნიც ჩვენთან
ერთად დგანან ასევე.
ჩვენთან დგანან ერთგულებით
ქართლ-კახელნი სრულიად,
ჩვენც დავსრულდეთ, ოღონდ ბრძოლით,
თუკი დასასრულია.
მაგრამ არა! ჩვენ ხომ ახლა
ვიწყებთ ბრძოლას და გვჯერა,
რომ მტერს კვლავაც დააჩოქებს
ჩვენი მტკიცე მარჯვენა!
ბატონს, ბატონს გაუმარჯოს,
მისთა სიტყვათ დიდება,
კაცთ სიცოცხლე მაშინ გვიღირს,
ოდეს მამულს სჭირდება.
გუდანის და ლაშარის ჯვრის
დალოცვილი განგებით,
ხელს მოვკიდებთ თოფ-იარაღს,
უმალ ფეხზე დავდგებით.
მოახსენეს უხუცესთა
ალექსანდრეს ფიცივით
(გარეთ ქარი მი-მოქროდა
გათოშილი სიცივით).
გამოცალეს ფიალები,
ხინკლის წვენი დახვრიპეს,
შიშს მოჰგვრიდა მათი გრგვინვა

მაშრიყელს და მაღრიბელს.
ისხდნენ მამლის ყივილამდე,
განჩხრეკავდნენ, განსჯიდნენ,
ყველას ერთი სული ჰქონდა,
დროშას როდის გაშლიდნენ.

* * *

ბოლოს, ოდეს ირიჟრაჟა,
ღამის ბნელი განქარდა,
სახე ჯღუნა ქერაულის
გასალკლდევდა, გაქვავდა:
  ყური მიგდეთ თქვენს მიწა-მტვერს,
ჩვენო მჭევრო ბატონო,
ძმანო, ბრძნულად მოაჯენო,
ჩანს, არა ვართ მარტონი!
მომისმინეთ და ეგ თქვენი
მზერა იქით მიმართეთ,
საიდანაც გვესმის მარად
უფრო დიდი სიმართლე!
აგერ ხატი (ჩანს სარკმლიდან),
ღმერთო, ჯვარი დამწერე!
თითქოს თოვლზე ანგელოსნი
თვით მაცხოვარს აწვენენ!
რა სინათლე შემომდგარა,
ნახეთ, ჯვარის კარებთან,
თითქოს ღმერთი თავის ფეხით
იქვე დაიარება!
და სხივები... ო, მე ბედკრულს,
ჩემს ღარიბულ სამყოფელს!
როგორ მოეშურებიან
და სარკმელზე ლაღობენ!
შეხეთ, შეხეთ, ო, უფალო,
ეს რა შუქში ვეხვევით!
მიწას აღარ უბჯენია
ბატონიშვილს ფეხები!..

ოქროს შიბად დაქსოვია
თავზე ნათლის არილი,
ეს მადლია, ნიშანია
ზეცით გამოგზავნილი!...
მიაბრუნეს მოდარბაზეთ
მართლაც მზერა და ნახეს,
ნათლის სხივნი ეშვებოდნენ
ჯღუნას სახლის სანახებს.
იფრქვეოდა ხატის მხრიდან
მართლაც გასაკვირველი
ნათელი რამ მოელვარე
როგორც ოქროს ფრინველი.
  განგებაა, დაილოცოს!
ჯვარი გარდაისახეს,
საყმოს როდი მოშორდება,
ვენაცვალეთ მის სახელს!
წამიერი ხილვა იყო,
უცებ გაქრა ჩვენება,
გამოცანად რჩება მარად,
ცაში რაც იწერება.
გაელვიძათ ციხე-კოშკებს,
დღემ ჩამოდგა ქსელ-ჯარა,
მზეს მწვერვალნი იღლიაში
ბალღებივით ეჩარა.

* * *

დასობოდნენ გულში დაშნად
მთები რტიშჩევსა და სტალს,
უგზავნიდნენ იმპერატორს
წერილებს დასტა-დასტა.
რომ დღე-დღეზე ბატონიშვილს,
ქედდადრეკილს ხუნდითა,
გაგზავნიდნენ სასახელოდ
რუსულ ხიშტთა-მუნდირთა
პეტერბურღში, სადაც თავად

მისი დიდებულება,
დაადებდა უკანასკნელ
სასჯელის დებულებას.
„ახლა ხევსურეთში ხიზნობს,
წერდნენ, - მწვერვალთ იმედით,
თუმც თოვლია და სიმკაცრე,
მაინც თითქმის მივედით.
მივადექით და იმ ბუდეს
შატილს, სადაც ის არის,
სრულად მოვთხრით, რათა მოვსპოთ
ბოროტების ისარი.
დავსჯით ხალხსაც, რათა ხვალე
აღარავინ გაბედოს,
მახვილი რომ აღუმართოს
რუსთ სივრცეს და სამეფოს.
ფშავ-ხევსურნი, მოხევენი,
თუშნი სრულად მთიელნი,
კავკასიის ველურები,
მისთ მწვერვალთა მიერნი.
ლეკ-ჩაჩანნი, ვინც უდგანან
ამ მოჯანყეს გვერდითა,
თურქ-ოსმალთა ინტერესებს
რომ იცავენ მკერდითა.
ვინაც ჩვენი წმინდა სისხლი
აქ რუებად ადინა,
ვინაც რუსის ჯარისკაცზე
მხეცებრ გადინადირა.
ყველამ, დროა, თვით იგემოს
მკაცრი მისაგებელი,
რომ არ დარჩეს ამ უგვან ჯიშს
ამბის მთხრობი, მქებელი.
სისხლისა და შურისგების
ზღვაში განვბანთ, დავახრჩობთ,
ფერფლად ვაქცევთ მათს ეზო-კარს,
მათს ქონებას და სარჩოს...“

აგენტურით, მსტოვართ ქსელით,
სულგაყიდულ კაცებით,
კვალში ედგნენ ბატონიშვილს
ჟინით და გატაცებით.
მთათა ვიწრო ბილიკების
უნჯ მეგზურად იტანდნენ
ყაზბეგს ქართველების პოლკით,
სულმდაბლებით მეტადრე.
მიიწევდნენ კლდე-ღრეებზე,
დელგმა-ქარაშოტებში,
მიიწევდნენ ზარბაზნებით
თოვლში, ყინვის შოლტებში.
მიათრევდნენ სველ მუნდირებს,
ხიშტებს რისხვის მახვილებს,
მიდიოდნენ და გზადაგზა
აკვირვებდნენ მნახველებს.
აზვირთებულთ უშქარ ლაშქრად
რაც კი წინ უხვდებოდა,
ისმეოდა, იჭმებოდა,
კვდებოდა და წყდებოდა.
მიიწევდნენ ფშავის მხრიდან,
გუდამაყრის მთებიდან,
ხევის მხრიდან, თუშეთიდან
ღამეების თევითა.
ერთი სულით, ერთი ფიქრით,
ერთი დიდი ზრახვითა,
დაელახვრათ მთის არწივნი
იმპერიის ლახვრითა.
რიგითიდან გენერლამდე
ყველას სწადდა გმირული
დაფნის მკერდზე მორგება და
სიდიადის მირონი.
მიჰყვებოდნენ მთიბლებივით,
მკვლელთა მძიმე ცელებით
და ლაღობდნენ ხევსურეთის

გაუკაცრიელებით.
არ რჩებოდათ ნაკვალევი,
ფერფლი შლიდა ნაკვალევს,
მდუმარ მიქელ-გაბრიელის
ერთგულობდნენ აკვარელს.
თუმც ჯაჭვასხმულ რაინდებთან
ჭირდა ბრძოლა შეტევით,
თუმც სოფლები იდგნენ, როგორც
რკინის ციხე-სვეტები.
ძალა აღმართს მაინც ხნავდა,
რიცხვი ჭრიდა ფოლადებს,
მკერდს იხსნიდნენ კერიები,
ნანგრევებად ბოლავდნენ.
და ასდევდა შორ აღმართებს
დაჭრილთ კვნესა-ვედრება,
როგორც ფუჭი სამდურავი
და სიცოცხლის ყვედრება.
მიდიოდა ერთზე ასი,
ქალზე - ათი სალდათი,
ჯვარ-ხატს მდედრის ელდით შლიდა
ტრამალების ადათი.
ძნელი იყო ეს ლაშქრობა,
თითქმის შეუდარები,
რვაათასმა ხიშტმა შეხსნა
ხევსურეთის კარები.

* * *

ათას რვაას ცამეტი წლის
ვარდობისთვის გასულთან
გურო-შატილამდე თითქმის
ყოველივე გასრულდა.
რაკი შეძლო მტერმა მთათა
თეთრი მკერდის შეღება,
გადიბნიეს სისხლი ღვარად
სალთა კლდეთა ეხებმა.

არ ეძინა ბატონიშვილს,
თეთრად ტეხდა ღამეთა,
დღისით ბრძოლის ველზე იყო
წარბს არ ახამხამებდა.
ამხნევებდა თანამებრძოლთ,
იმედებით ავსებდა,
არკინებდა რაზმებს რუსის
ჯარისკაცთა დასებთან.
ისტუმრებდა მალემსრბოლებს,
მსტოვრებსა და მზვერავებს,
მისი ცეცხლის ფირმანები
ოთხივ კუთხეს სერავდნენ.
იაჯებდა უხუცესებს,
ბრძოლებს შეაფასებდნენ
და სახავდნენ სამომავლო
ომის გეგმებს ასევე.
ის კი ფრონტის უნდო ხაზი,
დენთის მხრჩოლავ რკალებად,
მოიწევდა, თუმცა შიშით
ვერვის აკანკალებდა.
მაგრამ ეგზომ რიცხვმრავალი
მტრის მოწოლას სოფლები
ვერ უძლებდნენ და ნანგრევნი
იდგნენ, როგორც ობლები.
შატილს გურო უმაგრდება
ჯავშანს, ედგა ფარებით,
გურო იყო ალექსანდრეს
ბოლო რკინის კარები.
და ჰა, ცეცხლი აბრიალდა
მალე გუროს თავზედაც
და სოფელი კვამლის ალმა
ზეცისაკენ აზიდა.
ცხრაასამდე გუროელი
ცეცხლში ისე დადუღდა,
რომ განსაცდელს ცხრაასიდან

ერთიც ვერსად გადუხტა.
ბოლოს შატილს შეაბობღდა
ომის შავი ობობა,
როგორც ჭირი, როგორც ჟამი,
როგორც ავადმყოფობა.
შატილს, სადაც ბატონიშვილს
შტაბიც ჰქონდა და ბინაც,
შავმა ღრუბლის დედოფალმა
შავი კალთა დაფინა.
შატილს სოფლად ვერ ახსენებ,
არც ითქმის და არც თქმულა,
სოფელია თითქოს, მაგრამ
ცივ ლოდებში დათნქმულა.
ციხე არის ზავთიანი,
ხაფი, აულებელი,
შემომდგარა ბექზე, როგორც
სპარაზენი ბებერი.
და როდესაც ამ ბუმბერაზს
მტერი დაუახლოვდა,
ოდეს ტყვიამ დაიწივლა
დაბლობთან თუ მაღლობთან.
ყოველ ხევთან, ყოველ კლდესთან,
ყოველ ბორცვთან და ლოდთან,
გულქვა მიქელ-გაბრიელის
სალამური გალობდა.
ღამის ბინდმაც ვერ გაჰყარა
მტრები ერთურთს წამითა,
აღრენილი შატილურა
სისხლის ტბებად წავიდა.
შეღამების ბნელ სამოსელს
დაჭრილთ კვნესა დახევდა,
მთვარე ღრუბლებს გამოუსხლტა
და ბრძოლის ველს დახედა...

* * *

შატილ-გორზე, ხატის კართან,
ბნელში, წმინდა ალაგებს,
რა ანათებს, ღმერთო, ასე,
ან რა ალაპარაკებს?!..
სით მოსულან კვართოსანნი,
პირმწყაზარნი, თვალსავსე,
რად აფენენ არემარეს
სხივთ ელვარე ასასებს?.
ჰოი, ღმერთო, პირჯვარს ვიწერ,
ვინ წვდეს შენსა განგებას,
ყურნი ხომ არ დავიხშენით,
თვალნი ხომ არ აგვება?!.
ეს ადგილის დედის ხმაა,
ჯვარ-ხატები აწვია,
ღვთისშვილნია, მაგრამ ახლა
თითქოს ყველა კაცია!
კაცნი თეთრად შემოსილნი,
უსპეტაკეს თმა-წვერით,
ლახტით, სასწვრით, საცრით, გრდემით,
ბორჯღლით, შუბით, საწერით.
თავზე ოქროს გვირგვინებით,
ლილა-ფართე თვალებით,
ახოვანნი, მშვენიერნი,
ნატიფნი და მკრთალები.
სხედან დინჯნი, მდუმარენი
ოქროს ტახტრევანებში
- იყავნ ნება! მოწიწებით
მივალ, ვეთაყვანები!
- გუდანურო, ხახმატურო,
იახსარო, ლაშარო,
ყველამ ერთად დახმარების
დროშა უნდა გავშალოთ.
სამებაო, ლომისაო,
ერთიანი შეწევნით,

ვიხსნათ საყმო, როგორც დედა,
ამას შეგეხვეწებით.
მოვლენია განსაცდელი
ალექსანდრეს, ღვთის მლოცველს,
შემომწირველს, რწმენისათვის
სარეველის შემომცლელს.
ღვთის ანაბარ ბაგრატოვანს,
მეფეს - უფლის ხატად ქმნილს,
მოვუმართოთ ხელი, როგორც
ვუმართავდით აქამდის.
განვარიდოთ მახვილს მტრისას,
მივცეთ ძალა ულევი,
შევიწყალოთ, შევივრდომოთ
ჩვენთვის ნაერთგულევი.
სანეტაროდ სახიერთა,
ხვთისშვილთ, თავის რიგითა,
ისაუბრეს, ითათბირეს,
რა მესმოდა იქიდან!
შეაჯერეს, გარდასწყვიტეს,
შვიდი ბეჭდით დაბეჭდეს:
უვნო იქმნას ალექსანდრე!
სატანა არ დაეჭვდეს!
განუქარდეს საყმოს ცრემლი,
შეწყდეს მსხვერპლის გაღება!
წარმოთქვეს და დაამოწმეს
თითქოს ზეცის თაღებმა.
აციალდა სიბნელეში
შვიდი ფერის ნათელი:
ჯვრებში საღმრთო შეიწიროს:
ხარი, ქადა, სანთელი...
გაარიგეს და, უფალო,
ბაგეს სიტყვა უთრთება,
გადაევლნენ ბნელ სივრცეებს
ოქროს მბრწყინავ ბურთებად.

* * *

თენდებოდა დილა ავდრით,
ნისლით ხევთა ხრტილებში,
ჯავრიანი შატილურა
სისხლსა სცრიდა კბილებში.
მხოლოდ შატილს არ ეცვალა
უძლეველი იერი,
შეიმსხვრევდა გოლიათი
ბებერ მხრებზე იერიშს.
პიროფლიან მეციხოვნეთ,
გარდასახულთ შმაგებად,
ბრძოლის ჟინს ვერ უოკებდა
მტრის მახვილზე დაგება.
აღობოდნენ ბატონიშვილს,
ზღუდედ, გოდლად, ჯებირად,
თავს წირავდნენ ტარიგები.
სიკვდილს გადაებირა.
რა მისჭირდა ალექსანდრეს
თავის დაცვა ძველებრივ,
შემოევლნენ რა შატილსაც
ბოლოს ცეცხლის ენები.
ჯაჭვ-თორიან სპარაზნებით,
რაინდთ მცირე გუნდითა,
გაარღვია ცეცხლის რკალი
გაბედულად, გულდიდად.
გასხლტა ციხის გალავნიდან,
არწივივით გაფრინდა
თავის მერნით უცნაურით,
საკვირველი აფრითა!
მყის ზეციისკენ აიწია
ცხენმა, ფრთები გაშალა,
მიჰყვნენ მხლებელთ ბედაურნიც,
აიწყვიტეს ავშარა.
გადუქროლეს თეთრ მწვერვალებს,
იქცნენ მტრედთა გუნდებად,

შეუერთდნენ სივრცეს სადმე
მთებში დასაბუდებლად.
მიაბჯენდა მტერი მზერას
ცის სიშორეს და სახტას
აოცებდა, ხორციელი
ცაში რომ გადასახლდა.
და იტყოდნენ: ზღაპარია,
სიზმარია, ჩვენება,
დაიწვოდნენ, ისინი ხომ
შთანთქეს ცეცხლის ენებმა!
რა უწყოდნენ ცოდვით აღვსილთ
უფლის საკვირველების,
ვერ მოჰკლავდნენ ბატონიშვილს
სისხლიანი ხელებით!
რა იცოდნენ სულწაწყმედილთ,
რომ ხვალ ისევ ელოდათ,
ბრძოლა ალექსანდრეს დროშით
აღმდგარ საქართველოსთან!..

მარო მაყაშვილი

მოაქუამამდე მოაქვს
წარსულს, მდინარეს სისხლად,
არა ხმლოსანთა მხოლოდ
ზნენი მისხალ და მისხალ.
არა რაინდთა მხოლოდ,
სამაგალითოდ ჩვენთვის,
ისტორიანი ხმალთა
და სატევართა ცვეთის.
იმ ეტრატებში ძველში,
პერგამენტებში ტყავის,
მოჩანს დედათა ჩვენთა
ხმალშემართული მკლავიც.
მანდილოსანთა ლაშქრის,
ხოდაბუნებში წლების,
მოჩანს თორ-აბჯრის ჯაჭვით
დამძიმებული მხრებიც.
შუბ-ქეიბურის მჩხერი,
ძუ ვეფხვებივით დგანან,
ანგელოსები, ახლა
კუშტ სპარაზენებს გვანან.
შემწირველნია თავის
მომავლისაკენ მზერენ
და საფლავებზე თავის
ეპიტაფიებს წერენ.
რამდენ ქეთევანს, თამარს,
რამდენ ვაშლოვნელს, წყნეთელს
ასახიჩრებენ, კლავენ,
ასამარებენ, წყვეტენ.
რომ მყოფადშიაც, შორში,
ივერთ ნათელი ფენდეს,
რომ ოცნებანი ჩვენნი
ლურჯ ლაჟვარდებში ფრენდნენ...

* * *

მამადავითის ტაძარს,
უფლის უბიწო კარავს,
არამქვეყნიურ ფერთა
მკრთალი ნათელი ფარავს.
დგას ეკლესია კლდეთა
მაღლა, ქვაბულში და მზერს
კრძალვით ტფილისის თავზე
ჩამოღამებულ ცხრა მზეს.
მტკვარის ელვარე ზოლით,
ვით აგრამანტით გრძივით,
გაკვეთილია ორად
დედაქალაქის მძივი.
სახურავებს და ხეებს,
ტროტუარებს და გამზირთ
თებერვლის თოვლის თეთრი
პეპლების გუნდი აზით.
გააქვთ ხმაური დროგებს,
ეტლებს, მანქანებს, ურმებს
და უერთდება ფრაზებს:
„იქნებ...“ „მე მგონი...“ „თურმე“...
შორს ეშელონი კივის
სულისშემძვრელი ბგერით
და მისრიალებს სადღაც
როგორც დამფრთხალი გველი.
შემკრთალ ქუჩათა ტბორში
მოქალაქეთა თვალებს
დააქვთ შიში და ელდა:
„ღამით...“ „დილითვე...“ „მალე...“
დააფარფატებს სუსხი
ქარში ორატორთ ფრაზებს:
„ვაზიანისკენ...“ „დილომს“...
„ნავთლულს...“ „მახათას მთაზე...“
მწყობრი ნაბიჯის ხმანი

ჯარისკაცური მარშის
ეხეთქებიან კედლებს
დაჭრილებივით მხარში.

* * *

ატალახებულ თოვლის
რუ ამღვრეული, ხარბი
მდუმარ მთაწმინდის მკერდზე
თავპირისმტვრევით ჩარბის.
გაუვალად ხდის ქუჩებს
და, თითქოს მგზავრთა ჯინით,
უფრო ეზრდება ორგულს
მდინარედქცევის ჟინი.
და ამ ბობოქარ ლეთის
დაკაპიწებულ მკლავთა
დასამარცხებლად აღმართს
ჯგუფი მიარღვევს ქალთა.
შემართებულად დიან
და ვაჟკაცური რიხით
და კვლავ ცოცხლდება მათი
ურჩი ხმაურით ჩიხი.
თანატოლები ჩანან,
სულ ერთკბილანი ჩანან,
სერავს სიმკაცრეს ზამთრის
შეუპოვრობის დანა.
მიიჩქარიან ტაძრად
ქრისტესმიერი დები,
რათა გაითბონ სულის
უუნაზესი ფრთები.
რათა საკუთარ მოძღვრის
ლოცვა-კურთხევის მადლით
გამოითხოვონ ღვთისგან
მცირე შეწევნის ადლი.

და, ვით შეფიცეს, ისე,
ფრონტის ცეცხლოვან ალში,
ვით მოწყალების დები,
მამულს არ დარჩნენ ვალში.

* * *

მოაწყლიანებს მზერას
სანთლის ელვარე ალი,
დგას ღვთისმშობელის ხატთან.
მაყაშვილების ქალი.
დგას სამშობლოსთვის ღვთისგან
სასოებათა მთხოვი,
უსპეტაკესი, როგორც
ცათა კრაველი ფხოვის:
„ დედავ ღვთისაო, ჩვენო
ბოროტისაგან მცველო,
შენი წილხვედრი რომ ვართ,
შენი ტახტი და მდელო.
შენი იმედით რომ ვართ,
შენს სხივთა ნათელს ვისევთ,
ამად სამკვიდრო შენი,
გთხოვ, შეიწყალო ისევ.
იხსნა სატანის ჭანგთა
შემუსვრისაგან და ვით
სურდეს მაცხოვრის ნებას,
გვთოვო მზიანი ღამით!
მომნიჭებელი კაცთა
ცხოვრებისათვის სხივის,
შენგან შობილის მადლი
ჩვენს გულებში რომ ღვივის...
გადაგვიქციე მტერთა
ძლევის წყებათა-წყებად,
ყოფნა-არყოფნის ჩვენის

ბედი ამჟამად წყდება.
ნუ მიგვატოვებ, შემწევ,
უფლით, ღირსადვე გვყავი,
რომ გვეყუდნოდეს ჩვენად
ქართველთ ჩვენივე თავი.
სისხლად იცლება, დედავ,
ივერიელთა ჯიში,
სისასტიკენი ომის:
გვამი, ფინდიხი, შიში...
დათარეშობენ წმინდა
შენს ნატერფალთა ზედა,
თავადაც კარგად უწყი,
ჩვენზე უკეთაც ხედავ!
ბასრ მახვილივით მოდის
ბოლშევიკური რუსის
სატანიური ხიშტი,
მძიმე ჩექმების ქუსლი.
შემოჭდობია ტფილისს
შმაგი სიკვდილის რკალად,
რათა დაგვადგას ქედზე
მონის უღელი კვალად.
ტაბახმელას და კოჯორს,
ნარიყალას და ისანს,
დაღავს ცეცხლით და კვამლით,
უახლოვდება მიზანს.
ამოგვშანთავენ სულში
ტრფობას ღვთისა და ერის,
განგვიმზადებენ უღირს
ხვედრს დაწყევლილი გერის.
ო, ღვთისმშობელო დედავ,
წმინდა მარიამ, გვედრი,
დაგვაძლევინე ცოდვილთ
ეს სატანური კეთრი.
მეოხ-გვეყავი, ვინძლო
გამარჯვებები ვთვალოთ,

შემოგვეშველე ობლებს,
ზეცის მზიურო თვალო.
მე სატარიგოდ მზად ვარ,
მე ფრონტის შვილი ვხდები,
მანდილიანთა მართვით,
ჩემი ფრთათერი დებით.
შევალთ ქარ-ცეცხლში ომის
შენის წყალობით, ხედვით
და თუ მოვკვდებით, უფალს
ცაში მადლობას ვეტყვით.
სხვა სათხოვარი არ მაქვს,
ეს შეისმინე, გესავ,
აღგვავლენინე მცხეთას
გამარჯვებისთვის მესსა...“

* * *

ვერის ფერდობის კალთას
აღმოსავლეთის მხრიდან,
სად გაზაფხულის ქარი
ატმის ყვავილებს შლიდა.
სად სამაისო ზეიმს,
საოცდაექვსო ნადიმს,
ახალისებდა ღვინო,
დედას პური და მწვადი.
სადაც მგოსნები ძმურად
მსახიობებს და მხატვრებს
უმასპინძლებდნენ უხვად
სადღეგრძელოთი ადრე.
ხელოვნებაზე სადაც,
პოეზიაზე სადაც,
სიტყვა ითქმოდა კოტე
მაყაშვილივით სადა.
სადაც სტრიქონი ჰაერს

სხეპდა მახვილის დარად,
სადაც მონობას ერთხმად
ეუბნებოდნენ „არას!“
თავისუფლების სადაც
მძიმე სასმისებს სვამდნენ
და სიტყვის ბჭენი ხელებს
წვდიდნენ მეათე ცამდე.
იმ სახლს, მეგობრებს სადაც
ასე უყვარდათ შეყრა,
მწუხარების და დარდის
კალთა ეხურვის ეხლა:
არ ჩანს საშველი, არა!
კაცი აღვსილი ურვით,
ეს მერამდენედ ამბობს,
და დამავჯერებს ნურვინ...
რომ სასწაული მოხდეს,
რომ გავუმაგრდეთ კვლავაც,
ბრძოლით მოსული მტერი
უკან როგორღა წავა!
როცა ოთხივე ფრონტით
წარმატებობს და ხარობს!...
ნეტავ მაჩვენა კიდევ
ჩემი კუდრაჭა მარო!...
ჩემი სიცოცხლით სავსე,
ხალისიანი შვილი!...
გადამირჩინე, ღმერთო,
ვარდის ფურცელი შლილი!...
ეგ ერთადერთი რომ მყავს,
გულს უფრო მიკლავს ამად,
მახრჩობს ცრემლები მწველი,
მე ხომ მამა ვარ, მამა!...
თორემ ავიღებ ხირიმს
მეც ბრძოლის ველზე წავალ
და იქ ვიპოვი ჩემი
ღია ჭრილობის წამალს...

შენ კი, ო შენ კი, შენ კი
ჩემო ძვირფასო ცოლო,
თუ მამაცა და შვილიც
ერთად დავეცეთ ბოლოს...
დაგვიტირებდე შენთა
ნაზთა ბაგეთა თრთოლვით,
მაინც ისედაც ახლაც
ცრემლით სავსე გაქვს თოლი.
სხვას ველარაფერს ვფიქრობ,
სხვას ველარაფერს ვგონებ,
შემომრჩენია მხოლოდ
ეს ერთადერთი ღონე.
როგორ ვიგულვო შვილი
ტყვიის, სიცივის რკალში,
რა ძალა არის განა
ჯერ სიფრიფანა ქალში!...
ან რა განგებით, რომც ვთქვა,
გადამირჩება... რავი...
გულს მიმძიმებენ მშობლის
წინათგრძნობანი ავი!...
ამ უთავბოლო ომის,
ცეცხლის, კვამლის და ქარის
ბედი დიდი ხნის წინათ
გადაწყვეტილი არის.
ღვთის ანაბარად დგანან
ჩვენი ჯარები, ვიცი,
ვერ გაიმარჯვებს მხოლოდ
ჯარისკაცური ფიცი.
მაშინ, როდესაც ქვეყნის
ხელმძღვანელობა ტოვებს
მის ქვეყანაში ოდენ
შიშსა და სიმარტოვეს!..
წუხელ გავიდა ჯავშან
მატარებელი ღამით
ბათუმისაკენ... მთელი

ტფილისი შიგ ზის ლამის!...
კვინიტაძეღა რჩება
და, ბრძანებისებრ მალე,
გაერიდება ისიც
ალბათ, ამ ქარცეცხლს ხვალე...
წაგებულია დაცვა
დედაქალაქის, ბრძანა
მთავარსარდალმა თურმე
და აზრიღა აქვს განა
კვლავ გაგრძელებას ბრძოლის,
მსხვერპლის გაღებას და ზრდას?!
ხამს ამ ეტაპზე ხალხმა
რომ იარაღი დასდვას!..
რიცხვმრავალია მტერი
და შეჭურვილი მძიმედ,
წარმატებისთვის თითქმის
აღარ გვიტოვებს იმედს.
ყველა ფრონტის ხაზს ფლობენ,
მხოლოდ თავთანღა კოჯრის
იუნკერების სკოლა
გზას შემოსასვლელს უჭრის.
იქაც, მიხვედრა ამის
სულაც არ არის ძნელი,
ან ფრონტის მოხსნა, ანდა
სულაც გაწყვეტა ელით...“
კუბო არ ედგათ, თორემ
ცოლ-ქმარს აღარა ეკლდათ...
ჭირისუფალნი იყვნენ
ეჭვით გულებში ეკლად.
ჩამობნელებულ სახლ-კარს,
გამოციებულ კერას
მოთქმა-გოდება მათი
ვერ გაათბობდა, ვერა:
“მაშ დავღუპულვართ, ღმერთო,
ნუთუ ამდენი გცოდეთ,

რომ მივდგომივართ უკვე
გადასაჩეხად კბოდეს!..
შვილის, ერთადერთ შვილის
შინ დაბრუნებას გნატრი,
წმინდა მარიამ, ერთხელ
კიდევ მოისხი მადლი..!
მეც ხომ დედა ვარ, დედის
გულმა გაიძლოს ვითლა
ფრონტზე წასული შვილის
არ-დაბრუნება, მითხარ!...“
ცრემლით ილტობდა ქალი
იმ ქუთუთოებს მიტკლის,
სიტყვაც, ნაბიჯიც, მზერაც
სულ გლოვა იყო თითქმის.
მღვრიე ბალღამით ცრიდა
დედებს ზამთარი მაშინ,
როს თებერვალი თეთრი
ქურქების იყოს ცვლაში.
თეთრი ქურქების, ოდენ
სისხლის ლაქებით უხვით,
განამრავლებდა გლოვას,
სასოწარკვეთას, წუხილს.
ავ ათას ცხრაას ოცდა
ერთის მოჰქონდა მარხილს
კუბო, საფლავი საძმო,
ტრაურიანი სახლი...

* * *

განგების თვალო, ნეტავ
საიდან დამზერ ამ მთებს,
სიკვდილ-სიცოცხლის ვარსკვლავს
როდის აქრობ და ანთებ?
ღმერთო, შენ გცანით მხოლოდ

და როს სატანა გვხუთავს,
გადააფარე კალთა
შენი - იუნკერს ხუთასს.
მათს თავდადებას, გმირულ
გამძლეობას და ალღოს,
როსღა ვიხილავთ ნეტავ,
ჩემო მწუხარე ხალხო!
დაუმცხრალი აქვთ ჟინი,
თუმცა ჭურვები გლეჯენ
მათს გულის ფიცრებს, მკლავებს,
ფეხებს, ხერხემალს, მენჯებს.
თუმც მავანს უხშობს მზერას,
სმენას წარტაცებს მავანს,
მაინც იბრძვიან, ისევ
სალ კლდეებივით დგანან.
დაჰქრის მინდორზე ბრძოლის
შავი ჰადესის მეფე,
ქუხს ზარბაზანი, თოფი
და ქვემეხები ყეფენ.
მდორედ მიერთვის ფანტელს
კვამლი ფინდიხის თბილის,
წყდება სიცოცხლე უცებ, როგორც
სიზმარი ტკბილი.
სისხლის მიარღვევს ორთქლი
დაჭრილთ უმწეო გროვებს
და ტალავარზე თოვლის
წითელ ნაკვალევს ტოვებს.
გვამებს გაბნეულს ველზე
ქარი ფიფქებში ახვევს,
რათა წარტაცოს მათი
სახე ნაღვლიან მნახველს.
კვნესა, მუდარა, ხვეწნა
სანგრებს ცრემლივით აწვიმს,
მაგრამ იმათთვის შველა
ვის შეუძლია აწი?..

დაუნდობარი ხაზი
განადგურების, ნგრევის
მოდის, მოარღვევს სივრცეს,
ვით ჯოჯოხეთის გემი.

* * *

„ - თავადაც მიკვირს, ღმერთო,
რა განგებით და ძალით
ვუძლებ ომსა და ყინვას
შენი სათუთი სძალი!
სიკვდილს თვალებში ვუცქერ
და არ მარინდებს შიში,
გამოვიცვალე სრულად,
თითქოს ხელახლა ვიშვი.
გამოვიცვალე თითქოს
და ამ ტყვიების ზუზუნს
შეჩვეული ვარ, როგორც
ბავშვი მშობელის ძუძუს,
სულ აღარ მაფრთხობს ომის
გაუსაძლისი ხმანი,
ისე ამლესა ფრონტმა
როგორც ფოლადის ხმალი.
შეჩვეული ვარ თითქოს
ყველა ვაგლახსა და ჭირს
ამდენ იარას, ცხედარს,
ამდენ მომაკვდავს, დაჭრილს.
შეჩვეული ვარ, მაგრამ
ხორცით, სხეულით მთელით,
თითქოს სხვა რაღაც ახალ
უბედურებას ველი...
რაა ნეტავი კიდევ
მეტი ამ ბრმათა ჟამთა,
ეს რა ბნელი და მრუმე

მოლოდინები მშანთავს...
რას, რაღას მიგრძნობს გული,
რისთვის მამზადებს და მრჯის,
რაღას მოელის ნეტავ
ჩემი არსება ნამჯის?..
შენ, ღვთისმშობელო დედავ,
ზეცით მხილველო ყოვლის,
გააძლებინე ჩემსას
უმანკოებას თოვლის.
ერთი მიზნისთვის მხოლოდ
ჩემთა მშობელთა გამო,
გამოვეპარე ბედკრულთ,
შენგან, ბოროტო ჟამო!
და მივატოვე ისე,
როგორც არასდროს დღემდე,
ფრონტს მოვაშურე, რა ვქნა,
რომ ჩემს გულისთქმას ვენდე!
ვიცი, ცრემლია მათი
ჩემსკენ სამზერის ხლება,
ვიცი დედის და მამის
გულში რაიცა ხდება!
მაგრამ, წმინდაო, ვფიცავ,
მხოლოდ მამულის ტრფობით,
ამოვუდექი გვერდით
ჩემს მანდილიან დობილთ!...“
ან დრო სადა აქვს ფიქრის
მარო მაყაშვილს, ოდეს
თავის განუყრელ ჩანთით,
ციდან ტყვიაც რომ თოვდეს...
ხან ერთ დაჭრილთან მიაქვს,
ხან მეორესთან და ხან...
მარლა, იოდი, ბინტი -
სანიტარია რახან.
და მოწყალების დათა
ვით მკაცრი წესით ითქმის,

სანგრის ლაბირინთს დღეში
ათასჯერ გადის თითქმის.
ხელში უჭირავს სუსტში
მძიმე საკაცე დიაცს,
ჯარისკაცურად ცხოვრობს,
ღამე ფარაჯით გდია.
და იუნკრების გმირულ
ბრძოლების თანაზიარს,
ვინ მიაშავებს ნეტავ
მეფურ ულუფას რძიანს.
ორცხობილებით ხმელით,
შავი პურით და ჩაით
მწირ სამარხულოს იღებს
ანგელოსების დაი.
და სულ არ ფიქრობს, თუკი
სულ უეცარი ხელით
შეიძლება რომ მასაც
მოხვდეს სიკვდილის ცელი...

* * *

გატყდნენ ბოლოს და ბოლოს
კოჯრის კარებთა ბჭენიც,
გადმოიღვარა რიცხვი
მტრისა, უთქმელი ენით.
ყოველ ქუჩას და უბანს,
ყოველ სახლსა და დუქანს,
გააღვიძებდა მთვრალი
ჯარისკაცების ბუქნა.
ალარც სიცივე მათთვის,
ალარც ყინვა და თოში,
დანავარდობდა გზებზე
ბოლშევიკური ხოში.

შლიდა სურვილით მხეცის
ვახტანგ გორგასლის ქალაქს
რუსის ინსტიქტი მგლური
და მონღოლური ძალა.
და დააკვესა ნალმა
ორჯონიკიძის ცხენის
დედაქალაქის ბეჭზე
ზეაღმართული ხელით.
მიჰყვნენ, გაბადრულს სახით,
მას ბოგანოთა ბრბონი
კავალერიით, ფეხით,
მარსელიოზას ფონით.
იქვე უბრძანა მწერალს
წერა რიცხვის და წელის
დაბლა აღნიშვნით მისი
ბარათის არა-ვრცელის:
„მოსკოვი. კრემლი. ლენინს.
სტალინს. (პირდაპირ ასე!)
ჩვენი ფრიალებს უკვე
დროშა ტფილისის თავზე.
ციხეც, კლიტენიც ამა
თქვენგან განმდგარი ქვეყნის
პირობისამებრ აი,
მომირთმევია თქვენთვის.
ახლა ეს კმარა, შემდეგ
უფრო პირწმინდად გამცნობთ
სხვა დეტალებზე თვითვე,
უდიადესო კაცნო!
რაც მთავარია, ამით
მგონი კავკასის სრულის
ხელში გიპყრიათ უკვე
სხეულიცა და სულიც“.

* * *

რა არ ასწავლა ფრონტმა
მარო მაყაშვილს, მაგრამ
მაინც ვერ დადგა მტკიცედ,
მაინც ვერ დადგა მაგრა!
ბოლო ბრძოლები იყო,
ბოლო წამები ალის...
დაჭრილ იუნკერს უხსნის
სველ ფარაჯოვანს ქალი...
არც კი უყურებს სახეს,
ეძებს ჭრილობას და როს
უნდა მალამო მკერდზე
მიმოებნია მაროს...
გულისჯიბიდან, ჯერაც
სულთანმობრძავის, ხედავს...
გადმოვარდნილა მისივ
სახე... ვითარცა ელდა...
ეს თავად არის ლაღი
მზერით სურათზე... ოხ... ვით...
და განგმირულის მკერდზე
დაიკეცება ოხვრით...
კი, კი უწყოდა ისიც
აქ რომ იბრძოდა... ვით არ...
მაგრამ შეხვედრას ამგვარს
რას იფიქრებდა, მითხარ!..
რას იფიქრებდა, თუკი
ეგზომ სასტიკად ქროდა
ომის ცეცხლი და ასე
ბოროტი გული ჰქონდა!
რომ სიყვარულის მათის
ნორჩი ყვავილის მჭრელი
შეიქმნებოდა ფრონტის
დაუნდობარი ცელი...
მაგრამ ვით შესწვდეს კაცთა

გზნება სიკვდილის სიბრძნეს:
მისი ტკივილი თითქოს
ტყვიამფრქვევებმა იგრძნეს!
კიდევ შეჰყეფეს ერთხელ
და როს განიხვნა ბოლი,
მიჯნურის მხრებზე იწვა
სისხლშეყინული გნოლი...

* * *

,,ოხ, თებერვალო, ხეში
წყლის ჩაყენების ნაცვლად,
რად ჩააყენე სისხლი,
ნუთუ გიღირდა არცრად.
ოხ, თებერვალო, ქართლის
უბე-კალთანი ძაძით
რატომ შემოსე, აწი
როგორღა გენდოს კაცი!
ოხ, თებერვალო, ტფილისს
რად დაახვიე გლოვის
შავი მანდილი, მწარე
მოსაგონარი ომის.
ოხ, თებერვალო, ძეთა
ივერიელთა გვამებს
როგორ მიუტან დედებს,
როგორ მიუტან მამებს.
ოხ, თებერვალო, სუსხი
შენი ვინ აწრთო შორად,
ნორჩ იუნკრების ცხედრის
რომ დაახვავე გორა.
ოხ, თებერვალო, შენი
მაგ ოცდახუთი რიცხვით,
ვით ჩამოირეცხ ამდენ
ცრემლებს, სისხლსა და სირცხვილს.

ოხ, თებერვალო, განა
წლების მარულა შველის,
ბოროტებათა ხსოვნის
წაშლას შვილების შენის.
ოხ, თებერვალო, ნუთუ
შენგან დანგრეულს, ნალეწს,
შენგან გაძარცულს, მოკლულს
წელთა სალუქი დალესს.
ოხ, თებერვალო, როგორ
მძიმე ხუნდივით ადევს,
თეთრცხენოსანი მხედრის
ტფილისს დაცინვის ბადე!
ოხ, თებერვალო, შენი
ლაბირინთები ბნელი
გაძერწილია ქართველ
მოღალატეთა ხელით.
ოხ, თებერვალო, რუსის
დაძახებაზე მათი
ჩახმახს შეეხო ძმათა
მკვლელის ბინძური თათი.
ოხ, თებერვალო, ახლაც
როს ამ საფლავთან ვდგავარ,
როს მიცვალებულს მკვდარზე
მეტად მე უფრო ვგავარ.
და როს ვაბარებ მიწას
ამ ფრთახატულა მტრედის
სხეულს, დაცხრილულს ტყვიით
ჩვენი სამშობლოს მტრების.
მწარე ნაღველი მახრჩობს,
სუნთქვა მეკვრება და მსურს,
შენი სახელი, როგორც
წყევლა, ჩაბარდეს წარსულს.
აღარ გახსენო, აღარ,
შე ბელზებელის ხვითო,
არ გაჩენილხარ ქვეყნად,

არ არსებულხარ ვითომ.
რადგან აღარ მწამს, რომ კვლავ
რუსის უღელქვეშ ქართველს
ვინმე ოდესმე მზის და
მთვარის აღირსებს ნათელს.
რადგან შევდივართ ბნელში,
ფარდა ეშვება რადგან,
თავისუფლება ჩვენი
რადგან თოვლივით გადნა.
მომავალი კი მხოლოდ
ცრემლსა და ცხედარს მოდენს,
რადგან ცხოვრება კაცთა
ამაო არის ოდენ...“

* * *

თითქოს ჩათავდა მოკლე
ეს ისტორია და როს
მრავალწერტილი დავსვი
მამა რომ გლოვობს მაროს.
ეჭვმა უჯრედი ტვინის
გამომიხეთქა ლამის,
უიმედობა ჟღერდა
ხმებში შვილმკვდარი მამის.
არა, ვიფიქრე, რადგან
მგოსნის სევდიან ქნარით
წინაწართქმანი შემდგომ
დროის წარილტვნენ ქარით.
რადგან ბრძოლისთვის ივერთ
კვლავ რომ მიმართეს ფარ-ხმალს,
გმირი ქალწულის ლანდი
გამოიწვია ხალხმა...
მახსოვს, მშვენივრად მახსოვს
იმ ბობოქართა დღეთა

ალი, სურათსაც მარო
მაყაშვილისას ვხედავ.
ისევ ახსოვდა ქართველს
ამ ფრთახატულა მტრედის
როგორც სამშობლო, ისე
მისი სამშობლოს მტრები...
და ახლაც მჯერა, როგორც
ბრძოლის თილისმას, საფერს,
ერი მის წმინდა ხსოვნას
მომავალშიაც გაფენს...

ილტოდან მაინამდე

(ლირიკული პოემა)

გერმანიისადმი ინტერესი თითქმის ბავშვობიდანვე მქონდა...
პირველად 1984 წელს მომეცა მისი ხილვის საშუალება. მაშინ, რო-
საბჭოთა არმიის ჯარისკაცი, ორი წლის მანძილზე ვიმყოფებოდი მა-
გთან ახლოს, ალტენგრაბოვის სამხედრო გარნიზონის ტერიტორიაზე.
ავად ჩემი იმჟამინდელი სტატუსისა და შესაძლებლობებისა, მაინც ძა-
არგად ვხედავდი იმ აშკარა სხვაობას, რაც ე.წ. საბჭოურ სივრცესა და
სოციალიზმის ბანაკში ძალით შეთრეულ, მაგრამ მაინც დასავლური,
ლი ღირებულებების მატარებელ ამ სამყაროს შორის არსებობდა...
მეორედ გერმანიაში 1997 წელს მოვხვედი. ჩვენი „ბოინგი", რომლითაც
ს შეერთებულ შტატებში ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობი-
ეგიდით გამართულ სახმედრო წვრთნებზე მივფრინავდით, გზად მაი-
ანკფურტში შეჩერდა...
გერმანიაში ჩემი მესამედ სტუმრობა 1998 წლის ზაფხულში უფრო
რესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამჯერად უკვე მის გულში - ბავა-
არეში ვიმყოფებოდი, სადაც ჯორჯ მარშალის სახელობის უშიშრო-
ლევის ევროპული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სემინარებში ვმონაწი-
ი...
ლექსების ეს ციკლი „ილტოდან მაინამდე" სწორედ გერმანიაში
ამგზის სტუმრობის ასოციაციებით, საქართველო-გერმანიის ურთიე-
ისტორიითა და იმ დიდი სურვილით არის შთაგონებული, რომ სა-
ოდ უფრო მჭიდრო და მრავალმხრივი გამხდარიყოს ამ ორ ქვეყანას,
ლხს შორის ძმობა და მეგობრობა.

შესავლის მაგიერ

რა უთავბოლო, უსუსური გზებით გვივლია,
როგორ ჩამოვრჩით, ღმერთო ჩემო, სოფლის დინებას,
ნუთუ განგებამ ჩვენი დასჯა ასე ინება,
რომ აარიდა ბედი ჩვენი ყველა იღბლიანს!?.

არა, არ მჯერა, უფლის ნებით როდი ვეწამეთ! -
ქვეყანა ესე ხომ ღვთისმშობლის არის კერია!
უილბლობაზე ჯვარი ჩვენ არ დაგვიწერია,
მწამს ციხე-ბურჯთაც მტერნი ჩვენსას ვერ დალეწავდნენ!

რადგან ხომ იყო ომის ცეცხლი დასაბამური,
მაგრამ მონობის ვერ დაგვადგა ვერვინ უღელი,
რადგან იბრძოდა ივერია მკლავმოულლელი
და არც დაუთმო საბოლოოდ დუშმანს მამული!

მაინც რა გრჯიდა, გმირო მეფევ, შენს ხსოვნას ვფიცავ,
პირდაუბანელ ჩრდილოელში მფარველის ხმობას,
ვით განუზრახე შენს სამშობლოს რუსეთის ყმობა,
ვით განალირსე რუსის ჩექმად ქართული მიწა?!.

აი, მე შენი მომავალი, შემდგომი შენი,
განვსჯი ნაბიჯებს შენსას სასტიკს და ცრემლი მაწვიმს,
რადარ განჭვრიტე ჩანაფიქრი იმ თეთრი კაცის
მიზანი მისი, ლტოლვა მისი, უთქმელი ენით!..

და რა ნაყოფიც მივისთვალეთ ხომ შენაც ხედავ:
სისხლი, კატორღა, საღრჩობელა, ცრემლი მდუღარი...
აი, რადა ვარ, ჩემო მეფევ, ასე მწუხარი,
რად მოღუშულა აი ქართლის ლამაზი დედა!...

ავცდით გზა-შარას კაცობრიულს სიცოცხლით მავალს,
დავჟამდით, დავლპით, ჩამორჩენის დაგვფარა ტალღამ,
ისე გვაწვდიდა უფროსი ძმა შხამსა და ბალღამს,
ვით განკურნების, გადარჩენის უებარ წამალს!...

ჩამოვრჩით, დიახ, ასწლეულით ჩამოვრჩით ერებს,
ხალხებს, კულტურას, პროგრესს, წინსვლას ადამიანთა,
ამ სუსტ სხეულზე ბევრი ნერვი დაგვიზიანდა,
წამოგვეპარა და წელში გვხრის თითქო სიბერე!

ჩვენ ვერ ვისწავლეთ, სამწუხაროდ, გზის ხედვა სწორედ,
ევროპისაკენ ვერ წავედით სხვა გაშმაგებით,
მხოლოდ სულხანის ცხელ მოთქმაში დავიდაგენით
და უსასობას გადავყევით ზანტად და მდორედ!..

ის კი ფრთალაღი, რომლის ვაგონს კვლავაც ვაკლივართ,
რომლის წიაღშიც დულს სიმდიდრე და სიძლიერე,
რომელსაც როგორც უცხო რამ წიგნს ვათვალიერებთ,
ვგავართ რომელსაც დღეს ყველაზე უფრო ნაკლებად!

უუახლესი საუკუნის პარმაღთან მიდის
მშვენიერებით და სისავსით სულ-ხორციანად,
ხელში უჭირავს სილამაზით სავსე ფიალა
და უერთდება ახალ სივრცეს ჯადოსნურ ხიდით...

ავიახეისი: თბილისი-ფრანკფურტი

კრაველა ღრუბლების უსიერ დერეფანს
მივყვები ნაზი და მსუბუქი რწევითა
მიწაა ყოველთვის თუმც ბედნიერება,
მაინც გულს ალაღებს მზერანი ზეციდან!..

ჰა, უკვე გაბრწყინდა ხმელეთიც ნატრული,
ავიამანქანა ძირს მძიმედ ეშვება,
გამოჩნდა ფრანკფურტი მკერდგამოხატული,
მაინის ლაქა რომ არასდროს შეშრება.

სალამი, ქალაქო და ქვეყნის კარებო,
გუთებმა ზეცისკენ დინჯად რომ აგზიდეს,
ო, როგორ მწყობრი და სუფთაა გარემო,
თითქოსდა ემალზე მინანქრის თასი დევს.

Guten Tag, Deutschland! ეს უკვე მესამედ
ვაბიჯებ შენს ლამაზ და დიად ხალიჩას,

გიყურებ მე შენი მთქმელი და მესალმე
ევროპის სხეულზე ქათქათა ხალი ჩანს!..

ჯარისკაცი

მეცვა ჩექმა შავი, კირზის,
და ფარაჯა გრძელი, რუხი,
ვიყავ ჯარისკაცი, რომლის
არ ისმენდა არვინ წუხილს.

მერქვა ჯარისკაცი ქვეყნის,
რომლის რძესაც არა ვწოვდი,
მე მათ თვალში პურს არ ვჭამდი,
მე მათ თვალში ბალახს ვძოვდი.

გამოხურულ დილეგს ვიჯექ
მაგდებურგთან, ალტენგრაბოვს,
ბევრჯერა ვთქვი: დავიკარგო,
აქით სადმე ავიკრიფო!..

მაგრამ თვალი იმ მანქანის
ყველგან მზერდა, ყველგან ჭრიდა
და, ნემსივით მესობოდა
საწყალ სალდათს ყოველ მხრიდან...

ა, ეს იყო ჩემი შენთან
სტუმრად ყოფნის ცოდვის კალო
ჭაბუკობის პერიოდში,
გერმანიის მიწაწყალო.

არ მინდოდა, ღმერთი, რჯული,
შენი თელვა მე იმ ჩექმით,
მაგრამ თავს ვინ შეიწყენდა
მაშინ ჩემი ზარის რეკვით!?.

პ ა პ ა

„მაღდებურხის ციხეშიგან დამსვა
კარებ-დანაკლეტი“.

ნ. ბერიკაშვილი

აქ პაპაჩემის ფეხის ნაკვალევებიც არის...
ეს ამბავია ძველი, მოხდა დიდი ხნის წინათ...
ახლა აღარ თოვს მისთვის, აღარც უბერავს ქარი,
დღეს სამარეში მის ძვლებს მარადი ძილით სძინავთ...

მაგრამ მიყვება მამა და სურათზედაც ვხედავ:
ის ოფიცერი იყო, აქსელბანტებით, ჯკვრებით,
შტაბსკაპიტანის ჩინით ვუმზერ ჭეშმარიტ მხედარს,
რა ბევრს ამბობენ ხშირად სურათებიდან მკვდრები!..

უმსახურია თურმე რუსთა ხელმწიფის ჯარში
და მოუსწრია ოდეს ომს, სიტყვა უთქვამს იქაც,
თუმც გახვეული იყო უმისამართო შარში,
არ შეუხრია წარბი ილტოს ხეობის ფიქალს!..

ჰოდა, მეომარს მტკიცეს, მებრძოლს ევროპის ფრონტზე,
წამოსწევია მკაცრი წერა-მწერელის რისხვა,
დაუჭერიათ გმირი სიკვდილ-სიცოცხლის ბონდზე
და შესწყვეტია ოჯახს კაცის, შვილის და ძმის ხმა.

ის ტყვედ ყოლიათ ოთხ წელს აქ, მაგდებურგში, შორში,
უზოზინიათ დღეებს, ქცეულთ უმძიმეს ლოდად,
მჯდარა ფიქრების მწარის და მოლოდინის ტბორში
და უწერია თვისის მწუხარებათა ოდა.

დაბრუნებულა თურმე. მერე, ბოლოს და ბოლოს,
სამშობლოში და, რა, რომ, გაიხსენებდა წარსულს,
აუგი რაა, თითქოს წყენაც არ მოეყოლოს,
ცუდს არ ჰკადრებდა, არა, ერს - ძველთა გუთთა ასულს.

და როს ყვებოდა თურმე ამბებს ტყვეობის, ძრწოლის,
თქმა ყვარებია: მსგავსის ხალხის მხილველი არ ვარ,
ყადრი იციან შრომის, დისციპლინის და ბრძოლის
და ვერ იტანენ ზარმაცს, ქურდს, ყაჩაღსა და მტარვალს.

ავი არ მახსოვს მათგან, მეტიც - პატივით მზარდეს,
რადგან მიყვარდა გარჯა და როს შრომაში მნახეს,
პურსაც მაწვდიდნენ, წყალსაც, ერთსაც მაფერეს მართვეს,
რა დამავიწყებს მისას თითებს, თმებსა და სახეს...

ისე ცხოვრობენ, იმგვარ წესით,კანონით, რიგით,
თუმცა დამარცხდნენ ვხედავთ, მაგრამ ვიტყვი და გწამდეთ,
გამარჯვებულებს ხვალე შეისყიდიან იქით,
კვლავ დადგებიან ფეხზე, ხელებს აწვდიან ცამდე!...

ნეტავი როგორც მათი მამულ-დედული ზეობს
და ვერც წალეკავს ქარი მათს სახლ-კარსა და ბინას,
რაღა გვიჭირდა, მათი კალთა გვეხუროს მძლეო,
ანდა რაც გვქონდა ძმობა, როგორმე შეგვერჩინა...

გზად

მივფრინავდი ატლანტიკის
ოკეანის გაღმა მხარეს
გზად შევჩერდით, გერმანია,
მხასოვს, ხსნიდა ფართოდ კარებს.
სულმცირე ხანს დავივანეთ
შენს გულ-მკერდზე - არ გეტკინოს!
ივლისის დღეს ცხელს და ლამაზს
ქალაქ ფრანკფურტს სამაინოს.
ეს მეორედ ხილვა იყო
სუფთა მხარევ მაშინ შენი,
კვლავ იდექით არა სტუმრის,
ოდენ უფლის მოშიშენი.

გეიმანია საქართველო: მუზების გადაძახილი

„ლამაზი ადამიანების ქვეყანა - საქართველო“.

იოჰან იოაქიმ უინკელმანი

„ქართველი ქალები ულამაზესნი არიან, მამაკაცები გულადები. გასაოცარი ქრისტიანული სულითაა გაჟღენთილი ამ მხნე ხალხის გული“.

იოჰან გეორგიდ ჰერდერი

„შენზე ვოცნებობთ, უხსოვარდროინდელო კავკასიის დიდო ველებო“.

ფრიდრიხ ჰოლდერლინი

„ქართველები უდავოდ ერთ-ერთი ულამაზესი ხალხია დედამიწის ზურგზე. მამაკაცები მთელს მსოფლიოში უპატიოსნესი და უმამაცესნი არიან: თავიანთი მერნებიანი ფიცხები და მკვირცხლები, ომში გულადები და მასპინძლობისას გულუხვები“.

ფრიდრიხ ბოდენშტედტი

უტყუარია და წარსულით ბეჭედდასმული
და ისტორია ვისაც ესმის, კიდევაც სჯერა,
ვით იზიდავდა კავკასიის ნაზი ასული -
სამშობლო ჩვენი საქართველო - გუთების მზერას.

არამარტოდენ არგონავტთა ძველი მითებით,
ანდა დავითის ან თამარის სხივთა მოფენით,
აღტაცებულა გერმანელი ივერთ დიდებით,
მისი წარსულით, მისი რწმენით, წუთისოფელით.

რა არ ხიბლავდა, შენ ის მითხარ, მას ამ მხარეში,
რას არ ელტვოდა, რას არ ხადდა სულის სალბუნად,
მხედართ მხნეობა, თუ მერანთა ფიცხი თარეში,
თუ სილამაზე, უფალმა რომ ქართველს არგუნა.

დიახ, უქიათ და არც ნაკლებ შპრეე-ოდერზე
მამული ჩვენი, ერი ჩვენი, მეობა ჩვენი,
ვინკელმანს, ჰერდერს, ჰოლდერლინს თუ ფრიდრიხ ბოდენშტედტს
როგორც ზღაპრული და აღთქმული მიწის ნაჭერი!..

საუკუნეთა ანალებში გადანახული
ურთიერთობა ჩვენი ხალხის, ჩვერი ერისა,
მოელის დროს და მზის სინათლეს, როგორც ხახული
და ბეჭდის ახსნას მყოობადის შესაფერისად!..

ისტორიის ულანებში

„მან ღირსი გაგვხადა... მიგველო მისგან მშვიდობიანი და მეგობრული წერილები, რომლებიც მოგვიწოდებდნენ ერთიანობისა და კავშირისაკენ“...

კარლოს მეორე ნიმონ ჰარუელი გერმანიის იმპერატორ რუდოლფ II-ნოვან (1576-1612 წწ.) ურთიერთობის შესახებ

არა, შორს მიდის ჩვენი ძმობის მართლაც ფესვები,
საუკუნეთა ძველ დავთრებში ნათლად წერია,
საქართველოსთვის გულს გერმანულს რომ უძგერია,
სულ უბრალო თუ პოლიტიკის ფრთხილი წესებით!..

ეჰ, ისტორიავ, ბევრს ინახავ ამგვარ ანალებს
და აი, ახლაც, შენს ულრანში მოხეტიალეს,
როს იმ ეპოქის გრილი სიო თავს დამტრიალებს,
როდესაც გული ბნელ წარსულზე კრთის და ვალალებს...

მესალბუნება, რომ იმ შავ და მძიმე დროშიაც,
როს საქართველო ნაკუწებად გზებზე ეყარა,
ვახსოვდით ამ ხალხს, როგორც ერი, როგორც ქვეყანა
და კითხულობდნენ ჩვენი ტანჯვის ხინჯს და ხვაშიადს.

და ეგ კი არა... ფრენდნენ თურმე აქ ბარათები,
საძმოდ, სარგებლად, სამეგობროდ მოწერილები
და შენ, სიტყვაო, სამადლობლად ვით დაილევი,
ოდეს წინ მიდგას სიმონ მეფე ღამენათევი!..

ახჩევანი

„დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში პრინცი ერეკლე, ქართველთა მეფე“.
„იბრძოლეთ ისე, როგორც იბრძვის მეფე ერეკლეს ჯარი!“

ფრიდრიხ დიდი

ქარცეცხლიან დღეთა დავთრებს
როცა ვფურცლავ და ვმარტვილობ,
საქართველოს სისხლის კალოს
როს მეხსნება ვრცელი ტილო,

საუკუნის მტკივნეულის
ქრონიკებში როცა ვძვრები,
როს კანკალით მეხებიან
კახთა მეფის მძიმე ძვლები.

ხმა ჩამესმის სხვა ქვეტექსტის
და სხვა აზრის გამომცემი:
„აღმოსავლეთს ერეკლეა,
დასავლეთში ხმალი ჩემი!“

და ვინ იცის მერამდენედ
ვფიქრობ, ვარღვევ დროის კედლებს,
ხომ არ ჯობდა სხვა გზით წასვლა,
სხვა სიბასრე, სხვა სინედლე!?.

და ეს ფრაზა ფრიდრიხ დიდის
იმ ხელმწიფის, იმ ევროპის,
ხომ არ იყო ქარაგმა რამ
ან იგავი ვით ეზოპის!?.

ხომ არ იყო ეს სიტყვები
მოძახილი იქით ხმობის,

რაიც ულელს აგვაცდენდა
ჩრდილოელთა მონა-ყმობის...

გაგვიხსნიდა კაცობრიულ
ცხოვრებისკენ დახშულ კარებს,
მაგრამ ყრუა სინამდვილე
არ მიკარებს, არ მიკარებს...

ახტუხ ღაისტი

„ქართველები იდეალური რასსაა".

ვრეფერ ლოიბერი

ვით ჭეშმარიტი ქომაგის და მოჭირნახულის,
მწუხარებათა ჩვენთა მიწყივ თანაზიარის,
უცხო ტომელის, მაგრამ ქვეყნის წრფელი მსახურის
მიმართ ავაგზნო მსურს ეს ლექსი თავაზიანი.

აღუწერელი ღვაწლით ბრწყინავს მისი სახება
და შარავანდად თავსსარქმელად მარად ეყოფა,
რომ, ვით ილიას მოსანგრემ და თანამეხიდემ,
მამული ქართვლის ერთგულებით თვისით შეღობა.

ვით დაივიწყოს ისტორიამ, ანდა რა ძალით,
მისი ამაგი, თავდადება და მოწიწება,
აღმართულია ხსოვნა მისი, როგორც ტაძარი,
და არც მოელის დავიწყება და დამიწება.

ივერიელთა სადარჯოზე

„გერმანიის მიერ საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური აღიარების შემდეგ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ჩვენ ვუსურვებდით საქართველოს სახელმწიფოს, მის მამაც ხალხსა და მდიდარ ქვეყანას ბედნიერ მომავალს“.

„მივესალმები გერმანიის მიერ საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალურ აღიარებას... ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობები დამყარდება“.

„ქართველები კავკასიის მრავალ ხალხთაგან ყველაზე ნიჭიერი და შემოქმედი ერია... გერმანიის მიერ საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური აღიარება ახლად აღორძინებული საქართველოს სიმტკიცის საწინდარია“.

დეპუტატების
ფერენბახი, ფონ ვიტენბერგი და *შერიზიანი*
გამოსვლებიდან გერმანიის პარლამენტის
1918 წლის 24-25 ივნისის სხდომაზე

„ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ხელფეხგახსნილი თურქეთის გამოლაშქრებამ... გამოიწვია მთელი რიგი შეტაკებებისა იარაღით ხელში, ოსმალეთისა და გერმანიის ჯარებს შორის, რომელნიც ჩვენი ჯარების გვერდით იდგნენ პოზიციებზე. ამან ოსმალეთი შეაჩერა. ამ ბრძოლებში მოკლული იქნა 14 გერმანელი ჯარისკაცი და ორი ოფიცერი“.

გენერალი *ალექსანდრე ბაქრაძე*

შენ, წარსულო სევდიანო, უფეროვ,
როგორ წიწკნი ივერიას უნდოდა,
როგორ გინდა ფარი მარად უფარო
უთვალავჯერ შემოსევას ურდოთა!?.

მე მოწმე ვარ ყველა დროის და ჟამის,
თვალწინ მიდგას ახლაც ენება ყოველი,
მტრებმა იგი, როგორც მგლებმა, შეჭამეს,
არ დაინდეს სასოების მთოველი...

მაგრამ განქრა ჩრდილოელთა დიდებაც,
მეფეც იქცა შენდობად და აღაპად...

დაიშალა იმპერია... ბინდდება...
და რუსეთმაც სული უცებ დაღაფა...

დრო იხელთა ივერიამ, ჯვარს ენდო,
მიიყუდვნა თავი თვისად ღირსებით
მზე ქართული დროშის ტარზეც დაენთო,
ოცნებანი აელვარდნენ მზის ზევით.

და იმ ლაღი ოცნებების დარაჯად,
კარგად მახსოვს, სხვარიგად არც ეგების!
აღიმართა გერმანული ფარაჯა
და მახვილი ყოვლადღირსი შექების.

დიახ, იყო სიტყვა ცამდე მართალი,
სამეგობროდ გამოწვდილი მარჯვენა,
მათ უჩვენეს თავდადება ქართველებს
და ქართველმაც ერთგულება აჩვენა...

მაინის ფიანეფუიტი

შემოვიარე მოკირწყლული, სუფთა ქუჩები,
აქვთ ელვარება ფასადებს, ჰოლებს,
ომის ხანძარი ქალაქს ფერფლში ვერ ჩაიყოლებს,
აღსდგება იგი სავსე გულით, ცხელი ტუჩებით.

ბარებს, კაფეებს, ტროტუარებს, სკვერებს, გამზირებს,
სად ათასგვარი ენობრივი ისმის ხმაური,
ვერასდიდებით ვერ ასცდები, გვერდს ვერ აუვლი,
და კათხა ლუდის შესაძენად ფულს ახაზირებ.

აწყდება მზერა ტურისტული, მზერა ქარული
სივრცეზე ჯიქურ შემსხვრეული ტაძრის გუმბათებს,

არქიტექტურა ძველებური სად ეშხს უმატებს
ახალს, უახლესს მოწიწებით, ტრფობით ფარულით.

ო, აქ ყველაფერს დიდ სიმდიდრის ბეჭედი აზის,
შენ კი, ბედკრული ივერიის შვილო, გაღონებს,
რომ საქართველო ვერ პოულობს ჯერაც სხვა ღონეს,
რომ წარმატების დაიდგინოს გეზი და ხაზი.

ფრაიზინგი მიმნუხრში

ულამაზესი ფრაიზინგის სუფთა ქუჩებით
ეს მერამდენედ მოვიარე ძველი უბნები,
ჰოი, წარსულო, რატომ დუმხარ, რატომ მუნჯდები,
რატომ არაფერს იმ დღეებზე არ მეუბნები?!.

რა უცნაური კოლორიტით ცხოვრობს ეს არე,
როგორ ხალისით მიმოდიან- გზებზე მგზავრები,
ხოლო მიმწუხრზე, ოდეს ტაძრის ზარი მკვნესარე
დარეკავს ხოლმე და იხსნება ტაძრის კარები,

აჩქარებული ნაბიჯებით კათოლიკენი
ქვაფენილებულ ტროტუარებს გაუყვებიან
და მორჩილებით მზერას ხრიან იმ დიდ ჯვრისაკენ,
რომელს ოდესღაც მაცხოვარი ჩვენი ვნებია.

და მე, სურათის ამ ნამდვილის ცქერით ანთებულს,
ოდეს მამულის ჩემის ხილვა მეთანადება,
ფარისევლურად სანთლით ხელში მდგარი ქართველის
ათასმეერთე სილუეტი მომელანდება.

ვიტყვი წუხილით გულის კარებგამოფატრული:
დავცლილვართ ყოვლის კეთილისგან ვაი რა მალე!

ჭეშმარიტების და სინათლის სული ნატრული
მიხსენ, უფალო, შენს წიაღში სადმე დამმალე.

იდილია

მშვიდია დილა იმდენად,
წყნარია სივრცე იმგვარად,
ქარმა ღრუბელთა რიდენი
ისე შორს ვისმე მიჰგვარა,

რომ ლურჯი ზეცის თავანებს
სხივნი მზისანი უნებლივ
გადააქცევენ სავანედ
უზად-უნაკლოდ სრულებით.

სასტუმროს აივანზე ვარ,
ვდგავარ, გავყურებ რა-ხედებს,
ტირიფი გაინაზება,
სულში სულ მორცხვად მახედებს.

თავს ბედნიერად არ გრძნობდე,
რაღა პოეტი იქნები,
ცისკენ აწვდილან ნაძვები
მთა-ყელთა მწვანე ჯიქნები.

ნიჰვანა

ფრთები რომ მომცა,
ან სიმძიმემ ცისკენ გამიშვას,
კვლავ ვეწვეოდი
ამ სანახებს ლამაზ გარმიშის.

ნაძვების ტაძრებს,
რიზერზეეს, დაფიფქულ კლდეებს,
ოი, რა მშვიდად,
უდრტვინველად გავლევდი დღეებს!..

ვით ნირვანაში,
ოცნებებში ისე ვეშვები,
აღუმართიათ
შორს მწვერვალებს ბასრი ეშვები.

შესდექ, პოეტო,
არ ჩაგძიროს მირაჟმა ვრცელმა,
ცხოვრება განჰყრის,
რაც მიიღო თეთრმა ფურცელმა!

ის აქვე არის,
აქ, შენს ახლოს და ხვალვე ნახავ,
სამშობლოს შენის
როს კვლავ ჩაგნთქავს ხრიოკი ხახა!..

ჟამი შვებისა

„შენი ოვერი აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“

გრ. ორბელიანი

სხვა ერთა შორის ერად ვდგავარ და მიხარია,
აქ ხალისია, სულის საზრდოც მოიპოვება,
კაცობრიობის ვრცელ ეტრატზე კარგა ხანია,
არ გვიწერია საკუთარი ქართველთ პოემა.

ჩამოაღამდა მზერას ჩვენსას ევროპისაკენ...
დღეს კი ე, თავზე დასავლეთის ზეცა მახურავს!

ალარ შევყურებ ჩრდილოეთის ჭირხლიან სარკეს
ალარ ვუდგავარ ყინვის კაცებს კარის მსახურად!

ო, შვების გარდა სხვა რა უნდა იგრძნო აქ, გულო,
დროო მედინო, მესახები ხვალის იმედად,
და გარმიშიდან მცხეთის კართან, ცხადად ვნახულობ,
როგორ ილიმის ღვთისმშობელი ლამაზი დედა!

ყვავილების ქვეყანა

ოო, რა გასაოცარია გერმანელების დამოკიდებულება დედა-ბუნების მიმართ.

უთქვამს გერმანელს ჩვეულებრივს, გამვლელს და რიგითს
კაცისთვის, ვისაც უკრეფია ყვავილი მინვდრად:
- ჩვენთან, სტუმარო, სხვანაირი წესია, რიგი
და თუ ყვავილი მაგ შენს ლამაზს მიართვა გინდა!

ყოველ ნაბიჯზე მალაზიას შეხვდები, სადაც
იყიდი, რაც გსურს, როგორიც გსურს, თაიგულთ წყებას,
იქ შეგიძლია დაიოკო ჟინი და მადა,
ხოლო ხელყოფა აქ ყვავილთა არ შეიძლება!

მცენარეების ჩვენთან არ ხამს განადგურება,
არც ყველასა აქვს უფლება, რომ რაც სურს, ის წყვიტოს,
აქ მეყვავილეს შეუძლია მხოლოდ ბუნებას
შეახოს ხელი, - ამრავლოს ან ათითოთითოს!

- მინდვრებო ჩემნო, ბაღნო ჩემნო, სკვერებო მწირო,
სოფელ-ქალაქო უწესრიგოვ, უყვავილებოვ,
ო, რა ადვილად შეგვიძლია მოგსპოთ, გაგწიროთ,
სულ უცაბედად აოხრება შენი ვინებოთ!

მე ახლა კარგად, ძლიერ კარგად ვიცი და ვხვდები,
მარხია სადაც სიპარტახის ჩვენის სათავე
და სამშობლოსკენ სევდიანი როს ვიხედები,
ამაოდ ვეძებ იქ მსგავსებას და სისადავეს!...

გახმიშული გაჯვეთილი
(სურათი)

შაბათი დღეა. ამინდია შეუდარები.
მივდივარ ჩემთვის ქუჩაში მარტოდ.
ვხედავ: გერმანელს გაუხსნია სახლის კარები,
გამოუღია ფანჯრები ფართოდ.

ჩვეულებრივი ოჯახია, რიგითი, ალბათ,
(ეზოში ყვავილთ წალკოტი ყვავის),
აი, ჯაგრისით კედლის რეცხვა დაიწყო ქალმა,
ისედაც ბზინავს კედელი ლამის.

წმენდს კედელს ქმარიც მონდომებით შეუდარებით,
შვილებმაც მშობლებს მიბაძეს მყისვე,
პატარ-პატარა ჯაგრისებით, ფართე თვალებით,
ოჯახის ყღურტულს საქმიანს ვისმენ.

სასიამოვნო სურათია, მერწმუნოთ უნდა,
მაქვს აღტაცება ზომაზე მეტი.
ჩვენთან? ოცი წლის ვაჟკაცები რჩებიან ხუნდად,
იმედად ისევ მამის და დედის!

აქ კი, გარმიშში, სხვანაირად ფიქრობს ეს ხალხი,
საქმეში ბავშვთა დგომით და ჩართვით,
შრომის კულტურის ყოველმხრივი რომ გაჰყავთ არხი,
წვრთნიან გონებას საკუთარ მართვის.

და თუ ცხადია ეს სურათი, მიხეილ, ახლა
და რომ ცხადია, თავადვე ხედავ,
იმიტომ მიდის გერმანია მაღლა და მაღლა,
ისე შორს, შენ რომ ფიქრსაც ვერ ბედავ.

ხოლო ბედკრულის შენის ქვეყნის „ანი“ და „ჰაე“
მთავრდება, სადაც მთავრდება სუფრა,
იმიტომა აქვს ჭუჭყის სუნი თბილისის ჰაერს,
იმიტომ დგახარ მყოფადთან უბრად.

ღამაზი დღეები - ჰიმნი ბავარიას

„საქართველო ბავარიაა, აქ ყველაფერი მომწონს!“

ოლგერ მარია გრეფი

დაუვიწყარნი გარდახდნენ დღენი,
ამაოდ ვიხრი წარსულის ტოტებს,
იქ, სადაც გარმიშ-პარტენკირხენის
რთავდნენ ყვავილნი რამადა-ჰოტელს...

ბავარიული სად ვწრუპე ლუდი,
ვუმზერდი სადაც ცუგშპიტცეს მაღალს,
სად მთვარის ვერცხლით ნაჭედი ქუდი,
ეხურა ეხთა თოვლიან აღალს.

სად ლოიზახეს ცივი ტალღებით,
კლდეებში შმაგად მდუღარ ქვაბულით
ვიყავი გულ და ფიქრწანაღები,
მოხიბლული და სულგანაბული.

არა, სხვა იყო ბავარიული
მხარის და მიწის, ცისა და წყალის
ხალისიანთა წამთა დღიური
და ოცნებათა ლამაზი რკალი!

მშვენიერების სულ სხვა არშინით
იყო აჭრილი ქუჩაც და სკვერიც,
წარსულისა და აწმყოს კავშირიც,
სახლიც, სასახლეც, სივრცეც და ფსკერიც!

თითქოს დადიხარ სამოთხის გზებით,
წალკოტის გზებით სუფთით, უვალით,
გზებით, რომლითაც თითქოს საცაა
უნდა ეახლოს მოკვდავთ უფალი!..

და ფიქრობ, ფიქრობ კაეშნით მძიმით
მამულზე შენზე: - ნეტავი როდის?..
და გიწყვეტს ფიქრებს ცრემლების მძივი
და უნუგეშოდ თვალზე ჩამოდის...

გერმანია სანიშნე

„საქართველოს ხსნა მხოლოდ დასავლეთშია"
გრ. რობაქიძე

შემკობილია მისი სივრცე ბევრი ღირსებით,
სიმდიდრით, ცოდნით, შრომის ყადრით გასაოცარით,
კულტურით დიდით, ერით — მარად ღმერთის მლოცავით,
და მისაბაძით არაერთით ქცევა-თვისებით.

ნურავის უკვირს, თუკი თეთრი შურით ვივსებით,
მივაპყროთ მზერა გერმანიას უკვე დროც არის!
გარდახდა ჟამი ჭიუხებში თხათა მხოცარის,
ერობენ ერნი შრომითა და საკუთარ ქისებით.

დრო არ მოისმენს თუ რატომ და კუდზე ვის ვებით,
არც სასამართლოს მოგვიწყობენ ხელის მომცარის,
მადლობა უფალს, მისამართი ზუსტი რომც არის!

თორემ თუ ხვალაც ძველ ადგილას მყარად ვისმებით.
ჟამი უნდოა, თვისის მკაცრის თანახმად აღთქმის,
ვით სახელმწიფოს პირისაგან მიწისა აღგვგვის.

ს ა ე რ ჩ ე ვ ი

ლ ე ქ ს ე ბ ი

აი, რად მჯერა შენი	3
შორიდან	4
საქართველოს მთებს	4
დაბრუნება	5
ძილის დრო	6
ჩინგისხანი	7
*** (ქვეყანას საღათას ეძინა ძილით)	7
ბრძოლა კოჯორთან	8
თბილისური ვერნისაჟი	10
ბაგინეთი	11
ხადა	12
ჭართალას	12
კვეტერა	13
ჯვარი	13
მშობლიურ გზებზე	14
სამშობლო	14
დიდგორის გმირებს	16
საიდუმლო ბარათი	17
ტყობაიერდი	19
სონეტი შამილს	20
ელეგია	20
ფშავის გზებზე	21
თემურ მიქაუტიძეს	21
კაეშანი	22
ფორტ-პოლკური ზმანებანი	23
ვინ გაპატიებს	24
მხატვარი	24
პოეტი	25
შლეგი ღამე	27
სტუდენტური მისტერიები	29
სტუმრად გალაკტიონთან	30
მათხოვრები	31
ხაოიანი ქუდი	31
ზურაბ ჯაფარიძის ხსოვნას	32
სულის ქრონოლოგია	33
შატილობა	35
საიუბილეო ლექსი აკაკი წერეთელს	36
ოხ, სულო ჩემო	36
სონეტი ფშაველ პოეტს	37
განდგომა	37

სახსოვრად ძმადნაფიცს 38
ია ქადაგიძეს 39
ანდერძი 40
არა, წავალ ისევ 41
მორიგე 42
მე მიკვირს შენი 42
შემორჩება 43
ფოთოლი 44
რალა დაგრჩა 44
ტრაგიკული სპექტაკლი 45
სიმარტოეში 45
შემოდგომა 46
დასკვნა 47
გაქცევა 47
თვითმკელელობის ზღვართან 48
პილატე 48
დაკვირვება 49
ფოთოლცვენა 49
ვალი 50
ჯოჯოხეთი 51
ლოცვა 51
კოპალის ყმა 52
მსხვერპლშეწირვა 53
სონეტი დედას 54
სიძულვილის მესსა 54
ნიღბები 55
შენ გეეედრები 56
მზე ჩადის 57
კაენური ორგიები 57
ჩემს დას – მარინას 58
სევდა მთაში 59
ყრუ მათხოვარი 59
შეხვედრა 60
ჩემ ფიქრთ წყარონი 60
საყურე 60
მოდიოდი 61
მე ისევ გელი 61
***(ოჰ, ფიქრებს ჩემიდან შენამდე) 61
მოიკალ თავი 62
შორი ხარ 62
გაელენ დღეები 63
რად მემართება 63
მიკვირს 64
სიცოცხლის გარეთ 64

ღირსი ვარ 64
აი, თბილისიც 65
***(ულოკავს ატლასს ნიავი ფოთლებს) 65
ცოტა-მატა 66
განშორების ტრიოლეტი 67
გაყიდულა 67
ხალხურ მოტივზე 68
ნანას 68
მაინც 69
ნუ დამშორდები 69
მაგრამ, ეჰ, გახდი რა შორი 70
უშენოდ 70
შენი სიყვარულით მონაგები 70
არა, არ მინდა მჯეროდეს 71
თვალთა ხმა 72
უსიყვარულოდ 72
სიკვდილო, მომეახლე 73
წახვალ 73
ბრმა სიყვარული 74
ღამე როშკის გადასასვლელთან 74
დილა არაგვის ხეობაში 75
ნუ შემომხვდები 76
თუ კვლავ მიგონებთ 77
იახსრობაზე 77
სიზმარი მთაში 77
ვით არ მიყვარდე 79
სიყვარული 80
გახსოვს? 80
ხალხურ მოტივზე 81
ტრიოლეტი ესმერალდას 81
გაზაფხული 81
არ უნდა ჩაქრეს 82
ოთხი ლექსი ციკლიდან „პოეტის ცოლო“ 82
ჩემს ანას 86
ისევ ჩემს ანას 88
ისევ და ისევ ჩემს ანას 88
ოჯახი 89
საამო ტვირთი 90
მონატრება 91

პ ო ე მ ე ბ ი

ულელი 93
ალექსანდრე ბატონიშვილი 106
მარო მაყაშვილი 125
ილტოდან მაინამდე 145

მიხეილ ბექანის ძე ღანიშავილი

ბედისწერის ქიმზე

(ლექსები, პოემები)

კორექტორი
ბელა ქისტაური

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ილნარ გორელიმვილი
ნათელა ტალახაძე

გადაეცა წარმოებას 7.09.99. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 09. 99 წ. ქაღალდი ოფსეტი №1, ფორმატი 60×84 1/16. ბეჭდვა ოფსეტური. ნაბეჭდი თაბახი 10,5. ტირაჟი 500 ეგზ.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ამარანტები“

თბილისი
1999